

Тбилисский Институт Азии и Африки
Asya ve Afrika Tbilisi Enstitüsü

Miheil Svanidze
Turkiye' de Gürcüler

М.Х. Сванидзе
Грузины в Турции

* * *

Исметзаде Доктор Мехмед Ариф
Грузинские деревни
(в Турции)

грузинский перевод и введение Марине Илуридзе

Ismetzade Doktor Mehmed Arif
Gürcü Köyleri

Gürcüce çeviri ile girişi hazırlayan Marjane Iluridze

წიგნში განხილულია 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შედეგად საქართველოს განთავისუფლებული ტერიტორიიდან ქართველების ერთი ნაწილის გადასახლება თურქეთში. ნაჩვენებია თურქეთში მცხოვრები ქართველების განსახლება, მათი ყოფა-ცხოვრება, ადათ-წესები, ეროვნული თვისებები. მოცემულია იმ სოფლების სია, რომლებშიც ამჟამად ცხოვრობენ ქართველები და სხვ.

წიგნის დართული აქვს თურქი ავტორის ისმეთზადე დოქტორ მეჰმედ არიფის “ქართული სოფლების“ თურქული თარგმანი, შესრულებული მარინე ილურიძის მიერ. მეჰმედ არიფმა XIX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში იმოგზაურა სამსუნის მახლობლად მდებარე ქართულ სოფლებში და მოგვაწოდა მეტად საყურადღებო ცნობები იქ მცხოვრები ქართველი მუჰაჯირების ყოფა-ცხოვრების შესახებ.

წიგნი განკუთვნილია, როგორც საქართველო-თურქეთის ურთიერთობის საკითხებით დაინტერესებულ სპეციალისტებისათვის, ასევე მკითხველთა უარყო წრისათვის.

შინაარსი

1. ქართველების მუჰაჯირობა თურქეთში	3
2. ქართული მუჰაჯირები თურქეთში	9
3. ქართველები სტამბოლში	32
4. ქართველები თურქეთში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ	43
5. ისმეთზადე დოქტორი მეჰმედ არიფი, შესავალი	83
6. ქართული სოფლები (თურქეთში) თარგმანი	88

რედაქტორები: ისტ. მეც. დოქტორი, პროფ. ცისანა აბულაძე
 ისტ. მეც. კანდიდატი, აბესალომ იმედაშვილი

ქართველზის მუჰაჰირობა თურქეთში

ქართველი ხალხი დიდი აღფრთოვანებით შეხვდა 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შედეგად ოსმალთა ბატონობისაგან ქართული მიწა-წყლის განთავისუფლებას. ქართული პრესა და მოწინავე საზოგადოება მოუწოდებდა ქართველ ხალხს აღედგინა კავშირი თავის ძმებთან, რომელნიც საუკუნეთა განმავლობაში ჩამოშორებული იყვნენ თავის დედასამშობლოს საქართველოს.

დიდი ილია წერდა: "ქართველობავ... ხელი გაუწოდე შენს ძმებს და ღებსა, რომელნიც დღემდინ შენთვის დაკარგული იყვნენ და რომელნიც დღეს შენთანვე მოვიდნენ. შევეწივნეთ, რითაც შეგიძლიან, ფულით, საქმელით, საცმელით, ხორაგით! ამას ითხოვს ყველასაგან საზოგადოდ კატმოყვარეობა და ჩვენთვის კი საკუთრად ზნეობითი მოვალეობაც ძმისა და დის წინაშე...

აბა. ქართველობავ, ეხლა შენ იცი, როგორ დაუმტკიცებ ქვეყანას ზანა-პაათ ანდერძს: "ძმა ძმისთვისა და შავი დღისთვისაო."

1878 წლის ნოემბერში თბილისში ჩამოვიდა ბათუმის ოლქის დეპუტაცია. ქართულმა საზოგადოებამ დიდი პატივით მიიღო იგი და ბანკეტს გაუმართა. ვახშამს დაესწრნენ გრიგოლ ორბელიანი, აკაკი წერეთელი, დავით ყიფიანი, კონსტანტინე მამაცაშვილი, გიორგი წერეთელი, სერგი მესხი, ივანე კერესელიძე, პეტრე უმიკაშვილი / ილია ჭავჭავაძე თბილისში არ იყო / და სხვ. დეპუტაციის მხრიდან ესწრებოდნენ: შერიფ ბეგ ხიმშიაშვილი, ნური ბეგ ხიმშიაშვილი, ჰუსეინ ბეჟანოლი, ჰუსეინ ბეგ აბაშიძე, პასან ბეგ ბეჟანოლი და სხვ. ბანკეტზე ბევრი სიტყვა ითქვა. მეტად შთამბეჭდავი სადღეგრძელო წარმოთქვა აკაკიმ მან მოაგონა საზოგადოებას წინაპრების ანდერძი ენისა და ეროვნების დაცვის შესახებ: "ჩვენი წინაპრების დაპირება აქითაც და იქითაც შესრულებულია... ჩვენს შორის ძმური კავშირი თურმე არასოდეს არ ყოფილა მოშლილი! დიად, დღემდი თუ ცალ-ცალკე შემოგვინახავს ის ანდერძი, დღეს უფრო ადვილად და ძლიერად ავისრულებთ, თუ კი ძმურად მიცემთ ერთმანეთს ხელს, დაკადგებით ერთ გზას და მიემართავთ ერთმანეთს! აკაკიმ ასე დაასრულა ეს სადღეგრძელო: "თუ ჩვენი წინაპრები ადევნებდნენ თვალს ქვეყნის

მოიპოვება, ნურც ჩვენ ვიქნებით თვალდახუჭული... მიზად ვიყოთ, რომ ბედს, სახლანაც უნდა მოიდიოდეს, კარი გაუღოთ, და უბედურებას ვეწინააღმდეგოთ. მაგრამ რომ კიდევ უფრო გავძლიერდეთ, ვიცნოთ ჩვენი თავი, დავიფაროთ ჩვენი თავი, დავიფაროთ ჩვენი წინაპრები და თვალყური ვადევნოთ დროთა ვითარებას, საჭირო არის, რომ ვეცადოთ ჩვენი შვილების გამოზრდას... მივცეთ გზა განათლებას...¹

შესანიშნავი სიტყვა წარმოთქვა გრ. ორბელიანმა. • ბატონებო, რას ნიშნავს დღეს ჩვენი აქ შეყრილობა? რა გვიხარია? რას ვდღესასწაულობთ? კრება ესე, წარმოადგენს სასიხარულოს მას სანახავსა როდესაც ერთის დედისა შვილნი, შავის ბედისა გამო, განშორებულნი, დიდს ხანს, ერთმანეთისაბრის დაკარგულნი, ანაზღვეულად, მოულოდნელად, შეხვდნენ, იცნეს ერთმანეთი და გადაეხვივნენ გულითადის სიყვარულითა. ჩვენცა ვგრძევე საქართველოს შვილნი ვიყავით დაკარგულნი ერთმანეთისათვის საუკუნეების განმავლობაში; ბევრი ვიტანჯეთ მტერთაგან, ბევრი გაოხრება გამოვიარეთ; მაგრამ მაინც კი არ დაგვიწყებია დაშორებულნი ჩვენ ძმები, თვალი, გული გვეჭირა ბჭვენიკენ, ბატონებო, და ვნატრობდით, როდის ამოვა მზე შეერთებისა და აი, გვისმინა ღმერთმაცა, დღეს ჩვენ შორის ვხედავთ დაშორებულთა ძმებთა და მოხარულნი ვმადლობთ ღმერთსა და ვევედრებით, რომ შეერთება ესე ჩვენი იყოს უკუნითი უკუნისამდე შეურყევლად... და დღეის იქით ლხინშიაც, კირშიაც, უნდა ვიყვნეთ ჩვენ ერთად, ვითარცა ერთნი დედა-საქართველოს შვილნი².

ვახშამზე ბევრი გულთბილი სიტყვა ითქვა, მაგრამ რადგანაც ჩვენი თავი ჩვენ არ გვეკუთვნოდა, მალე ეს სიხარული და აღფრთოვანება ეროვნულ ტრაგედიაში გადაიზარდა. დაიწყო საქართველოს განთავისუფლებულ ადგილებიდან ადგილობრივი მოსახლეობის მასობრივი გადასახლება, მუქაჯირობა თურქეთში. ეს იყო ქართველი ხალხის ეროვნული უბედურება. მუქაჯირობი არაბული წარმომობის სიტყვაა და ნიშნავს ლტოლვილს, გადასახლებულს. ემიგრანტს. მუქაჯირობა ქართველი ხალხის ისტორიაში იყო ერთ-ერთი უმძიმესი ტრაგედია. არც ერთ შემოსევას, არც ერთ ბარბაროს დამპყრობელს არ მიუყენებია იმოდენა ზარალი ისტორიული

1. „ღრუიება“, 1878 წ. 20 ნოემბერი, №239.

2. იქვე.

ზეძო ქართლის სამცხე-საათაბაგოს კუთხეებისათვის. რაც მუქაჯირობამ ჩაუტანა. ძირძველი ქართული მიწა დაიკალა მოსახლეობისაგან. თიუქმის დაიკალა კოლა, არტაანი, შავშეთი, კლარჯეთი, ლივანა, მურღული, მაჭახელი, ტაო, აჭარა, ქობულეთი. დაცარიელებულ სოფლებში გაჩანაგდა მეურნეობა. ბევრი სოფლის სასხენებელი სამუდამოდ წაიშალა.¹

საქართველოში პირველად მუქაჯირობას ადგილი ჰქონდა 1828-1829 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შედეგად. როდესაც ოსმალითა ბატონობისაგან განთავისუფლებულ იქნა სამცხე-საათაბაგოს ნაწილი² სამწუხაროდ, ამ მუქაჯირობის შესახებ ძალზე მწირი ცნობები მოგვეპოვება. საფიქრებელია, ამ დროს თურქეთში გადასახლებული ქართველების ნაწილი ასიმილირებულ იქნა ადგილობრივ მოსახლეობასთან. მუქაჯირობის მეორე პერიოდი დაიწყო 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ და გრძელდებოდა 1882 წლის 3 თებერვლამდე

ქართულმა საზოგადოებამ დიდი გულისტკივილი გამოთქვა ქართველების ოსმალეთში გადასახლების გამო. ქართველი მწერლები, საზოგადო მოღვაწეები ობიექტურად აშუქებენ და აფასებენ მუქაჯირობასთან დაკავშირებულ საკითხებს. ქართველი მუქაჯირობის გადასახლება თურქეთში სპეციალურად შესწავლილი აქვთ ზ. ჭიჭინაძეს³, შ. მეგრელიძეს⁴

ცნობილი მწერალი გიორგი წერეთელი, ეხება რა მუქაჯირობის მიზეზებს, წერს: „გადასახლების მიზეზი უნდა ვეძიოთ იმ ეკონომიურ მდგომარეობაში, რომელიც ადგილობრივ მოსახლეობაში შეიქმნა 1877-1878 წლების ომის შედეგად. აი რაში იმალება მოსახლეობის ოსმალეთში გადასახლების ნამდვილი მიზეზი⁵“.

1 შუშუნა ენუკერაძე, წყნებულების ქარიულია, წიგნი პირველი, ბათუმი, 1993 წ., გვ. 9

2 სამცხე-საათაბაგოს დაპყრობის შემდეგ ოსმალებმა აქ 1579 წელს ახალციხის (ნიღღარის) სოფელში დააარსეს და თავისი ბატონობა დააჩვენეს. ის. მ. სქანიძე, საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან XVI-XVII საუკუნეებში, თბ., 1971 წ., გვ. 125-135.

3 ზ. ჭიჭინაძე, ქართველ მკვლევართა დიდი გადასახლება ოსმალეთში (მუქაჯირობა), თბ., 1912 წ.

4 შ. მეგრელიძე, აჭარის წარსულიდან (მუქაჯირობა 1877-1882 წლებში), თბ., 1964 წ.

5 გაბ. „თიბი“, 1879 წ. №96.

ზოგი ფიქრობდა, რომ მუჰაჯირობის ნამდვილი მიზეზი მოსახლეობის ფანატიზმი იყო. ამასთან დაკავშირებით გრიგოლ ორბელიანმა გაგვიზიარა თავისი ექვი: "აჭარიდან და ყარსიდან გრძელდება ოსმალეთში გადასახლება. რას მოვაწეროთ ეს მოვლენა სხვა შორეულენთა გაქცევას რუსეთის თვითმპყრობელობისაგან; ყირიმი დაცარიელდა, ჩერქეზები 200 ათასზე მეტი გადასახლდნენ ყუბანიდან. აფხაზეთი დარჩა მოსახლეობის გარეშე, ახლა ყარსისა და აჭარის მოსახლეობა გარბის ჩვენგან, როგორც კირისაგან, ნუთუ ყოველივე ეს ფანატიზმით აიხსნება!"¹

გრიგოლ ორბელიანი თვლიდა, რომ რელიგიას, ფანატიზმს გარკვეული მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ძირითადი მიზეზი იყო ცხოვრების პირობები. მისი დაკვირვებით, სადაც მმართველობა კარგია, იქ ხალხის მდგომარეობაც კარგია და არც ფანატიზმი იჩენს თავს: "ადამიანი რა რელიგიასაც არ უნდა ეკუთვნოდეს, - წერს იგი, უპირველესად ყოვლისა ეძებს დამშვიდებულ, წყნარ ცხოვრებას, მშვიდობიანობის გარეშე და ყოველგვარი სიტყვის გარეშე ეშორჩილება სამართლიან კანონებს, რა ენაზეც არ უნდა იყოს დაწერილი იგი."²

მუჰაჯირობა, რომ რელიგიურ ფანატიზმის ნიადაგზე არ მომხდარა, ეს კარგად ჩანს შემდეგი ფაქტიდან: "მძიმე მარცხის შემდეგ ქრისტიანმა აფხაზებმაც გადაწყვიტეს, თავშესაფარი ოსმალეთის ტერიტორიაზე ეძებნათ. ლტოლული ქრისტიანი აფხაზების რიცხვმა 1864 წლის აგვისტოსათვის 40 ათას კაცს მიაღწია. კაბიტნები, რომლებსაც ლტოლულები გადაყავდათ, თავიანთ მგზავრებს ეუბნებოდნენ, "თქვენ ჩვენი სულთნისა და ხალიფას ქვეყანაში მიდიხართ, თუ თქვენ ასე პირჯვარი იწერეთ, ხალიფა არ მიგიღებს". აფხაზები კისრიდან ჯვარს იხსნიდნენ, შავ ზღვაში ყრიდნენ და ისლამის რელიგიას იღებდნენ."³

ქართველების ოსმალეთში გადასახლების მრავალი მიზეზი არსებობდა, მაგრამ მთავარი მძიმე და აუტანელი სოციალურ-ეკონომიკური პირობები იყო, რაც განთავისუფლებულ მხარეში რუსეთ-თურქეთის ომის შედეგად წვიქმნა. ამაში კი მთავარი დანაშაული რუსეთის მთავრობას მიუძღოდა. ჩეთის რუსეთის მთავრობა დაპყრობილი ხალხების მიმართ ატარებდა

1 "იბრ", 1879 წ. №96

2 იქვე

3 "სადავო-ნებღერი, ჩრდილოკავკასიელია გადასახლება ოსმალეთში, გახ. "ხელი", 1996, 24/11.

კოლონიალურ პოლიტიკას. იგი არ იყო დაინტერესებული ოსმალთა პატაროებისაგან განთავისუფლებული ქართველებისათვის შეექმნა ცხოვრების ნორმალური პირობები, პირიქით, იგი ყოველნაირად ცდილობდა აქმულებინა ადგილობრივი მოსახლეობა ოსმალეთში გადახვეწილიყო და განთავისუფლებულ ადგილებზე რუსი კოლონისტები დაესახლებინა და საზღვრის დასაცავად საიმედო დასაყრდენი შეექმნა. ნაცვლად იმისა, რომ დახმარება აღმოეჩინათ და ხელი გაემართათ შემოერთებულ მოსახლეობისათვის, რუსეთის მთავრობამ და რუსმა მოხელეებმა ქართველებს დაუწყეს დევნა და ადგილობრივი მკვიდრი ოსმალეთად და თათრებად გამოაცხადეს. რითაც დიდად შეუწყვეს ხელი მათ ოსმალეთში გადასახლებას.

ყოველივე ამის შედეგად, ბათუმისა და ყარსის ოლქებიდან ათი ათასობით ადგილობრივი მკვიდრი აიყარა, მიატოვა თავისი დედამამშობლო და ოსმალეთში გადაიხვეწა.

ოფიციალური მონაცემებით ყარსის ოლქიდან 1878 წლის 26 აგვისტოდან 1882 წლის თებერვლამდე ოსმალეთში გადასახლდა 112001 სული, ხოლო ბათუმის ოლქიდან 38000 სული¹

ოსმალეთში გადასახლება სათანადო მომზადებისა და ორგანიზაციის გარეშე მიმდინარეობდა მუჰაჯირები შავი ზღვის ნავსადგურებიდან უერგისი გეგვით გადაჰყავდათ. ნაწილი სახმელეთო გზით, ურმებით მიდიოდა. მრავალი მათგანი გზაში ეპიდემიამ, შიმშილმა და სიცივემ იმსხვერპლა.

ოსმალეთში ჩასული ქართველი მუჰაჯირები მეტად მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. ერთ-ერთი მუჰაჯირი თავის ძმას წერდა: "ღმერთის ნება იყოს, რომ შინ დავბრუნდე, ქალბაღანას პური არ აქვს. ტანს არათვრა აცვიათ, ფარაც არ აქვს. გვიშველეთ რამითა, ჩვენ სულ ვკვდებით შიმშილით და სიცივით, ჩვენი ქვეყანა კარგი არის, აქეთ ნუ წამოხვალთ ჩვენი თხოვნა ეს არის."²

ქართველი საზოგადოების მოწინავე ნაწილმა დაიწყო ბრძოლა გადასახლების წინააღმდეგ, გადასახლებულთა სამშობლოში დასაბრუნებლად. დიდი მუშაობა ჩაატარეს გ. წერეთელმა, ს.მესხმა, გ. გურიელმა და სხვ. ამ მოვლენის წინააღმდეგ ხმა აიმაღლა ქართულმა პრესამ. ამის შედეგად

1 შ. ჭეგრედიძე, აჭარის წარსულიდან (მუჰაჯირობა) გვ. 60-2 დმ. Бакрадзе, Историко-этнографический очерк Каресской области. ИКОРГО, 1882-1883, т. VII. /1, с. 185; Г. Давидария, Мухаджирство и проблемы истории Абхазии 19 столетия, Сухуми, 1987, с. 406.

2 ს. ჭეგრედიძე, ქართველ მაჰაჯირთა გადასახლება ოსმალეთში, გვ. 113.

გადასახლებაში პრაქტიკული შენელება და მუქაჯიროების მცირე ნაწილი საქარ-
თველოში დაბრუნდა.

კიდევ უფრო მძიმე იყო ჩრდილოეთ კავკასიიდან ოსმალეთში გადა-
სახლებულთა მდგომარეობა. ჩერქეზული წყაროები მოგვითხრობენ: ოსმალთა
მეზღოვებები პატარა ხომალდებით ნაპირს მოადგებოდნენ ხოლმე,
ირწმუნებოდნენ. თითქოს ღია ზღვაში დიდი გემები იცდიდნენ. დიდი
გასაბრუნებლის საფასურად ლტოლვილებს თავიანთ პატარა ხომალდებში
სტამბენ და ღია ზღვისაკენ მიატოვებდნენ. აქ ლტოლვილებს ზღვაში
ყრიდნენ და კვლავ უკან ბრუნდებოდნენ...

ყოველ დღე 120-150 ლტოლვილი იხოცებოდა. მშვიდი უბნები
თავიანთ შვილებს ერთი ლუკმა პურისათვის რამდენიმე პიასტრად ყიდდნენ.
ღამდამობით საფლავებს ხსნიდნენ, სუბარებს იპარავდნენ და მიცვალე-
ბულთა დასამარხავად ხელმეორედ იყენებდნენ... ამგვარ მძიმე ვითარებაში,
1855-1864 წლების პერიოდში ოსმალეთში, ჩამოვიდა სულ მცირე 900
ათასი ლტოლვილი.

ოსმალეთის მმართველობა ამ დიდი გადასახლების პერიოდში ანატო-
ლიაში დიდ ღონისძიებებს ატარებდა. მომთაბარე თურქები და თურქმენები
გადაწყვედა ბინადარ ცხოვრებაზე. საერთოდ, თურქმენებსა და ჩერქეზებს
ერთსა და იმავე რეგიონში მეზობლად ასახლებდნენ.¹

მუქაჯირობა საერთო კავკასიური პრობლემა იყო. იგი წარმოიშვა XIX
საუკუნეში რუსეთ-თურქეთისა და კავკასიური ომების შედეგად. მუქაჯირობა
იყო, კავკასიაში მეფის რუსეთის კოლონიური პოლიტიკის ნაყოფი.

ოსმალეთის მთავრობა თავის მხრივ, დაინტერესებული იყო ქართველი
და, საერთოდ, კავკასიელი მუქაჯიროების ოსმალეთში ჩასახლებით. ამ დროს
მცირე აზიის მოსახლეობა ძალზე შეთხლებული იყო, ომებისა და
ეპიდემიების შედეგად.

ამავე პერიოდში ოსმალეთის მთავრობა ცდილობდა მომთაბარე თურქი
ტომები გადაეყვანა ცხოვრების ბინადარ წესზე. ამიტომ, ხშირ შემთხვევაში,
მათ გვერდით ასახლებდნენ ქართველებს. რომლებიც ოდითგანვე მისდევდნენ
ინტენსიურ სოფლის მეურნეობას. ოსმალეთის მმართველი წარები იმედოვნებ-
დნენ, რომ ქართველების სამეურნეო კულტურა, გარჯა და მიწის
სოფლარული კარგ მაგალითს მისცემდა მომთაბარე ტომებს და ხელს
მეფეწყობდა მათ გადასვლას ცხოვრების ბინადარ წესზე და აღძრავდა
მათში მიწის დამუშავებისა და სოფლის მეურნეობის წარმოების სურვილს.

1. ალექსანდრე ნიკოლაევი, "ჩრდილოკავკასიელია გადასახლება ოსმალეთში", გას.
"სიდა", 1906 წ. 24 თებერვალი.

ძართველი მუჰაჯირები თურქეთში

თურქეთში ქართველი მუჰაჯირების გადასახლების შემდეგ, იქ მათი ყოფა-ცხოვრება ბოლო დრომდე, ფაქტობრივად, შეუსწავლელი იყო. თუმცა იმდროინდელ ქართულ ჟურნალ-გაზეთებში იბეჭდებოდა ამ საკითხისადმი მიძღვნილი წერილები.

ვანსაკუთრებით საყურადღებო და აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ პირველი ცნობები ოსმალეთში მცხოვრები ქართველების შესახებ მოგვაწოდა თურქმა ავტორმა დოქტორ ისმეთზადე მეჰმედ არიფმა. მან XIX საუკუნის 90-იანი წლების დამდეგს იმოგზაურა ქალაქ სამსუნსა და მის მახლობლად მდებარე ქართულ სოფლებში. ამ მოგზაურობის შედეგად ნანახი, და გავიანილი აღწერა და გამოაქვეყნა გაზეთ "ტარკი" /გზა/. სახელწოდებით "ქართული სოფლები" ხოლო შემდეგ კი ცალკე წიგნად გამოსცა.¹

ავტორის ბიოგრაფიის შესახებ არაფერი ვიცით. ის, რომ მეჰმედ არიფმა თავისი წერილი ჯერ გაზეთში დაბეჭდა და შემდეგ ცალკე წიგნად გამოსცა. იმას გვაფიქრებინებს, რომ იგი ჟურნალისტი ან მწერალი უნდა იყოს იმ დროს ჟურნალ-გაზეთებში წერა და შემდეგ ცალკე წიგნად გამოცემა არაპროფესიონალისათვის ძალზე ძნელი საქმე იყო. ნაშრომიდან ჩანს, რომ მისი ავტორი ერუდირებული პიროვნებაა. ამის დასამტკიცებლად შეგვიძლია მოვიტანოთ ცნობები მისი შრომიდან. მაგალითად, ქალაქ სამსუნთან დაკავშირებით იგი თხრობას იწყებს მცირე აზიის უძველესი ისტორიიდან და წყაროებზე დაყრდნობით, თანადროულობამდე მოჰყავს. მეჰმედ არიფი აგრეთვე დაწვრილებით განიხილავს სამსუნის საეკონომიკურ მნიშვნელობას თურქეთის შავიზღვისპირეთისათვის, აგვიწერს ქალაქის ღირსშესანიშნაობებს და სხვ.

მეჰმედ არიფს ძალზე მოსწონებია სამსუნი. "შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე ქალაქები, წერს იგი, დაბები, სოფლები დავათვალიერე, შევისწავლე და დავრწმუნდი, რომ არ მოიძებნება სიამოვნების მომგვრელი ისეთი ქვეყანა, რომელსაც სამსუნის ნაირი სახე ექნებოდა"²

1 ისმეთზადე დოქტორი მეჰმედ არიფი, ქართული სოფლები, გაზეთი "ტარკი" 1891-1899 წლებში გამოდიოდა სტამბოლში. მისი გამოქვეყნდა იყო უილალი მენქლი, სოფლი შიხაჯარი რედაქტორი პაჩიდ ქუბანი.

2 იქვე, 83

საფიქრებელია, რომ მან ამ მოგზაურობის¹ შედეგებაც დაბეჭდა წერილი გაზეთ "ტარკში" ან სხვაგან. ცნობილია, რომ ამ ქალაქებსა და სოფლებშიც ცხოვრობენ ქართველი მუჰაჯირები და ალბათ, მათზედაც ექნებოდა საუბარი. ეს კი ცალკე შესწავლას მოითხოვს.

დოქტორი მეჰმედ არიფი არაფერს წერს, თუ რა მიზანს ისახავდა მისი მოგზაურობა სამსუნსა და მიმდებარე სოფლებში. არც არაფერს გვატყობინებს იმის შესახებ თავისი ინიციატივით იმოგზაურა, თუ სხვისი დაჯალბა შეასრულა. წიგნში ვკითხულობთ: "ჩემი მოგზაურობის პუნქტი ჩიპარშენბედან სამი საათის სავალ გზაზე - მდებარე მუსულმანი სახელმწიფო ქართული სოფელია"² ე.ი მისი იქ ჩასვლის მიზანი ქართული სოფლის დათვალიერება იყო. სამწუხაროდ ჩვენი ავტორი მხოლოდ ერთ ქართულ სოფლის სახელწოდებას მოუთითებს, თუმცა სხვა ქართული სოფლებიც მოუნახულებია³.

მეჰმედ არიფმა სამსუნის რეგიონში ერთ თვეზე მეტ ხანს დაჰყო. რასაც მოუთითებს მისი სიტყვები: "ჩემი ჩამოსვლის ერთი თვის შემდეგ"³ ერთი თვე უდავოდ, სავსებით საკმარისია იმისათვის, რომ ავტორს ძირითად ხაზებში შეესწავლა ქართველთა ყოფა-ცხოვრება.

მეჰმედ არიფის თქმით, ეს თხზულება დაწერილია "საკუთარი თვლით ნანახითა და გაგონილით", ხოლო "დიდი ნაწილი კი შემდეგ ჩატარებული გამოკვლევის შედეგად." ამგვარად, იგი არაა უბრალო შთაბეჭდილების ნაყოფი.

ეს წიგნი ავტორის მიერ დაიწერა ქართული სოფლების დათვალიერების, ქართველებთან შეხვედრა-გამოკითხვისა და მათი ყოფა-ცხოვრების შესწავლისა და გაანალიზების შედეგად. რომელმაც მონახულა მუჰაჯირი ქართველების სოფლები და აღწერა მათი ყოფა-ცხოვრება.

მეჰმედ არიფი კეთილდადა განწყობილი ქართველების მიმართ. მას ხიბლავს ქართველების ნიჭი, შრომისმოყვარეობა, სტუმრის პატივისცემა.

1 ისტინალი დოქტორი მეჰმედ არიფი, ქართული სოფლები, გვ. 302

2 სამსუნის ვილაიეთის ვარდა მუხლები, 12 სოფელი: მუღღარა (ოქტობრისთვენი), კარადერე, კარაბუსჯაჯალი, ქესიანფიქარი, სალიფასარი, კოჯაიქისარი (პაღაბანი), არსლანაშა, აივადისოკალი, დუქანიოქუქ (ჯაღარი), გოქჩელა, კირეკლი და სჯარალი. F. Çiloğlu, Gürcülerin Tarihi, s. 105, 106. საფიქრებელია, რომ ეს ქართული სოფლები დაარსებულ იქნა ქართული მუჰაჯირების მიერ სამსუნის ვილაიეთის დასახლების შედეგად.

3 ისტინალი დოქტორი მეჰმედ არიფი, ქართული სოფლები.

ერომანეთისათვის დახმარების გაწევა. იგი ობიექტურად, მოუკერძოებლად აგვიწერს ქართველების ყოფა-ცხოვრებას, ზნე-ჩვეულებებს, საყურადღებო ცნობებს გვაწვდის მუჰაჯირი ქართველების შესახებ.

მეკმედ არიფის ცნობებიდან ირკვევა, რომ ქართველებმა თავიანთი თავდადებული შრომით, ნიჭითა და უნარით ახლად დასახლებული ადგილები კეთილმოწყობილ მხარედ აქციეს. ტყეებით და ბუჩქებით დაფარული ადგილები გაკათეს, სახნავ-სათესად აქციეს. გამოუსადეგარი მიწები ნოყიერი გახადეს, სოფლის მეურნეობა ააღორძინეს და კეთილდღეობას მიაღწიეს. ხოლო მათი თურქი მეზობლები, უუნარობისა და სიზარმაცის გამო, სიღლესჭირეში ცხოვრობდნენ. აი, როგორ ახასიათებს ქართველებს მეკმედ არიფი: "ქართველებმა ამჟამინდელი საცხოვრებელი მიწა, რომელიც ერთ დროს ტყეებით იყო დაფარული და გარეული ცხოველების სამყარო იყო, იყიდეს. ადგილის სიმაღლე და ჰავა ჩიპარშენბესთან შედარებით რამდენადმე რბილია და ყველაზე უფრო მეტად. მათი არაჩვეულებრივი გარჯისა და შრომის შედეგია, რომ ყოველი მხარე კეთილმოაწყვეს და ისეთი ადგილებიც კი გამოაცოცხლეს და ნოყიერი გახადეს, რომლებიც მიწათმოქმედებისათვის სრულიად გამოუსადეგარი იყო... მიწის დამუშავებისა და ხვნა-თესვაში დიდი გულმოდგინება გამოიჩინეს. ხუთი, ათი სულისაგან შემდგარმა ოჯახმა, რომელიც ოცდაათი ყურუშითა და გაჭირვებით მოვიდა, მოკლე დროის განმავლობაში სული მოითქვა. ცხოვრებისათვის აუცილებელი ნივთები შეიძინა, მინდორი, ხარ-უღელი, ცხოველები გაიმრავლა. გაჭირვებისაგან თავი დაიხსნა და ისეთ კეთილდღეობას მიაღწია, რომ ადგილობრივმა მოსახლეობამ, რომელიც აქ ფართო მინდვრებსა და მთებში საუკუნეებიდან მოყოლებული წლების მანძილზე მუშაობს, მხოლოდ ერთი, ორი მინდვრის მფლობელი მუჰაჯირი ქართველებისაგან სესხება დაიწყო. გარჯა და შრომა რას არ აკეთებს, რას."¹ ბოლოს, მეკმედ არიფი გულისტკივილით ამბობს, რომ აქაური თურქები "ბუნებით ზარმაცები და უდარდელნი"² არიანო.

თურქეთში ქართველების წარმატება სოფლის მეურნეობაში შემთხვევითი არ ყოფილა და მარტო თავდადებული შრომით არ იყო განპირობებული.

როდესაც ვმსჯელობთ თურქეთში მცხოვრები ქართველი მუჰაჯირების სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაზე და მათ უპირატესობაზე თურქებთან შედარებით, უნდა გავითვალისწინოთ, თუ როგორი იყო ამ მხრივ მდგომარეობა დედსამშობლო საქართველოში.

1 დოქტორი ისიეილდე ჩეკმედ არიფი, ქართული სოკლები, გვ. 306.

2 იქვე, გვ. 306, 307.

საქართველოში და კერძოდ, სამცხე-საათაბაგოში უძველესი დროიდან განვითარებული იყო სოფლის მეურნეობა.

სამცხე-საათაბაგოში მიწის ხენა-დამუშავებას და მოსავლის აღება-დაბინავების წესები ქართველი გლეხების მიერ შემუშავებული იყო საუკუნეთა განმავლობაში ინტენსიური შრომის, დაკვირვებისა და გამოცდილების შედეგად და ოსტატურად იყო შეხამებული ადგილობრივ პირობებთან.

საუკუნეთა მანძილზე გამომუშავებული იყო რაციონალური საშუალებანი, რომელთა შემწვობით მიღებული იყო მაღალი მოსავლიანობა ნიადაგის შერჩევა მისი თავისებურებების გათვალისწინებით, დროთა განმავლობაში მისი დასვენება, თესლბრუნვა, ნიადაგის გასუფთავება, ნაკლოთა და საკვები ბალახებით განოყიერება, მარგლა, თოხნა და სხვ. უხვი მოსავლის აღებას აპირობებდა დროულად და ხარისხიანად დათესვა, თესლის კარგად შერჩევა, მოსავლის დროზე და უდანაკარგოდ აღება და სხვ.

კარგი მოსავლის მისაღებად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, აგრეთვე, სახნავ-სათეს იარაღს. რაც უფრო კარგად იყო მიწა მოხნული და დამუშავებული, მით უფრო უკეთესი მოსავალი მოდიოდა. აქაური სახნავ-სათესი იარაღი შეფარდებული იყო ადგილობრივ გეოგრაფიულ პირობებთან. აღსანიშნავია, რომ გუთანი ამიერკავკასიის ხალხებმა და აღმოსავლეთ ანატოლიის თურქებმა ქართველებთან კონტაქტების შედეგად შეითვისეს¹, რაც ქართული სახნავი იარაღის მაღალი ღირსების დამადასტურებელია.

ყოველზე ამის შედეგად სამცხე-საათაბაგოში მარცვლეულის მაღალი მოსავალი მოდიოდა და უტოლდებოდა იმდროინდელ მოწინავე ევროპის ქვეყნებს²

ოსმალეთში მარცვლეულის მოსავლიანობა ძალიან დაბალი იყო. ასე, მაგალითად, XVI საუკუნეში მესხეთში მარცვლეულის მოსავლიანობა 5-8 ჭერადი იყო, მაშინ როდესაც ამავე პერიოდის ოსმალეთში, ოსმალური კანონმდებლობების მიხედვით სამჭერადი, მაგალითად, შუა საუკუნეების

1 ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიკური ისტორია, წ. 1, გვ. 248; ს. ჯაქია, კალენქაურ შრომის ერთი ქართული ტერმინისათვის იერქუდ ქნებში, "ბუნებულ-კავკასიური ენათმეცნიერება", ტ.1, თბ., 1946, გვ. 393-398.

2 მ. სენაძე, საქართველოს სოფლის მეურნეობა XVI ს-ში, იბ., 1984, გვ. 34-46.

ოსმალეთში ერთ ჰექტარზე საშუალოდ მოჰყავდათ 400-500 კგ მარც-
კლეული. ხოლო შესხეთში 1000-1200 კგ¹

ცხადია, თურქეთში გადასახლების შემდეგაც, ქართველებმა შეინარა-
ზუნეს სასოფლო-სამეურნეო ტრადიციები.

მეჰმედ არიფის ცნობით, ქართველები თვითონ ამზადებდნენ მი-
წარიმოქმედებისათვის საჭირო იარაღს, ასევე თვითონ ამზადებდნენ ბელლებსა
და სხვა სამეურნეო ნაგებობებს.

თურქ ავტორს დიდად მოსწონს ქართველების ენაწყლიანობა. ტემპე-
რაშენტი, ვაჟკაცობა, პატიოსნება. იგი განსაკუთრებით მოხიბლულია ქარ-
თველი ქალების სათნოებით და აღნიშნავს, რომ ისინი "პატიოსნებისა
და კეთილმოსილების განსახიერებად ითვლებიან". ხოლო "ქალების ქირები-
სადმი მორჩილება თითქმის ლეგენდად კაცული"² მისივე თქმით, "ქარ-
თველები ბუნებით მეომრები და ძალზე გაწვრთნილი ცხენოსნები არიან."³

დოქტორ მეჰმედ არიფი მაღალ შეფასებას აძლევს ქარ.თველების
ნიქს, განათლების მიღებისადმი მისწრაფებას, აღნიშნავს ცხოვრების ფართო
ასპარეზზე გასვლის მათ სურვილს. ქართველებს "წვდომილების დიდი
უნარი აქვთ, წერს იგი, ძალზე ნიჭიერები არიან. რის გამოც ცოდნის
შეძენაში მეტად სწრაფად მიიწევენ წინ... უკან არ იხევენ და ფულს
იხდიან. რომ განათლების მისაღებად შვილები ბედნიერების ზღურბელში
/სტამბოლში/ გაგზავნონ."⁴

დოქტორი მეჰმედ არიფი დაინტერესებულა ქართული ენით. მისი
თქმით, "ქართული ენა მეტად ტუბილია. ამ სოფლებში არსებული ქართული
ენის მდგომარეობის შესახებ ჩემს მიერ ჩატარებულ გამოკითხვის შედეგად
შევიტყვე, რომ იგი მდიდარია, არც ერთ ენას არ საჭიროებს და ამასთან
კანონზომიერებას ექვემდებარება. კიდევ ამბობენ, რომ დამწერლობა აქვთ,
მაგრამ სოფლელებიდან მშობლიურ ენაზე წერა არავინ არ იცის. როგორც
მითხრეს, თავიანთი ენა ყველაზე კარგად იციან, წერენ და კითხულობენ
ქობულეთელები."⁵

1 მ. სეჟინი, საქართველოს საქაროველის ხოვლის მკვლევარობა XVI ს-ის,
გვ. 34-36

2 ისეი-ოღდი დოქტორი მეჰმედ არიფი, ქართული სოფლები, გვ. 108, 111.

3 იქვე

4 იქვე, გვ. 110.

5 იქვე, გვ. 112.

ამრიგად, ირკვევა, რომ სამსუნიის მახლობლად მცხოვრებმა ქართველებმა იციან სალაპარაკო ქართული. ხოლო ქობულეთელები კი წერენ და კითხულობენ ქართულ ენაზე.

მეჰმედ არიფს ძალზე მოსწონებია ქართული ცეკვები, განსაკუთრებით კი ხორუმი: "მეტად ნატეფ ცეკვა ხორუმს, დიდი ოსტატობით ასრულებენ. ამ ცეკვაში შესრულებული მოძრაობები დასტურია იმისა, რომ ქართველებს სისწრაფეში ბადალი არა ჰყავთ."¹

პოლებდავად იმისა, რომ ქართველები მუსლიმანები არიან და ასრულებენ ისლამის ნორმით დადგენილ წესებს, ისინი ინარჩუნებენ თავიანთ ძველ ადათ-ჩვევებსა და ტრადიციებს. ჩვენი ავტორი არა ერთგან საუბრობს ქართველი მუჰაჯირების წეს-ჩვეულებებზე, ტრადიციებზე. იგი განსაკუთრებით დაწვრილებით აგვიწერს ქართველების ქორწილს და მასთან დაკავშირებულ რიტუელს. ერთადერთი, რაც ქართველებისა თურქ ავტორს არ მოსწონხ არის ქორწილი, რომელსაც იგი "მანენ ტრადიციად თვლის". ჭერ ერთი, იმის გამო, რომ ქორწილზე ძალიან ბევრ ხალხს პატყებენ უხვად უმასპინძლებიან და იგი ძალიან ძვირი ჯდება. მეორე ის, რომ ქორწილის დროს "დამბაჩებით ნასროლი ტყვიები სახლს აოხრებენ"² და ზოგჯერ უბედური შემთხვევაც ხდებოდა.

ზაქარია ჭიჭინაძე იყო ერთ-ერთი პირველთაგანი, რომელიც დაინტერესდა თურქეთში მცხოვრები ქართველებით, და 1895 წელს გაზეთ "ჯვალში" გამოაქვეყნა წერილი "ქართველები ოსმალეთში". იგი წერდა: "დიდი ხანია მას შემდეგ, რაც ოსმალეთში მცხოვრებ ქართველთა კვალს ვეძებ და მინდა შევიტყო, თუ ჩვენი შვილებით და ძმებით სად და რა ადგილებია ოსმალეთში სავსე, სად ცხოვრობენ იქ ქართველნი. ამის შესახებ მე ბევრს მუჰაჯირთაგანს დავავალე, რომ რაიმე სარწმუნო ცნობები შეეკრიბა და გადმოეცა ჩემთვის. სხვადასხვა დროს მე ზოგი ერთის პირისაგან სულ სხვადასხვანაირი ცნობები მივიღე წელს, როცა შავშეთიდან დაებრუნდი. მაშინ ერთი სარწმუნო ქართველ მაჰმადიანისაგან, რომელიც ტრაპიზონში ვაჭრობს და რომელიც წელს საქართველოში დაბრუნდა, მივიღე შემდეგი ცნობა, რომელიც მომყავს აქვე.

ქართველები ოსმალეთში ვინ იცის, სად არ ცხოვრობენ, ბურსას, დიარბექირსაც კი და სხვაგან. სხვათა შორის შავი ზღვის ნაპირას შემდეგ ადგილებში ცხოვრობენ: ხოფას 100 კომლი, არხავეს 100, მათაურას

1 ისტორიკო-გეოგრაფიული მუშაურობის დასრულების შემდეგ, ქართული სოფლები, გვ. 110.

2 აქვე.

120, რიზეს -100, სურმენეს 150, ოფას 120, ტრაპიზონს 100, პლატანას 100, ბევგველმანს 120, თრიპოლს 100, გირესუნს 100, მაფაურს 120, აბდალას 100, ორდუს -100, ბაცას 1000, უნაას 1000, თერმეს 100, ჩერშეგმეს 100, სამსუნს 140, სინოპს 130.

ბილომანი ახალი ქალაქია, 200 კომლი სულ ქართულს ლაპარაკობენ. სამუდურიოა. აქ ქართველები ერთმანეთში სულ ქართულს ლაპარაკობენ. მისდევენ ხელოვნობას, ხუნას, თესვას, მცირეთ ვაჭრობას, ნაოსნობას და მით ცხოვრობენ¹

ზ. ჭიჭინაძის მიერ მოტანილი ცნობები საყურადღებოა, მაგრამ არაა სრული და შეეხება უმთავრესად შავი ზღვის სანაპიროზე მცხოვრებ ქართველ მუჰაჯირებს.

თუ არ ჩავთვლით ზ. ჭიჭინაძის ზემოთ მოტანილ წერილს, ქართულ პრესაში დიდი ხნის განმავლობაში ამ პრობლემის შესახებ თითქმის არაფერი დაწერილა. ეს ახსნება იმით, რომ სულთან აბდულამიდი II-ის /1876-1909/ რეაქციული რეჟიმის გამო ოსმალეთთან კონტაქტები ძალზე შეზღუდული იყო.

მხოლოდ 1908-1909 წლების "ახალგაზრდა თურქთა" რევოლუციის შემდეგ მდგომარეობა შეიცვალა. გაზეთ "დროებამ" და "სახალხო გაზეთმა" თავიანთი საკუთარი კორესპონდენტები მიავლინეს სტამბოლში.

1909 წლიდან საქართველოს ჟურნალ-გაზეთებში იბეჭდება წერილები ოსმალეთში მცხოვრები ქართველების შესახებ. მათი ავტორები არიან: ი. რაჭველიშვილი /მეხუზლა/, უსახლკარო, ემილეფენდი /ერმილე ნაკაშიძე/, დ. ჩიქოვანი, ს. ფირცხალავა, ზ. ჭიჭინაძე, ჯავდეთ ბეი და სხვ.

ამ პუბლიკაციებს შორის ყურადღებას იპყრობს შემდეგი წერილები: დავით ჩიქოვანის "ოსმალეთის ქართველ მაჰმადიანთა სოფლები", ჯავდეთ ბეის "ქართველი მაჰმადიანები იზმითის სანჯაყში", უსახლკაროს - "ოსმალეთში მცხოვრები ქართველები", მისივე, "ქართველი დიდ-კაცობა სტამბოლში", ემილ ეფენდის /ე. ნაკაშიძე/ "ქალაქი ტრაპიზონი", მისივე, "სოფელი პლატანა", ზ. ჭიჭინაძის "ქართველები ოსმალეთში", მისივე, "ქართველი მაჰმადიანი ფაშები", მისივე, "აქარელი ფაშები" და სხვა.

ამ წერილებს შორის აღსანიშნავია, გაზეთ "დროების" საკუთარი კორესპონდენტის უსახლკაროს წერილი "ოსმალეთის ქართველების

1 "ქალი". 1895 წ. №49.

შესახებ¹ მას თურქეთში მცხოვრები ქართველების შესახებ ცნობები მიაწოდა მემარნემ /მემარნისიშვილი/, რომელსაც განათლება ევროპაში ჰქონდა მიღებული და XIX საუკუნის 90-იანი წლებიდან იგი სტამბოლში, ფერაიქივის ქართულ სასწავლებელში, ასწავლიდა ისტორიასა და თურქულს. მან საკუთარი ინიციატივით, პირადად შემოიარა ქართველი მუჰაჯირებით დასახლებული სოფლები და აღრიცხა მათი რაოდენობა.

მემარნის ცნობით, ტრაპიზონის ვილაიეთში ცხოვრობს 164500 სული. აქედან კერასუნში და მიმდებარე სოფლებში 10000. ორდუში 25000, ფაცაში 300, ჩარშაბაში 500, უწიეში 2000, ბაფრაში 3000, სამსუნში 7000, ნიკსარში 7000; კასტამუნუს ვილაიეთში 85000, აქედან სინოპში 10000, იზმიტში 25000 და ბურსაში - 50000.

სულ მთლიანად, დაახლოებით 249500 ქართველია. ეს მცხოვრებთა მაქსიმალური რიცხვია, ხოლო მინიმალური 200000 სული იქნება.

ამრიგად, მემარნეს მონაცემებით, XX საუკუნის დამდეგს ოსმალეთში 200-250 ათასი ქართველი მუჰაჯირი ცხოვრობდა. ეს რიცხვი არ უნდა იყოს გაზვიადებული, რადგან ოფიციალური ცნობებით, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ოსმალეთში საქართველოდან 150 ათასი ქართველი გადასახლდა.

მემარნეს ამ რიცხვში არა ჰყავს შეყვანილი მესხეთის ისტორიულ ტერიტორიაზე მცხოვრები ძირძველი მოსახლეობა. თუ მათ რიცხვსაც დავუმატებთ, გამოვა, რომ ოსმალეთში ცხოვრობდა სულ მცირე 300000 ქართველი²

შავი ზღვის სანაპიროზე მცხოვრები ქართველი მუჰაჯირების შესახებ საყურადღებო ცნობებს გვაწვდის ემილ ეფენდი / ე. ნაკაშიძე/, რომელმაც 1909 წელს ამ რეგიონში იმოგზაურა. მისი ცნობით, კერასუნში ქართველი მაჰმადიანები ცოტაა, სულ 15 კომლი იქნება. მას გაუცნია იუსუფ ალა სურმანიძე; აჭარიდან გადმოსახლებული ქართულის კარგი მცოდნე, ოსმან ეფენდი სულიაშვილი, სოფელ უნიიდან; რომელმაც იცოდა სალაპარაკო ენა, წერა-კითხვა კი არა, აგრეთვე ჯემალ ქარცივაძე; * ეს ნამდვილი ქობულეთელია, წერს ემილ ეფენდი, ცოცხალი და მკვირცხლი. გეგონება, თვალებიდან ცეცხლს აფრქვევსო. ქართულად ძალიან კარგად ლაპარაკობს, წერა-კითხვა იცის. იგი ორდუდან არის.³

1 "დროება". 1909 წელი. 11 იანვარი, №8

2 იქვე.

3 იქვე.

4 იქვე. 1909 წ. 22 აპრილი.

შემდეგ ემილ ეფენდი ორდუს ქართველებზე მოგვითხრობს: ორდუ ტრაპიზონის ვილიეთის ქალაქია. ზღვის პირას მდებარეობს. ახლომდებარე სოფლებში ძირითადად ქართველი მაჰმადიანები ცხოვრობენ. სულ მათი რიცხვი ოცდაათს სულს აღემატება. სოფლები დაშორებულია ორდუდან ერთიდან ათი საათის სავალზე. ადგილები, შედარებით სხვაზე, უფრო ვაკე და ნოყიერია. აქაური ქართველები სულ ქობულეთიდან არიან გადმოსახლებულნი, ადგილი ალი ფაშა თავდგირიძეს ამოურჩევია და დაურეგებია ამათთვის, როგორც თავისი მეზობლებისათვის.

ემილ ეფენდი ნაკაშიძე გვაწვდის ამ სოფლების სახელებსა და მცხოვრებთა გვარებს. ეს სოფლებია: ოჯელი, ჩაუშლარი, ყუმული, დელუჯაი, თეინელი, ყურამემჩალი, ხასანჯული, კაბალთალი, კობალთა, ულები და ყარადერე. გვარები: ქარცივაძე, წულუკიძე, გოგილიძე, გოხაძე, ანანიძე, ბეჟუაშვილი, ძგელაძე, ბაჭელიძე, კილაძე, ტაკიძე, ჯაფარიძე, მურვანიძე, ხაბაზი, ქათამაძე, ებზენიძე, ხინიკაძე, თამაზაიშვილი, ცეცხლაძე, სადრაძე, ნაკაიძე, კოტრიკაძე, გოგიტიძე, ცივაძე, კობახიძე, ჯენიკაძე, ასანიძე, ლიხოტაძე, მოწყობილი, ინაიშვილი და შავიშვილი¹

1 ავტორი აგრეთვე მოგვითხრობს მათ საქმიანობაზე: "აქ ესენი დასახლებულან და მოწყობილან ისე, როგორც თავიანთ სამშობლოში ქობულეთში იყვნენ. გაუჩენიათ ურმები და კავსახს: 1. მოჰყავთ სიმინდი, ჭვავი, პური, ქერი, შვრია, ღომი, ღობიო და თუთუნი. არის თხილი და ყოველგვარი ხეხილი. მოჰყავთ აგრეთვე აბრეშუმი."²

ერმილე ნაკაშიძე შენიშნავს, რომ მთელ ანატოლიაში სიმინდი შემოაქვთ კავკასიიდან, ორდუდან კი გააქვთ. ეს გარემოება უნდა აიხსნას იმით, რომ აქაურ მაჰმადიან ქართველებს, ქობულეთელებს გადმოუტანიათ და განუვითარებიათ სიმინდის დამუშავებისა და მოყვანის წესები³

ერმილე ნაკაშიძე გვაწვდის ცნობებს ტრაპიზონის მახლობლად მდებარე სოფელ პლატანას მცხოვრებთა შესახებაც: "სოფელი პლატანა მდებარეობს ტრაპიზონიდან 12-15 ვერსზე. ზღვის პირას და მეტად ღამაზი სოფელია. იგი კარგა მოზრდილი სოფელია, 300-400 მოსახლეა ოსმალთა და ბერძენი. აქვე ცხოვრობს მაჰმადიანი ქართველი, მოხუცი ოსმან ფაშა თავდგირიძე

1 "დროება". 1909 წ. 22 აპრილი.

2 იქვე.

3 იქვე.

ჯამას ძმა, თოთხმეტამდე მოსახლე მეგრელიც და სურვანიძე. ესენი ქორელებიდან გადმოსახლებულან.¹

მართალია, ერშილე ნაკაშიძეს სამსუენის მახლობლად მცხოვრები ქარაველების სოფლები არ მოუწახლუებია, მაგრამ მისი მოინაცემები ავსებენ ისეთადე მეჰმედ არიფის წიგნში მოტანილ ცნობებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ავტორი მიუთითებს მუჰაჯირების წარმომავლობას, ასახელებს იმ სოფლებს, საიდანაც ისინი წამოსულან, უთითებს მათ გვარებს.

საქარაველოდან ლტოლვილები ჩასახლებულან არა მარტო თურქეთის შიგი ზღვის სანაპიროზე, არამედ, აგრეთვე, ბურსის ვილაიეთსა და იზმითის სასჯაყში და სხვ.

მათ შესახებ მრავალმხრივ საყურადღებო ცნობებს გვაწვდის დავით ჩიქოვანი, რომელმაც ამ რეგიონში 1912 წელს იმოგზაურა. ამ ადგილებში მოგზაურობის დროს იგი შენიშნავს: ოჯახში მუდამ ქართულად ან ჰანტურად ლაპარაკობენ, რადგან ქალებმა თურქული თითქმის არ იციან.²

დ. ჩიქოვანმა მოინახულა სოფელი ბორჩხა /ჰამიდოე/, ავტორის გადმოცემით, იგი უმთავრესი სოფელია ამ მიდამოებში და ირგვლივ მრავალი სოფელი აკრავს³ მან დაათვალიერა მახლობელი სოფლები და აღსუსნა იქ მცხოვრებ ქართველთა რიცხვი. მისი გადმოცემით, ქართველთა დასახლებული სოფლების სახელწოდება უმეტესწილად თათრულია, თუმცა მცხოვრებნი თითქმის მარტო ქართველები არიან ვკითხე მიზეზი და აგვისსინეს, რომ ჩვენი დაბინავებისას აქ თურქებიც მოსახლეობდნენ. მაგრამ ჩვენი მხნეობით და მათი სიზარმაცის წყალობით, ყველა მამული ჩვენ დაგვრჩა და ისინი იძულებული შეიქმნენ სხვაგან გადასახლებულიყვნენ. საკვირველია, მკითხველო, რომ ამისთანა ამბები გესმით! ქართველებმა შრომის-მოყვარეობით სხვას მეტოქეობა გაუწიეს! მადლობა ღმერთს!⁴ ეს ცნობა ეხმაურება მეჰმედ არიფის წიგნის შესატყვის ადგილს, სადაც უბარია ქართველების შრომისმოყვარეობაზე და თურქების სიზარმაცზე.

დავით ჩიქოვანი სამ ჯგუფად ყოფს იზმითის სასჯაყის მახლობლად მდებარე სოფლებს: საბანჯე, ბორჩხა და ბალაბაი. პირველს ახლავს 22.

მეორეს 20 და მესამეს 12 ქართული სიფელი. შემდეგ მას მოკვებული აქვს ამ სოფლების დასახლებანი, მცხოვრებთა რაოდენობა. ეს მზარე მეტად ლამაზია და ეკონომიკურად გამართული, რაც მოსახლეობას ყოველმხრივ ეტყობა დაასკვნის ავტორს¹

დ. ჩიქოვანი მოგვითხრობს ქართველების საქმიანობაზე: მოპყავთ ბევრი თუთუნი, პური და მისდევენ მეაბრეშუმეობას. ხეილის გაშენებას ეს რამდენიმე წელია რაც შესდგომიან, მაგრამ გასაყიდი ჯერ არ არის... ჭამა-სმა აქვთ იმერული მკაღი და მსგავსი შეჭამანდები, ღვინოზედაც არ არიან მწყრალად. თუმცა ყურანი უკრძალავს, მეზობლობენ ხშირად ჩერქეზები და აფხაზები და უფრო დაახლოებული განწყობილება აქვთ, როგორც ერთ ქვეყნიდან კაკასიიდან გადმოსახლებულთ. როგორც მოგახსენიო, ქართველობა საქმიანობას მისდევს და მსიდრებიც არის. მეურნეობის გარდა ვაჭრობასაც ეწევიან, განსაკუთრებით, გლეხები. დიდი სიამოვნებით ავიწერენ თავიანთ მხნეობას, პირდაპირობას ვაქცაობას და შრომის მოყვარულობას. მათმა შრომის მოყვარეობამ ძალზე გამაკვირა! ბევრი მინახავს იმისთანა, რომელიც ამტკიცებდა, რომ ქართველები ზარმაკები არიან ყველგან და ყოველთვისო. აქ სულ სხვასა ვხედავთ რასაც ვამბობ განსაკუთრებული არ არის და ვინც თვალთ არ იხილავს, ვერ წარმოიდგენს! მათ დღევანდელი ქანება შეძენილი აქვთ 20-30 წლის განმავლობაში; საქართველოდან რომ ჩამოსულან... სოფლებში უმეტეს წილად გურჯებთან ქანებიც არიან, რომელთაც ქართულიც უსწავლიათ.²

დ. ჩიქოვანი აგვიწერს ქართველების გარეგნობას, ჩაცმა-დახურვას, ზნე-ჩვეულებებსა და სხვა. "რაც შეეხება მათ გარეგნობას, წერს იგი, ტანთ-საცმელს არ არის მთლად ქართული თუმცა არც მთლად თურქულია, ახურავეთ ხშირად ყაბალასი და შარვალიც ჩაქურული ქიანური აქვთ: დანარჩენი ევროპული შემოუტანიათ. ადათ-ჩვეულებებში მრავალი შემორჩენიათ, ქრისტიანულ-ქართული. მაგალითად, მრავალკოლიანობა არ არის; მეორეს ითხოვენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა პირველს შვილი არ მიეცემა. უშვილობა კი მათთვის დიდი ცოდვაა და ამ შემთხვევისათვის არ ეძრაბჯის ასეთი საჭციელი... თურქებისათვის ნათესავებად შორის მოდის: დედ-მამა, ძმები და დები, დანარჩენი ნათესავებად არ ითვლებიან და ამიტომ ბიძაშვილები ქალი და კაცი ერთმანეთს ვერ ნახავენ. ჩვენში

1 "სახალხო გაზეთი", 1912. წ. 29 მაისი.

2 იქვე.

ივმითის სანჯაყისა და გურსას ვილაიეთის სოფლების
სახელწოდება და იმ მცხოვრები ქართველების რიცხვი

შედგენილი დ. ჩიქოვანის მიერ

1. საბანჯა	160 კომლი	29. ბიარსა	130
2. ჩუბუღკი	80 „	30. უნიე	10
3. აშქელიე	60	31. ჩერქეზ-ქი	20
4. მანუღდი	60	32. ლუიფიე	30
5. აბაზ-ქი	20 „	33. სოფიე	25
6. დერბენდი	50 „	34. ბაშქინე	
7. შირინ-სუღხია	60 „	(ბაშქი)	30
8. შესუღდიე	80 „	35. აშქელიე	40
9. თათარ-ქი	40 „	36. ჩაქელჯაში	20
10. ბაღაბა	30 „	37. ალაჩანი	
11. ჩეფენე	100	(ალაჩირი)	40
12. თელის-კუნდუ	40	38. ბაღკაია	34
13. ყაზანდერე	30	39. ბისქიდერე	50
14. სერგეითე	50	40. გულდობი	50
15. აღხადირი	20	41. დიბექიაში	90
16. დაღინ-ღუდი	60	42. თქიხიე	30
17. იენი-მეღე	50	43. აღშიე	30
18. შეგუეთე	15	44. ირმადიე	50
19. თჯადიე	20	45. მემნეხიე	90
20. ჩემუთე	15	46. ნაიდიე	120
21. ხეხენიე	50	47. პაწა-პამიდიე	40
22. შქიდიკი	50	48. სენიე	50
23. ჩერქეზ-ბაი	30	49. ხაღამიე	50
24. მემურთე	30	50. უღღიე	50
25. ყურადიე	20	51. ური-ჩეხიე	30
26. დაშქიე	60	52. შეპრეთიე	45
27. ასირ-ქი	10	53. შუქირიე	40
28. თათარ-ქი	30	54. ჰაჯი-მურჯანიე	60

კი არამ თუ ბიძაშვილები, ბევრგან სახლის კაცებიც კი შეუნახავო. ბორჩხაში, მაგალითად, ერთი გვარის მოსახლენი: ჭერაბაძე 20, ბინაძე 15, მისლაძე 10, დარაბაიძე 10, ნაკაიძე 50, თავისი გვარის კაცს ქალს არ მონიხოვენ

ოჯახები დიდებია: რამდენიმე ცოლშვილიანი ძმა ერთად ცხოვრობს, რაც თურქეთში შეუძლებელია... მაჰმადიანი ქალები შრომობენ, როგორც ოჯახში, ისე ტყესა და ყანაში.¹ (იხ. ცხრილშემდეგ გვ.).

სულ ამ სოფლებში 2524 კომლია; კომლზე 8 სული რომ ვიანგარიშოთ, გამოვა $2524 \times 8 = 20192$ სული². აქვე მოთავსებულია რუკა ქართული სოფლების მითითებით.

იზმითის სანჯაყში ქართველი მუჰაჯირების შესახებ ცნობებს გვაწვდის აგრეთვე, ჯავით ბეი: "ქალაქი იზმითი, წერს იგი, მდებარეობს იზმითის ყურანსა ჩრდილოეთით. იზმითის მაზრა, ანუ როგორც იქ ეძახიან, სანჯაყის ქალაქია და შეიცავს 25000 მცხოვრებს, რომელთა უმრავლესობას ბერძენები და სომხები შეადგენენ და რომელნიც ვაჭრობა-აღებ-მიცემას მისდევენ. უმრავლესობას ოსმალნი და ქართველები შეადგენენ, რომელთა შორის ვაჭრებიც არიან³

შემდეგ ავტორი აგვიწერს იზმითის მდებარეობას და მის სილამაზეს. "იზმითის მიდამოები, წერს ჯავით ბეი, მშვენიერ სანახაობას წარმოადგენს: სამხრეთით იზმითის ყურე, რომელიც დასავლეთით ჩარმარილოს ზღვას ეერთვის, აღმოსავლეთით 15-20 ვერსის მანძილზე მოზრდილი საბანჯის ტბა რომლის გარშემო ლამაზი ფერდობებია, ყანებით და სოფლებით მოყვნილი.

ეს მხარე ბუნებრივად რაღაც განცალკევებულ კუთხეს წარმოადგენს, რომლის გარშემო მთებია, მერე ფერდობები. მას მოჰყვება ვაკე და შემდეგ საბანჯის ტბა და იზმითის ყურე.

დაბა საბანჯა მდებარეობს საბანჯის ტბის სამხრეთით და მშვენიერი მიდამოს ბუნებრივი გულია. ეს კი მთლიანად ქართული დაბაა, იქ 100 წერილი ვაჭარი სულ ქართველობაა და თითქმის ქართული ყველამ იცის, ყოველ შემთხვევაში ლაზური /მეგრული/ მაინცა.⁴

1 "სასიღბო გაზეთი", 1912 წ. 29 მასი.

2 იქვე, 1912 წ. 31 მასი, №612.

3 იქვე, 1914 წ. 7 დეკემბერი, № 158.

4 იქვე.

ჯავით ბეის მოუნანებლებია აქ მდებარე ყველა ქართული სოფელი: "დაბა საბანჯის მიდამოებიდან მოკიდებული იზმითის ყურის სამხრეთამდე 54 სოფელი გაცივანით. ზოგი ახლავს, ზოგი შორიდან. ეს სოფლები შეადგენს ნაწილს იმ ქართველთა სოფლებისას, რომელნიც იმყოფებიან იზმითის სანჯაყში."¹

მისივე ცნობით, ამ მხარეში ცხოვრობენ აგრეთვე ჩერქეზები და აფხაზები.

აქაურ ქართველებთან საუბრების შედეგად, მან მიახლოებით განსაზღვრა ქართველთა რიცხვი: "აქაურ მცოდნე ქართველთა გამოკითხვით და დაკვირვებით სულ უნდა იყოს ქართველი გადასახლებული: კონსტანტინოპოლისა, იზმითის საჯანყსა და ბურსას ვილაიეთში დაახლოებით 100 ათასი ქართველი მაინცაა. ამ რაოდენობასთან, რასაკვირველაა, არავითარი დამოკიდებულება არა აქვს იმ ქართველთა რიცხვს, რომელნიც უძველეს დროიდან მოსახლეობენ მამა-პაპათა მიწა-წყალზე ლაზისტანსა და სხვაგან."²

ბოლოს, ჯავით ბეი შენიშნავს: "ქართველი სამაჰმადიანო ბევრს გამოჩენილ პირებს აძლევს ოსმალეთის სახელმწიფოს მრავალნაირ დარგში განსაკუთრებით სამხედრო ხელოვნებაში."³

მწერალმა და ყურანალისტმა იასე რაჭველმა / მეხუზლა / ყურნალ "კვალის" 1995 წლის ერთ-ერთ ნომერში დაბეჭდა მეტად საყურადღებო წერილი ოსმალეთში მცხოვრები ზოგიერთი ქართველის შესახებ. იმ დროს იოსებ რაჭველი სტამბოლში ცხოვრობდა. ავტორი მოგვითხრობს მეტად საყურადღებო ფაქტს, რომელიც მოწმობს გამაჰმადიანებული ქართველების დიდ სიყვარულს სამშობლოსადმი. ამ რამდენიმე თვის წინათ აქ გამოიარა ერთმა ვაჭარმა - გურულმა, გვარად ჩხაიძემ, რომელსაც ოსმალეთის ერთ ქალაქთაგანში, ორღუში ფეხსაცმელის დუქანი აქვს. მთელი დღე მეძება, შიპოვა და მთხოვა გახუთები "ივერია" და "კვალი" გამომეწერა და ფული დამიბოვა. ამგვარად, ახლა ის ორ საუკეთესო ქართულ გამოცემას ლებლუბს და დიდად კმაყოფილია."⁴

მეორე მაჰმადიან ქართველს, რომელიც ტრიპოლში ცხოვრობდა და ქართული წერა-კითხვა იცოდა, გაუგია იასე რაჭველის სტამბოლში ყოფნა და მისთვის ქართულად მეტად ამაღელვებელი წერილი გაუგზავნია. იგი

1 "სახალთა ვერცხელი". 1914 წ. 7 დეკემბერი, №158.

2 იქვე.

3 იქვე.

4 "კვალი". 1995 წ., №2, გვ.17

ძალზე საყურადღებოა. მოგვაქვს ამ წერილის ტექსტი: ძიავ, ბატონო
ნასე. "წყალწალღებულო კაცი ხავსს ეკიდებოდაო". ნათქვამია. მეც ამ
გადაკარგულ ადგილას სწორედ ამ ანდაზას ვგავარ. მეც წყალწალღებულოვით
ხავს ვეკიდები, მარა საუბედუროთ იღბალო არც მქონია, ხავსიც არსად
ჩანს. რაც ჩემს ჭეყანას მოგმორდი, მერე ერთი ლაზათიანი დღე არ
მინახავს მარტოთ მარტო ვარ აქ, ისე როგორც ნამდვილი ეთიმი /ობოლი/.

ავერ სამი დღეა, აქიდან ერთმა ჩვენებურმა ვურჯმი გამოიარა. ამ
გურჯს მრავალი გურჯის ლისანის / ენა / გახეთები მიჰქონდა. მე იგი
კაცი ჩემი ხისმი /ნათესავი/ მეგონა, რომ ვნახე, ისეთი გამოიხარდა, რაც
შეიძლებოდა ვემუსაიდფე, ორი-სამი წიგნი და გაზეთები მიაჩუქა, ეს მე
ძალიან გამიხარდა და ვთხოვე, რამენაირად მიქენით სიკეთე და გაზეთები,
ან წიგნები კიდო მიშონე მეთქი: მან მიჩასუხა, მე ამერიკაში მივლივარ
და ეგებ ვერც კი დავბრუნდეო. ამისათვის სიტყვას ვერ მოგცემო.
სტამბოლში ერთი ქართველი ცხოვრობს, იმას მრავალი გაზეთები და
წიგნები აქესო და გამოგიგზავნის და თქვენი ადრესიც დამიტყა. ი კაცი
ჩვენებური არ იყო. იმას ეტყობოდა შიგნით გურჯისტანული უნდა
ყოფილიყო. ახლა მე იმედი მომეცა ამ კაცის სიტყვებიდან და თუმც
არ გიცნობ, მაინც ვებდავ და გწერ ამ წიგნს. გთხოვ, ფრთად ნუ
ჩამომართვევ და თუ შეიძლება, ის გაზეთები, რომელიც თქვენ აღარ
გქირიათ გამოგიგზავნოთ მე.

ამასთანავე ჩემს თავსაც გაგაცნობთ. მე მართალია თათარი ვარ,
მარა მაინც ნამდვილი გურჯი ვარ: მუჰაჯირობის შემდეგ სათათრეში
მომიხნდა, გადმოსვლა და ახლა ტრიპოლში ვარ. ჩემობას ჩურჩუქ-სუს
თათრული ყველამ არ იცოდა და მეც რადგან დედაჩემი ქართველის
ქალი იყო, თათრული არ მისწავლია და ვერც აქ ვისწავლე, იმიზა რომ
თათრული ძალიან ძნელი სასწავლია. თათრული ლისანი სამი ენიდან
შედგება: ფარსულიდან, არაბულიდან და თათრულიდან. ქართული კი
კარგად ვიცოდი, ბაწას ვწერდი კიდევ. ახლა, რომ ამ გურჯმა გაზეთები
და წიგნები დამიტყა, სუნთლათ წავიკითხე, ნელათ-ნელათა, ყველა
გამახსენდა. ახ! ნეტაი ასე ადვილი სასტავლა იყოს თათრული, რავარც
ქართული არის. გთხოვთ, ნუ დამტოვებთ უმოწყალოთ, მეც თქვენებური
ვარ, და თუ რაიმე გაზეთები, ან წიგნები გაქ გამოგიგზავნე, თუ ღმერთი
შემეწნია და რაიმე საქმე ჩავიგდე ხელში, მაშინ მე თვითონ გამოვიწერ.
ახ! ძიავ, თურმე რა ძნელი ყოფილა ველ-დეთის /სამშობლოს/ დატეება,
ღმერთმა კითხოს, ვინცხანის ბრალია ასე ჩემი დაკარგვა.

ამასთანავე ღმერთს ვთხოვე თქვენსა და სუნთელი გურჯისტანს დღეგრძელობას, რომ მშვიდობით იყოთ თქვენც ყველა თქვენი ხისიმებთან. გწერთ თქვენი ერთგული გურჯი მამედ ალა ჭყონია¹ მართლაც, ჭეშმარიტი თანამემამულისათვის ძალზე ძნელი იყო სამ-შობლოსაგან დაშორება.

გამოჩენილმა ქართველმა მეცნიერმა ექვთიმე თაყაიშვილმა 1902, 1907 და 1917 წლებში იმოგზაურა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, ამ მხარის არქიტექტურული ძეგლების შესწავლის მიზნით. ამასთან ერთად, მან შეაგროვა და ჩაიწერა საყურადღებო ცნობები, ლეგენდები ამ მხარის მოსახლეობის ყოფა-ცხოვრების, წეს-ჩვეულებების, ისლამისა და თურქული ენის გავრცელების შესახებ.

ე. თაყაიშვილის ცნობით, ზოგ ადგილას გამაჰმადიანებული ქართველები ასრულებენ ზოგიერთ ქრისტიანულ წეს-ჩვეულებას. ასე, მაგალითად, ყურბან-ბაირამობის დროს მუსლიმთა აღდგომა/ ლებავენ კვერცხებს და ზოგჯერ ეკლესიის ნანგრევებში²

მისივე გადმოცემით, ხახულში, მონასტრის კარის ბეჭეში, აღმოსავლეთის კედელში, ღვთისმშობლის ქანდაკებაა, რომელსაც მკვიდრნი მარიამს უწოდებენ. ქალები ამ ქანდაკებასთან მიდიან, თამამად ალაპარობენ ხელებს და თხოვენ შვილის გაჩენას; ვისაც კი ძე აკლია, რძის მომატებას; ვისაც აუადძყოფი ჰყავს, მის მორჩენას და სხვ. ვისაც რა აწუხებს, მარიამის დიდად სწამთ არათუ დედაკაცებს, არამედ მამაკაცებსაც. მათი რწმენით, არავის შეარჩენს ტაძრის გაუპატიურებას და ხელის ხლებას³.

ამასთან დაკავშირებით, ე. თაყაიშვილს მოაქვს თქმულება ხახულის ტაძრის შესახებ: ერთ მოხერხებულ და მარჯვე ახალგაზრდას გაგონილი ჰქონდა, რომ ჯვარის ქვეშ გუმბათისა ხაზინაა შენახული და მან განიზრახა ასულიყო გუმბათზე ხაზინის მოსაპარავად. ასვლა მოუხერხებია, მაგრამ ვერაფერი ვერ უპოვნია. ჩამოვიდა ძირს, დაბრუნდა სახლში და მამინე გარდაცვლილა⁴.

1 კურან. "ქეალი". 1895. №2. გვ. 12-14..

2 ე. თაყაიშვილი. საქართველოს საქარაიულო. ის. ქართული ენისგანარკვეული ლექსიკონი. - "დაბრუნება". თბ., 1991 წ. ტ. 1. გვ. 217

3 იქნე. გვ. 218

4 იქნე.

სხვა სოფლებშიც დიდი მოკრძალება აქვთ ეკლესიისადმი. მაგალითად, ოთხთა ეკლესიის გვერდით თუმცა მშვენიერი ბაღნარია, მაგრამ ხალხი იქ არ ცხოვრობს. ამბობენ, ღისც არ დასახლდა, ყველანი ახოწყდარი. მკვლევარს მოაქვს ასეთი მაგალითი: ერთხელ ერთმა მწყემსმა ეკლესიაში ფარა შერეკა, მაგრამ ეს ფარა შემდეგ მოვიარინილმა წყალმა იმსხვერპლაო¹

ე. თაყაიშვილის ცნობით, სოფელ დასაბოში არის ეკლესიის ნანგრევები. ამ ნანგრევების დიდი შიში აქვთ სომეხებსა და ქართველ მუსულმანებს. აქ მოდიან სალოცავად შორეული კუთხეებიდანაც, განსაკუთრებით აღდგომას და სხვა დროსაც. აქედან არაფრის წაღება არ შეიძლება. ამბობენ, ერთმა ბებერმა სცადა აქ მოსტრის გაშენება, მაგრამ მაშინვე გარდაიცვალაო²

ე. თაყაიშვილს მოაქვს საყურადღებო ცნობები რელიგიური დღესასწაულების შესახებ. ირკვევა, რომ ხშირად ქრისტიანულ დღესასწაულს უფარდებენ მუსლიმურ დღესასწაულებს.

ასე, მაგალითად, სამუსლიმო საქართველოში მიღებულია ზიარეთში წასვლა, რაც ქრისტიანულ ხატობას შეესაბამება. ზიარეთი სამლოცველო ადგილს ჰქვია, უმეტესად აქ ძველი ეკლესიის ნანგრევები. ან ყოფილი საჯარეა, აქ მოდიან სხვადასხვა ადგილებიდან. განსაკუთრებით ქალები, მოაქვთ თაფლის სანთლები, ანთებენ მათ და ლოცულობენ. აქ რჩებიან ერთ-ორ ღამეს. შორიდან მოსულნი უფრო მეტსაც. ღამე მათ დაესიზმროს, თუ რა სამსხვერპლო ცხოველი უნდა დაკლან. ასეთ ჩვეულებას ასრულებენ მონასტრის ნანგრევებში და ბევრ სხვა ადგილას. მოლები უშლიან ასეთ ქცევას ხალხს, მაგრამ ვერაფერს ხდებიან.

ასეთი ზიარეთი აქვთ ხახულის მკვიდრთაც, ხევის სათავეში, მთაზე სადაც ეკლესიის ნანგრევებია დაცული³

ადგილობრივ მკვიდრ მოსახლეობაში შემონახულია ლეგენდები, რომელთა მიხედვით, ხახულის, ბანას, იშხანის, პარხალის, ოთხთა ეკლესიის, ოშკის ტაძრების აშენებას უკავშირებენ თამარ დედოფლის სახელს⁴

თამარის სახელს უკავშირებენ სხვა ეკლესიებსაც. ასე, მაგალითად, სოფელ კობაკის მახლობლად უჩვენებენ კლდეს, ხელის გულის გამო-

1 ე. თაყაიშვილი, სამუსულმანო საქართველო, გვ. 219

2 იქვე, 219, 220.

3 იქვე.

4 იქვე.

სახკლებით და ამბობენ. ეს თამარ მეფის ჩელოს ნაშთიაო. როცა მან გაიარა ამ ეკლესიასთან თავისი ლაშქრით, ცხენიდან ჩამოვარდა და ხელი კლდეის შიბიჩინა, რამელსეხდაც დარჩა ნასანი მისი ხელოსაო¹

ე. თაყაიშვილის ცნობით, კარგად იცაან თამარ დედოფლის სახელი სოფელ ბინათის მცხოვრებლებმაც. ბინათი მდებარეობს შელოს მახლობლად. ქოროხის ნაპირზე. ამ სოფელში 219 სული ცხოვრობს, ყველა ქართულად ლაპარაკობს. მათი თქმულებით, ამ სოფლის სახელი ასე წარმოიშვა: ერთხელ მიეცე თამარმა აქ გამოიარა; ცუდთ ამიხდის გამო გზა ვეღარ განაგრძო და ინება ღამის გათევა ამ სათელში; მას მიუხინეს საუკეთესო ბინა და მას შეძდეგ სოფელს დაერქვა სახელი ბინათი, რომ ამით აღიანიწილთ თამარის ღამის გათევა ამ სოფლის ბინაში²

ე. თაყაიშვილი საგანგებოდ ჩერდება ამ მხარეში თურქული ენისა, და მაჰმადიანობის გავრცელებაზე, მაგრამ ამავე დროს მოუყოლებს ქართული ენის გამძლეობაზე:

რაც შეეხება ქართულ ენას, წერს ე. თაყაიშვილი, ქართული ენა თანდათან დაფიწყებას მიეცა და დაუთმო ადგილი თათრულ ენას. ამას ხელი შეუწყო პირველად სიადგილემ თათრული ენისა. გადმოსახლება თათრებისა ქართველ მკვიდრთა შორის, სკოლებმა, სადაც მხოლოდ ყურანს ასწავლიან თათრულ ენაზე და სხვ. მაგრამ მიუხედავად ამისა ბევრ ადგილას ჯერაც შენარჩუნებულა ქართული ენა. ხამეტნავად მთის მივარდნილ და ძნელად მისასვლელ სოფლებში. მამაკაცების ყველამ იცის თათრული, მაგრამ თათრულად ელაპარაკებიან მხოლოდ უცხოელებს და ოსმალთა თანამდებობის პირებს. თავიანი შორის, ოჯახში მარტო ქართულად ლაპარაკობენ... ბევრად უფრო კარგად არის დაცული ქართული ენა ბათუმის ოლქში. ცნობილია, რომ აქ ჩობულეთელებსა და აჭარლებს ყველაზე კარგად აქვთ შენახული ქართული ენა. ამას გარდა ქართული ენა დაცულია კლარჯეთში და იმერზევში. კიდევ უყვი არის შენახული ქართული ენა ზოგიერთ ძნელად მისასვლელ სოფლებში შუა ქოროხის ბასეინისა.³

1917 წლის ექსპედიციის დროს ე. თაყაიშვილმა, ალ. სტ.-ის დახმარებით, აღწუხსა ის სოფლები, სადაც ქართულად ლაპარაკობენ. ესაა:

1 ე. თაყაიშვილი, საჩხეთისანი საქართველო, გვ. 221.

2 იქვე.

3 იქვე.

კობაკი, არმენიევი, ხევევი, გუდახევი, ხუმსალო, ბაღში, ხოდ-სუფლოა, უტაფი, ვანისხევი, კირვანსი, ოთხთა ეკლესია და ბინათი. ამ მხარეში არის კიდევ ერთი დიდი სოფელი, იშხანის მახლობლად, მასში 208 სული მცხოვრებია და ყველა ქართულად ლაპარაკობს. მისი სახელია კიმჭიძი¹

ე. თაყაიშვილი ასე ახასიათებს ამ მხარის ქართველებს: "მუსულმანი ქართველები ყოველგან თვალსაჩინოდ განირჩევიან სწვა საქუსულმანო საქართველოს მცხოვრებელთაგან. თურქებისაგან, ქურთებისაგან, თარაქმებისაგან და სხვებისაგან განირჩევიან სახით, ჩაცმა-დახურვით, ზნე-ჩვეულებებით, დარბაისლობით, სიღინჯით და პატიოსნებით. ტანისამოსი მამაკაცისა ისეთია როგორც გურულებისა, აჭარლებისა და ლაზებისა, ესე იგი ჩაქურა. ხოლო აჭარლები ქობულეთელებისაგან განირჩევიან ხასიათით. მათ შორის სისიძის აღება არ არსებობს, მრავალცილიანობა იშვიათია. ხალხი მშვიდია, პატიოსანი, ქურდობა მათ შორის იშვერდებელია."²

ე. თაყაიშვილის რუსმა ოფიცერმა ნ. შუგუროვმა ქართველი მაჰმადიანების შესახებ შემდეგი აცნობა: "სამი წლის განმავლობაში ჩემი ფრონტზე ყოფნისა მე კარგად დავეუკვრდი ნამდვილ თურქებს. მაგრამ ხახულის თურქების სახეებში, ნამეტნავად ახალგაზრდებისა, ამკარად შევნიშნე ნამდვილი ქართული სახეები. მეტად თავისებურია ღიძრონი შავი თვალები და ანაგება ტუჩისა... გამაჰმადიანებულ ქართველების შესახებ უნდა ვთქვა. ეს ხალხი რაინდულად პატიოსანია, სიმართლით გამსჭვალულია და ფრიად სტუმართმოყვარე... მე არ ვიცი შემთხვევა, რომ მათ ბოროტებისათვის ბოროტებით მიეზლოთ. პირიქით, სულ მცირე კეთილისათვის გვიძღვნიდენ ნათელი გულის მიდლობით... მათ შესახებ ვთქვი. 'აი ხალხი, რომელთაც განახორციელეს თავიანთ შორის ქრისტიანული იდეალები!'"³

მოტანილი ცნობებიდან ჩანს, რომ, მიუხედავად იმისა, რომ ქართველები გამაჰმადიანდნენ, უმრავლესობა ინარჩუნებს მშობლიურ ენას, ადათ-წესებსა და ეროვნულ თავისებურებებს.

1 ე. თაყაიშვილი, საქართველოსი საქართველო, გვ. 223.

2 იქნე. ვა. 225.

3 იქნე. ვა. 225.

ოუჩქეთში ქართველი მუშაკობის ცხოვრებასთან დაკავშირებით უფრადღობას იპრობს ევგენი დალესიო დალესიოს წიგნი "ქართველები კონსტანტინეპოლში" ¹

წიგნის ავტორი წარჩინებულ იტალიელი იაპანის შთამომავალია. ევგენი დალესიო დაიბადა 1888 წელს, კონსტანტინეპოლში. მან მიიღო კარგი განათლება. იგი დაინტერესდა ბიზანტიის ისტორიით, არქეოლოგიით, განსაკუთრებით კი კონსტანტინეპოლის წარსულთ და გამოაქვეყნა საყურადღებო ნაშრომი ბიზანტიის დედაქალაქზე, რომელმაც სპეციალისტების დიდი ინტერესი გამოიწვია. ევგენი დალესიო დაუახლოვდა კონსტანტინეპოლში მცხოვრებ ქართველებს. კერძოდ, აქ არსებული ქართული კათოლიკური ეკლესიის თანამშრომლებს, განსაკუთრებით კი შალვა ვარდიძეს. მან იმოგზაურა საქართველოში, ისწავლა ქართული ენა, გაეცნო საქართველოს ისტორიას, მის კულტურას.

ევგენი დალესიო დაინტერესდა თურქეთში გადახვეწილი ქართველების ბედ-იბდალით და გადაწყვიტა მათ შესახებ დაეწერა წიგნი, რაც 1921 წელს განახორციელა.

ევგენი დალესიოს ნაშრომი საყურადღებო წყაროა არა მარტო კონსტანტინეპოლში მცხოვრები ქართველების, არამედ, საერთოდ, მუშაკობის ქართველების მდგომარეობის შესასწავლად.

ევგენი დალესიო ასე ახასიათებს ქართველების მდგომარეობას და განმარტავს მათი წარმატებების მიზეზებს: "ქართველები ყველგან. მთელს ოსმალეთში, კარგად არიან მოწყობილნი. ეს იმით აიხსნება, რომ ოსმალეთში თავისუფალი სამოსახლო ადგილები ბევრი იყო. ისედაც, რასიული გამჭრიახობა და კულტურა მეტი აქვთ. ვიდრე ანატოლიის მცხოვრებ თათრებს.

როგორც ახალი მანა, რომელიც დამჭირნე გახდა თავისი ცხოვრება უზრუნველყო. დიდის ერთობით და ენერჯით შეუდგნენ მუშაობას. მათი ახალი სამოსახლოც ხელს უწყობდა, როგორც ძლიერ ნაყოფიერი. დრე-დამისავით განირჩევა. ამათი კარმიდამო, სოფლები, ყანები, მინდვრები და ბაღები დარჩნენ მუსულმანების სოფლებისაგან და მამულებისაგან.

¹ ევგენი დალესიო დალესიო, ქართველები კონსტანტინეპოლში, წიგნი "ქართველები კონსტანტინეპოლში და სხვისი" თბ., 1991, გვ. 13

ცხოვრებისათვის ბრძოლა დასჭირდათ; სადაც მათი ჯგუფი დიდი იყო, იქ ერთიან ძობასკეს პირველ-ყოფილი ელემენტი, რომელიც მას ვეღარ ეომებოდა ეკონომიკურად.¹

თურქი ავტორის ისმეთადაე მეჰმედ არიფის მიერ აღწერილი პერიოდისაგან განსხვავებით, XIX საუკუნის მიწურულსა და XX საუკუნის დამდეგს ქართველი მუქაჯირები ეკონომიკურად და სხვა მხრივაც უკვე საკმაოდ მომძლავრებული არიან, ეს შობდა უთუოდ ქართველების ინტენსიური შრომის, გარჯისა და უნარის შედეგად.

ვეგენი დალესიოს აზრით, ქართველების ეკონომიკურად დაწინაურებას ადგილობრივ მკაცრ თურქებთან შედარებით კიდევ იმან შეუწყო ხელი, რომ პირველებმა თავიანთი ზნე-ჩვეულება და ოჯახური ადათები წმინდად შეინახეს. საერთოდ დაღცინვით უყურებენ თურქებს და თავიანთში ქართულად გაიძახიან "თათარი კაცი არ გახდება" თავიანთ თავს გურჯებს ეძახიან და ამით ამაყოზენ. იშვიათია იმათში მრავალკოლოანობა და იშვიათად, თითქმის არასოდეს, სოფელიში თავიანთ ქალიშვილებს არ მიათხოვებენ ათორებს.²

ვეგენი დალესიოს ისევე, როგორც მეჰმედ არიფს, კარგად ესმის, თუ რაოდენ დიდი გავლენა აქვს ადამიანის კულტურულ ტრადიციებს. მისი შრომის ნაყოფიერებაზე, რაც ხელს უწყობს ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებას.

ვეგენი დალესიო კიდევ ერთ საყურადღებო მიზეზზე ამახვილებს ყურადღებას: "ისიც არ უნდა დავივიწყეთ, რომ ოსმალეთში გვაროვნებას და მაღალ სამსახურს დიდი ზეგავლენა აქვს მცხოვრებლებზე. ჩვენ ვიცით, რომ ოსმალეთის მთავრობაში დიდძალი ქართველი თავადობა იყო ან და თავიანთი გამჭირახობით და ენერგიით მოიპოვეს ფაშობის სახელწოდება და მაღალი სამსახურის ადგილები.³

ამას გარდა, ოსმალეთის სახელმწიფო სამსახურში წინაურდებიან ის მუქაჯირი ქართველები, რომლებმაც სწავლა-განათლება მიიღეს ოსმალეთის სხვადასხვა ქალაქებში და მათ შორის სტამბოლშიც. ვაგისენთან მეჰმედ არიფის სიტყვებია, რომ ქართველებს სწავლისადმი დიდი სურვილი აქვთ, და მშობლები მზად არიან ფული გადაიხადონ და შვილები სტამბოლში განათლების მისაღებად გაგზავნონ. როგორც ჩანს, ამან თავისი ნაყოფი გამოიღო.

1 იიგაი დალესიო დალესიო, ქართველები კონსტანტინოპოლში, გვ. 13.
2 იქვე.
3 იქვე.

ვეგენი დალუსითა შენიშნავს: „ქართველი აჯამები და მახელეები, თუმცა ცხად არა, მაინც ყოველ ღონისძიებით იცავდნენ თავიანთ გურჯებას. ამის უნარი შეესწავთ, ვინაიდან მთელ ოსმალეთში ყველა დაბრუნე და სამსახურში შეხვედრით თითო-ორილა ქართველ მუსულმანს. ამისავე ქართველ თაშების, მინისტრების, დეპუტატების, სენატორების, გუბერნატორების, ლენერლების, ოფიცრების და სხვა სამსახურის პირებს, თავიანთი პიროვნული პოლიტიკა და მისწრაფება ჰქონდათ. მთელ ოსმალურ ცხოვრებაში ჩარევა მათ არასოდეს არ ავიწყებდა თავიანთ გვაროვნულ მეს და ინტერესებს. თუმცა ოსმალეთის მთავრობა მარადის სასტიკ მტრულ თვალყურს ადევნებდა, რადგან ეშინოდა ქართველ მუსულმანების გურჯების. პოლიტიკური სიძლიერის განვითარებისა, მთელ იმპერიაში, ყველა ასპარეზზე გურჯების პატივისცემა და რიდი ყოველთვის ყოფილა.“¹

ქართველია მშობლიურ ენასთან დაკავშირებით ვეგენი დალუსით წერს: „ქართველთ მშობლიური ენა მაინც დღემდის შემონახული აქვთ, თუმცა ოსმალეთის მთავრობა მათ გათურქებას ძალიან ცდილობს. ქართველ მუსულმანთა სოფლებში საოჯახო ენა - ქართულია, რადგან საზოგადოებაში ვერ გადის და ასე თუ ისე თურქებთან დიდი მისვლა-მოსვლა არა აქვს. მშობლიურა ენა დღემდის დაცულია: მხოლოდ ქართულ ენასაც დიდი განსაცდელი მოეღოს. სკოლების საშუალებით მათშიც ვრცელდება თათრული.“

საკმაოდ ხშირად შეხვედები ქართულ წერა-კითხვის მცოდნესაც. საერთოდ ბევრს სურს ისწავლოს ქართული წერა-კითხვა, ან და ვინც უკვე იცის ქართული წერა-კითხვა, ან ვინც უკვე იცის ქართული წიგნები იკითხოს, მაგრამ ამ მხრივ საწყალი გურჯები მთლიანათ მიტოვებული არიან თავიანთი უფროსი ძმებისაგან ქრისტიან ქართველებისაგან.“²

როგორც დავინახეთ, ვეგენი დალუსით ცნობით, მუჰაჯირ ქართველებს მშობლიური ენა შენარჩუნებული აქვთ როგორც საოჯახო ენა, მათ

1 | ვეგენი დალუსით დალუსით, ქართველები სტამბოლში, გვ. 13 შტრ. უსაფუძრო, ქართველი დიდკაცობა სტამბოლში, დროება, 1909 წ. 27 აგლისი. 2. ქაქაბაძე, ქართველი მანსადანი უაშუბო, გას. საქართველო, 1915 წ. 7.10 აბრალი, მისავე, ასპარეზი უაშუბო და საქართველო, საქართველო, 1918 წ. 13 მარტი.

2 | ვეგენი დალუსით დალუსით, ქართველები კონსტანტინოპოლში, გვ. 14

შორის საკმაოდ ბევრია ქართული წერა-კითხვის მცოდნეც. ბევრს აქვს ქართული წერა-კითხვის შესწავლის სურვილიც.

ისლამმა ქართველ მუჰაჯირებს გარკვეული დალი დაასვა და მათი ეროვნული თავისებურება შეასუსტა. მიუხედავად ამისა ისინი ამყობენ, რომ არიან ქართველები და ერთმანეთს პატივს მიაგებენ და დახმარებას უწყევენ. აი როგორ ახასიათებს ქართველ მაჰმადიანებს დალესიო: ეროვნული შეგნება ქართველ მუსულმანებში საერთოდ არ არის განვითარებული, რადგან სჯულის ფანატისმს მარადის დაუქვეითებია იგი. თუმც, სისტემატურად თურქიზმი სობს მას, მაგრამ, პრაქტიკულად კი, ეროვნული გრძნობა დღეს... ძალიე ცოცხალია მათში. საერთოდ ყველანი ამყობენ, რომ გურჯები ქართველები, არიან და სადმე ან თავიანთში ქრისტიან ქართველს შეხვდნენ. საზოგადოდ გარეგნულადაც მაინც პატივს სცემენ და შეგნებულნი კი ყოველნაირ დახმარებასაც აღმოუჩენენ. თუ შესაძლებელია.¹

ახალგაზრდა თურქთა რევოლუციის შემდეგ /1909 წ./ თურქეთში მცხოვრებ ქართველ მაჰმადიანებს შორის თანდათანობით იღვიძებს ეროვნული თვითშეგნება /იხ. მომდევნო თავი/.

¹ აქვს დალუჯით დალესიო. ქართველები კონსტანტინოპოლში, გვ. 14.

ქართველები სტამბოლში

ქართველებს ჯერ კიდევ ბიზანტიელების დროს ჰქონდათ კონსტანტინეპოლში თავისი ახალშენი, სადაც საეპისკოპოსო და კულტურულ საქმიანობას ეწეოდნენ. ოსმალთა მიერ კონსტანტინეპოლის დაპყრობის შემდეგ იქ მცხოვრები ქართველთა რიცხვი თანდათანობით შემცირდა. ქართველები უფრო შეკავშირდნენ და ერთად შეჭგუფდნენ. ვინც კი დარჩა ძველი ახალშენიდან, ერთად დასახლდა გალათაში, სადაც გურჯი-კაფუ ქართველთა კარი იყო. ხოლო ცოტა უფრო გვიან, სხვადასხვა მიზეზების გამო, განსაკუთრებით ახლად ჩამოსული ახალციხელები დასახლდნენ ძველი სტამბოლის იმ ნაწილში, რომელსაც ვეზირ-ხანეს უწოდებდნენ. ეს ადგილი მდებარეობს იმ ქუჩაზე, რომელზეც აღმართულია კონსტანტინე დიდის ძეგლი, ნური-ოსმანის დიდი ბაზრის მახლობლად¹.

სტამბოლის ქართული ახალშენის მოსახლეობის დიდი ნაწილი მესხეთიდან იყო. მათი იქ დასახლება განსაკუთრებით გაიზარდა 1828-1829 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ. უმეტესობა ქართველი კათოლიკეები იყვნენ და გალათას მიდამოებში სახლობდნენ. საქიროა შეენიშნოთ, რომ მესხეთში კათოლიკობა XVII საუკუნის დამდეგიდან ვრცელდება. ამას სხვადასხვა მიზეზი ჰქონდა, რომლის გამოარკვევასაც აქ ჩვენ არ შევუდგებით. კათოლიკებს მფარველობას უწევდნენ რომის პაპი და ევროპის კათოლიკური საბელაშვიდოები. სტამბოლში ფერიქოში ქართველ კათოლიკთა საგანეს დაარსებამდე, ისინი ღვთისმსახურებას ასრულებდნენ წმინდა პეტრეს ეკლესიაში, რომელიც იტალიელებს ეკუთვნოდა.

ამ ეკლესიას თავისი სასაფლაო ჰქონდა, სადაც ქართველებსაც კრძალავდნენ. ქალაქის ზრდასთან ერთად, ძველი სასაფლაო მოშალეს და ახალი უფრო შორს გადაიტანეს. ტაქსიმის ძველ სასაფლაოზე ქართველებსაც თავიანთი განსაზღვრული ადგილი ჰქონდათ. ამ ადგილის ერთი ნაწილში, ევგენი დალეჯიო დალეჯიოს ცნობით, შემდეგში ბაღი გააშენეს და იქ ყავახანა გახსნეს. აქაურ ქართველებს საფლავების ქვებზე თითქმის ყოველთვის წარწერები ქართულად ჰქონდათ დაწერილი.

ქართული წარწერიანი საფლავის ქვები ბლომად იყო, მაგრამ, სამწუხაროდ, ერთი ნაწილი ამ ქვებისა სომხებმა მოიხმარეს საავადმყოფოს

¹ ივანე დალეჯიო დალეჯიო, ქართველები კონსტანტინეპოლში, გვ. 23.

'შენობისათვის. რომელიც ამ ადგილის პირდაპირ მდებარეობდა. დანარჩენი ქვები იმავე სააეადმყოფოს ეკლესიას მოახმარეს¹

ფერიქოის ქართველ კათოლიკეთა ეკლესიის არქივში დაცულია ამ სასაფლაოს ქართული წარწერების არასრული სია, რომელიც 1866 წელს შეადგინა ივანე გვარამაძემ. ამ სიიდან ყველაზე უძველესი წარწერა 1702 წელს განეკუთვნება. სიის შემადგენელი შენიშნავს, რომ გარდაცვლილთა უმრავლესობა ყოფილან ახალციხელები, მხოლოდ რამდენიმე აწყურიდან და ივლიდან მოსულა. სიის შედგენის დროს უკვე თითქმის ერთიანად მოსპობილი ყოფილა ქართველთა წარწერილი საფლავის ქვები²

ქართველ კათოლიკეთა მომრავლებისა და მათი ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების შედეგად, საჭირო გახდა სტამბოლში ქართველ კათოლიკეთა კონგრეგაციის დაარსება. ეს საქმე პეტრე ხარისჭირაშვილმა ითავა.

1859 წლის 7 მაისს რომის პაპმა პეტრე ხარისჭირაშვილს ნებართვა უბოძა სტამბოლში ქართული სასულიერო საზოგადოების შექმნისა და მონასტრის დაარსების თაობაზე. 1861 წელს სტამბოლის გარეუბანში ფერიქოიში დაფუძენდა ქართული კათოლიკური მონასტერი. მალე იქვე გაიხსნა სკოლა, ხოლო 1870 წელს დაარსდა ქართული სტამბა. ყველა ამ წამოწყების ინიციატორი, ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი იყო პეტრე /ლუკა/ ხარისჭირაშვილი /1818-1890/³.

აღსანიშნავია, რომ სტამბოლში დაარსებულ ქართულ კათოლიკურ ეკლესიაში წირვა-ლოცვა ტარდებოდა ქართულ ენაზე. ამას კი დიდი ეროვნული მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან ამ დროს სტამბოლში ცხოვრობდნენ როგორც კათოლიკე, ისე მართლმადიდებელი ქართველები და მის გარშემო უნდა მომხდარიყო ქართული თემის გაერთიანება.

ფერიქოის სკოლაში საღვთისმეტყველო საგნების გარდა ასწავლიდნენ ქართული ენის გრამატიკას, ქართულ ლიტერატურასა და ისტორიას, მათემატიკას. ფიზიკასა და ასტრონომიას, დიდი ყურადღება ეთმობოდა აგრეთვე ლათინური, ბერძნული და ფრანგული ენების სწავლებას.

1 მკგენი დაფუძვლი დ'აქუსიო. ქართველები კონსტანტინოპოლში. გვ. 24.25.

2 შ. ლომიასე. მიხეილ თაბორაშვილი და ქართველი კათოლიკენი. თბ., 1984. გვ. 151-68.

3 შ. ლომიასე. დასახ ნაწილი. გვ. 166-176.

სკოლაში ასწავლიდნენ აგრეთვე თურქულს, სკოლის გამგე პატრი ანდრია წინამძღვრისშვილი თურქული ენის მასწავლებლად მაჰმადიან ქართველებს იწვევდა. ერთი ასეთი მასწავლებელი იყო მემარნე / მემარნიშვილი/. ქობულეთელი, რომელსაც განათლება ევროპაში ჰქონდა მიღებული. მან ქართული კარგად იცოდა და თავისი ჭკეცნის პატრიოტი იყო. სკოლაში იგი ასწავლიდა თურქულ ენასა და ისტორიას¹

მოსწავლეები სწავლობდნენ აგრეთვე მუსიკას, გალობას, მართავდნენ თეატრალურ წარმოდგენებს, აწყობენ სკოლის დღესასწაულებსა და სხვ.

სამწლიანი სკოლის დამთავრების შემდეგ, მოსწავლეებს შეეძლოთ სწავლის გაგრძელება ევროპის სხვადასხვა ჭკეყანაში.

სკოლის მასწავლებელმა შალვა ვარდიძემ /შემდგომ იგი გახდა ბერიუთის უნივერსიტეტის პროფესორი/ ქართველი მოსწავლეებისათვის შეადგინა ოთხწლიანი სასწავლო პროგრამა, სადაც თითო წელი სამ სემესტრად იყო დაყოფილი. სკოლაში შესვლამდე მოსწავლეებს ერთწლიან მოსამზადებელ კლასში უნდა ესწავლათ.

ამ სასწავლო პროგრამის მიხედვით, მოსწავლეებს "დედაენის" შემდეგ ასწავლიდნენ ქართული ენის გრამატიკას, ლიტერატურას, ისტორიას, ზოგად. საგანმანათლებლო საგნებიდან ზეპირსიტყვიერებას, ქართულ ხელოვნებას, საეკლესიო ისტორიას, პალეოგრაფიას.

ქართველი მწერლებიდან პროგრამაში შეტანილი იყო 'მეშეთელის, ჩახრუხაძის, შოთა რუსთაველის, არჩილის, იოსებ თბილელის, დავით გურამიშვილის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, ვასტანგ და გრიგოლ ორბელიანების, აკაკი წერეთლის, ილია ჭავჭავაძის, ვაჟა ფშაველას ნაწარმოებები. მოსწავლეები აგრეთვე უნდა გასცნობოდნენ სამეცნიერო ლიტერატურას, კერძოდ. დ. ბაქრაძის, ივ. ჭავჭავიშვილის და სხვათა ნაშრომებს.

ეს პროგრამა პედაგოგიური და ეროვნული თვალსაზრისით ძალიან კარგად იყო შედგენილი. მან მიიპყრო ქართული საზოგადოების ყურადღება და მის შესახებ რეცენზია დაიბეჭდა "სახალხო გაზეთში".

მოწაფეები დიდ ყურადღებას იჩენდნენ ქართული ლიტერატურის მიმართ, განსაკუთრებით, ვეფხისტყაოსნისადმი. 1874 წელს შოთა რუსთაველის პორტრეტი, თამარ მეფის სურათთან ერთად, გადაბეჭდეს თავიანთ სტამბაში. ბევრმა მოწაფემ ზეპირად იცოდა ადგილები "ვეფხისტყაოსნიდან", ხოლო ზოგიერთმა სრულადაც კი.

1 შ. კლიჩაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 166-176.

ამ სკოლას ყურადღება მიაქცია საქართველოს საზოგადოებამაც, ქართულ პრესაში იბეჭდებოდა წერილები მის შესახებ.

1897 წლის ზაფხულში "ივერიის" კორესპონდენტი სტამბოლში ყოფნის დროს ეწვია ამ სკოლას, სადაც ამ დროს გამოცდები მიმდინარეობდა. იგი წერდა: " 3 ივლისს იყო წლიური გამოცდა კონსტანტინეპოლის ჩვენ ქართულ კათოლიკეთა ახალ დაარსებულ ქართულ-ფრანგულ სკოლაში. ყმაწვილებმა ზედმიწევნით კარგად იცოდნენ ქართული წერა-კითხვა, გრამატიკა და ხალხური სიმღერები, ფრანგული და ლათინური გვარაიანად იცოდნენ. ყველა იქ დამსწრენი კმაყოფილი დაერჩით. გამოცდამ გასტანა ოთხი საათი, ბოლოს დავარიგეთ საბავშვო წიგნები."¹

ოსმალეთის მთავრობა ქართველ კათოლიკეთა მონასტრისა და მის სკოლისადმი გარკვეულ ყურადღებას იჩენდა. თუმცა ქართული მონასტერი და სკოლა რაიმე პოლიტიკურ ამინდს არ ჰქმნიდა. სამაგიეროდ მათდამი ყურადღების გამოჩენა საშუალებას აძლევდა სულთანს თავისი თავი ქრისტიანთა მფარველად გამოეცხადებინა. ამას მოწმობს შემდეგი ფაქტი:

• XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან სულთან აბდულჰამიდ 11-ის /1876-1909/ დროს მიღებული წესის მიხედვით, როცა იგი ყოველ რამაზანის მეთორმეტე დღეს, მიემგზავრებოდა აია სოფიის მეჩეთში, მისი სურვილით, ქართული სკოლის მოსწავლენი იდგნენ ილდიზ-კიოსკის მახლობლად და მუსიკით ხედებოდნენ სულთანს, ამგვარად ისინი ჩაერთვნენ ამ საზეიმო ცერემონიალში. მეორე დღეს სკოლის მოსწავლეებსა და მასწავლებლებს ხონთქარი ოფიციალურად მოკითხვის ბარათსა და საჩუქრებს უგზავნიდა. მაგრამ იმის მსგავსი, რაც 1893 წელს რამაზანის მეთორმეტე დღეს მოხდა, იშვიათად მომხდარა. ამ დღეს სხვებთან ერთად აია სოფიას ჯამეში სალამლიქზე მიმავალი ხონთქარის აღლუმზე ილდილიზის ახლოს, ჩვეულებრივად გამოვიდნენ ქართველ კათოლიკეთა სკოლის მასწავლებლები და მოწაფეები. ანდრია წინამძღვარიშვილის ხელმძღვანელობით, საზეიმო სვლის დროს ხონთქარის ერთ-ერთმა აღიუტანტმა ცხენი ვერ შეაკავა. შეიჭრა ქართველ მოსწავლეთა რიგში და რამდენიმე მოწაფე დაასახიჩრა. სულთანნი ამ ფაქტმა ძალიან შეაწუხა, სანამ აია სოფიაში მივიდოდა, რამდენჯერმე იკითხა ამბავი. მეორე დღეს ირადა /ბრძანება/ გამოსცა, რომ მთავრობა თავისი ხარჯით უმკურნალებდა და დაასაჩუქრებდა დაზარალებულებს. სკოლის დირექტორმა ანდრია წინამძღვარიშვილმა და

1 "ივერია". 1897 წ. 3 ივლისი.

მისმა თანამემდევმე პატრი მერაბმა საჩუქრად მიიღეს ფულადი თანხა და ოქროს ჯვრები, დახმარება აღმოუჩინეს დაზარალებულებსაც. ეს ამბავი ელევისებურად გავრცელდა მთელ ქალაქში. მეორე დღეს სულთანმა ქართველი მოსწავლეები და მასწავლებლები დაპატიჟა ქალაქგარეთ და სპეციალური გემი გაუგზავნა მათ. სეირნობის შემდეგ მოღზე სუფრა გაშალეს. ნასადილევს გაიმართა საზეიმო ყრილობა. ქართული სკოლის მასწავლებელმა სტეფანე გიორგაძემ ფრანგულად წარმოთქმულ სიტყვაში ილაპარაკა სულთნის მიერ მინიჭებულ ფართო უფლებებზე, სწავლა-განათლების შემოღებაზე, სულთნის ყურადღებასა და გულუხვობაზე. ასევე ფრანგულ ენაზე სულთანს მიმართა ანდრია წინამძღვრიშვილმაც, რომელმაც თავისი დიპლომატიური სიტყვა ასე დაასრულა: ჩვენს სკოლაში მოსწავლეებს ქრისტეს სჯულთან ერთად ოსმალთა მმართველობის პატივისცემასაც ვასწავლით, რომელიც ჩვენ მფარველობას გვიწევს. ორმა მოსწავლემ წიგნიდან გაზეპირებული სიტყვა თურქულად წარმოთქვა. წარმოთქმული სიტყვების საპასუხოდ, ბოლოს ქართულ ენაზე გამოვიდა თურქეთის სახალხო სკოლის ზედამხედველი ისმაილ ფაშა. დროდადრო ისმაილ ფაშას სიტყვას აწყვეტინებდა სააღლუმოდ ჩამწკრივებული ჯარი და ხმამაღლა გაიძახოდა "ფადიშაჰიმ ჩოხ იახში." სხვათა შორის, ისმაილ ფაშამ აღნიშნა, რომ თურქეთში სწავლა-განათლების საქმეში ქართველ-ბერ-მონაზვნებს "საცალკეო" დამსახურება მიუძღვით, რომ მათ თავიანთი უანგარო სამსახურით დიდი პატივი დასდეს სტამბოლის მოსახლეობასა და საერთო სიყვარული დაიმსახურესო¹.

მეორე დღეს სტამბოლის ყველა გაზეთში /თურქული, ევროპული/ დიდი სათაურით გამოქვეყნდა ცნობა სულთან აბდულჰამიდის შეხვედრის შესახებ ქართველ კათოლიკთა სკოლის მასწავლებლებსა და მოსწავლეებთან. ზოგიერთმა გაზეთმა მთლიანად დაბეჭდა. ცერემონიაზე წარმოთქმული სიტყვებიც კი ამასთან დაკავშირებით გაზეთი "სტამბოლი" აღნიშნავდა, რომ ასეთი პატივი უცხო ერის რომელიმე სკოლას იშვიათად მისცემოდაო².

ქართული კათოლიკური მონასტრის ავტორიტეტის ზრდასთან ერთად მის მიმართ ფართოვდებოდა ინტერესი სტამბოლში მცხოვრები მაჰმადიან ქართველების მხრიდან. მათ თანდათანობით დაიწყეს ფარულად მონასტრის

1 "ქვარი კახისა". 1906 წ. №18

2 იქვე

ქსამში სიარული, თავიანთ მოძმეებთან შესახვედრად. სულთან აბდულ-
აზიზის რეაქციული რეჟიმის დროს ეს ფრიად სარისკო საქმე იყო, რასაც
მოწმობს შემდეგი სიტყვები "ჩემად მივდიოდი, ღამე წავიდოდი, რომ
ჩაშუშებს არ დავენასვე."¹

სტამბოლში მცხოვრებ ქართველების დაახლოებას ხელი შეუწყო იქ
გამართულმა აკაკი წერეთლის იუბილემ.

1908 წლის 25 აპრილს სტამბოლში აკაკი წერეთელს დიდებული
იუბილე გადაუხადეს, რომელსაც ესწრებოდნენ იქაური ქართველები,
განურჩევლად სარწმუნოებისა. მას დაესწრო გაზეთ "დროების" საკუთარი
კორესპონდენტი ქართველი შვილი. იგი წერდა: ვინც 26 აპრილს ფერიქოის
ქართველ კათოლიკთა მონასტერში იყო, იმას აღარ დაავიწყდება ეს დღე-
მონასტრის უმცროსი ძმების ხელით მშვენივრად იყო მორთული დარბაზი
და სურათი აკაკისა.

სურათს ყვავილების გვირგვინი ჰქონდა შემოვლებული და თავზევით
ოქროს ვარაყიანი ასოებით ეწერა: "აკაკი ჩვენი, ვითარცა შოთა რუსთაველი
და სარგის თმოგველი." ქრისტიანი ქართველები, ვისაც კი გაეგო და
ბარათი მიეღო, თითქმის ყველა მოვიდა თავისი ოჯახებით, დაესწრო
სხვათა შორის სპარსეთიდან შაჰის ბრძანებით გაძევებული, დღეს აქ
მყოფი რუსული გაზეთის კორესპონდენტი ი. ამირაჯიბი. მოახერხეს და
ჩამოვიდნენ ჩვენდა სასიამოვნოდ მაჰმადიანი ქართველებიც².

სალამო პარაკლისის გადასდით დაიწყო, რომელიც აღასრულა სტეფანე
გიორგაძემ. პარაკლისის დროს მოსწავლეთა გუნდი ქართულად გალობდა.
შემდეგ შესავალი სიტყვა კვლავ გიორგაძემ წარმოთქვა და კვლავ გალობა
დაიწყო. მოსწავლეთა ორკესტრი ყოველი სიტყვის შემდეგ მრავალყამიერს
ასრულებდა. ამის შემდეგ იასე რაკველმა ისაუბრა აკაკის ცხოვრებასა
და მოღვაწეობაზე. იუბილეზე სიტყვები წარმოთქვეს აგრეთვე დომინიკე
მულალაშვილმა, ვლ. წერეთელმა და სხვებმა. ფერიქოის ქართული სკოლის
მოსწავლემ ნებაძემ აკაკისადმი მიძღვნილი საკუთარი ლექსი წაიკითხა.
სხვები კი აკაკის ლექსებს კითხულობდნენ.

ამ იუბილეს ერთ-ერთი საგულისხმო შედეგი ის იყო, რომ შემოწირულ-
ობის გზით მიღებული ფულით შეიძინეს წიგნები და დაარსეს აკაკის

1 "დროება". 1910 წ. 13 ოქტომბერი.

2 იქვე. 1908 წ. 25 აპრილი.

სახელობის ბიბლიოთეკა-სამკითხველო. ამის გამო გაზეთი "დროება" წერდა: "პირველი სერიოზული გამოხატულება სტამბოლელი ქართველების ეროვნული გამოღვიძებისა არის ქართული ბიბლიოთეკის დაარსება თვით სტამბოლში."¹

1908 წელს, სტამბოლში მცხოვრები ვლადიმერ წერეთლის თაოსნობით დაარსდა საქველმოქმედო საზოგადოება, "ქართველთა ერთობის" სახელწოდებით. მისი მიზანი იყო გაეერთიანებინა იქ მცხოვრები ქართველები, განურჩევლად რელიგიისა, ხოლო ხელმოკლეებისათვის მატერიალური დახმარება აღმოეჩინა. საზოგადოებას საკუთარი დროშა ჰქონდა, ლურჯი და მწვანე, ლურჯი იყო ნატვრისა და ქრისტიანობის ფერი, ხოლო მწვანე იმედისა და მაჰმადიანობისა².

ეს საზოგადოება, ფაქტიურად, არალეგალურ მდგომარეობაში იმყოფებოდა და მხოლოდ ახალგაზრდა თურქთა რევოლუციის შემდეგ შეუდგა პრაქტიკულ მუშაობას.

1908-1909 წლების ახალგაზრდა თურქთა რევოლუციისა და კონსტიტუციის აღდგენის შემდეგ ქვეყანაში პოლიტიკური ცხოვრება თანდათანობით გამოცოცხლდა. იქმნებოდა სხვადასხვა პოლიტიკური პარტიები და ორგანიზაციები. ქართველ მაჰმადიანთაგან ოთხი დეპუტატი პარლამენტში აირჩიეს. ქართველი მუსლიმები თამამად ხედებოდნენ კათოლიკე ქართველებს. იმართებოდა სჯა-ბაასი ეროვნულ საკითხებზე. ამ საქმეში დადებითი როლი ითამაშა ფერიქიოს ქართველთა საჯანემ. იგი გახდა ქართველთა თავშეყრის ადგილი და აქ სხვადასხვა საჭირბოროტო საკითხებზე მსჯელობდნენ³.

ქართველ კათოლიკეთა მონასტერში დიდი ზემოთ ყოველ წელს ტრადიციულად აღნიშნავდნენ ქართულ ეროვნულ დღესასწაულს, ნინობას. ამ დღეს ეკლესიის ტრაპეზის თავზე აღმართული იყო წმინდა ნინოს დიდი ხატი, წარწერით: წმინდა ნინო, ივერიის მოციქულო, ევედრე ჩვენთვის!"

1909 წლის 14 იანვარს "ნინობას" დაესწრო "დროების" კორესპონდენტი ქართველიშვილი. მისი ცნობით, წირვა გადაიხადეს ფერიქიოს

1 იქვე, 1909 წ. 2 თებერვალი.

2 ნ. ბოსტაშვილი, ასე რაჭველიშვილის (მესელია) წერილები თურქეთიდან, თბ., 1991 წ. გვ. 35.

3. მ. სეაჩიხ, ქართველები სტამბოლში, "ხაიფ", 1993 წ. 4 ნოემბერი, 29 დეკემბერი.

ქართველ კათოლიკეთა მონასტერში ქართულ ენაზე და მას დიდი საზოგადოება დაესწრო. წმინდა ნინოობის გადახდის დროს, აქ წესად ჰქონდათ ქართულ ენაზე გალობაც შეესრულებინათ, მაგრამ ამჯერად ეს ვერ მოხერხდა, რადგანაც გუნდის წევრი ქართველი მოსწავლეები რომში იყვნენ გაგზავნილი სწავლების გასაგრძელებლად.

ნინოობის დღესასწაულს დაესწრო მონასტრის უფროსი ბენედიქტე, მამა ანდრია წინამძღვრიშვილი, პატრი მერაბი, ვლადიმერ წერეთელი და სხვ. მინოობის დღესასწაულის დამთავრების შემდეგ, ვლადიმერ წერეთელმა დამსწრე საზოგადოება მიიწვია ცალკე დარბაზში, სადაც ჩატარდა საზოგადოება "ქართველთა ერთობის" პირველი ოფიციალური კრება.

კრება გახსნა ვლადიმერ წერეთელმა. მან კიდევ ერთხელ მიულოცა დამსწრეთ ნინოობა და ახალი წელი. შემდეგ დაწვრილებით ილაპარაკა ახლად შექმნილი საზოგადოების მნიშვნელობაზე და დასასრულს სთქვა: "დღეს უკვე დაბადებულია ჩვენი ერთობა და ამიერიდან ნულარც მოიშლება იგი!" მაგრამ რომ უფრო ნაყოფიერი იყოს მისი არსებობა, საჭიროა ბიბლიოთეკასთან ერთად დავაარსოთ სალარო, საიდანაც დახმარება მიეცემა სტამბოლში მყოფ უმწეოდ დარჩენილ და გაჭირვებულ ქართველთ... მეორეც, მოგვხსენებათ. სტამბოლში მცირე არის ქართველთა რიცხვი. იმათში ბევრია ქართველთა ერთობის მომხრე და მსურველი. ჩვენ შეგვიძლია იმათთან ერთად შევადგინოთ დიდი საზოგადოება. ამოვირჩევთ კაცებს და ყველა ჩვენ საერთო საქმეთა ხელმძღვანელ-მმართველებად და ამით ნიადავი მიეცემა ჩვენს საუკეთესო მომავალს

კრებაზე ბრწყინვალე სიტყვა წარმოსაქვა პატრი მერაბმა. აქაურ ქართველთა სულის ჩამდგმელმა. მან თავის სიტყვაში შემდეგი განაცხადა: "დღეს, ოსმალეთის ქართველებისათვის კონსტიტუცია მეტად სასარგებლო ამბავია. ამიტომ ჩვენი სამშობლოს სახელით მივულოცავთ და ვთქვათ: ოსმალეთის კონსტიტუციას გაუმარჯოს, სტუმართმოყვარე ერმა იცოცხლოს, ოსმალეთის ქართველებმა იცოცხლონ!"

საჭირო იყო, ამ უცხოეთშიაც ყოფილიყო ერთი რამ ქართველთათვის და ქართველთა სახელი სწოდებოდა; და ასე მოხდა ის, რაც შარშან ამ დროს, ამავე ადგილას საქვეყნოდ ხსენება არ შეგვეძლო. დღეის იქით ბანზედ ძახილი შეგვიძლია... დიდი ხნით ნატრული კონსტანტინოპოლში "ქართველთა ერთობა" უკვე დაარსდა!...

ჩვენ მუდამ იმ დედააზრით უნდა ვხელოძღვანელობდეთ. რომ ჩვენი კანონების პირველი მუხლი არის ქართველთა ერთობა, მისი მიზანია ქართველთა ერთობა და საშუალებაც იგივე ერთობაა. ერთობა დასაწყისი. ერთობა აღსასრული. ერთობაა საშუალო.¹

მალე საჭიროა შეიქმნა ქართული კლუბის დაარსება. ამ მიზნით 1911 წელს გაზეთების საშუალებით მოწვეულ იქნა შალვა ვარდიძის ბინაზე, პაპას-კვეპრის სასწავლებელში, ყველა ქართველი, განურჩევლად რწმენისა და ხარისხისა. იმართებოდა კრებები, რომელზედაც ესწრებოდნენ ქართველები. მათ რიცხვში იყვნენ ფაშები, გენერალები, ოფიცრები, ვეჭილები, ექიმები. რამდენიმე ვაჰარი, მოხელეები და სტუდენტები. ქართული სიტყვებითა და სიმღერებით იხსნებოდა და იხურებოდა ყოველი კრება. შემუშავებს წესდება. რომელიც ოსმალეთის მთავრობამ დაამტკიცა.

ქართული კლუბის დაარსებამ დიდი გამოხმაურება ჰპოვა ოსმალეთის ქართველობაში. ისინი დიდი აღფრთოვანებით შეხვდნენ ამ ღონისძიებას. და მასში მონაწილეობის მიღების სურვილი გამოთქვეს. ერთ-ერთ წერილში ვკითხულობთ: "გაზეთის წაკითხვისას თითქმის გადავირიე, ჩემ თვალებს არ სჯეროდა ამის სინამდვილე. მაგრამ მეორე კრების მოხსენებაც რა წავიკითხე, დავრწმუნდი, რომ ქართველ მუსლიმანებს ციოთ ნათელი მოგვეკლინა, ვინაიდან დღეის შემდეგ ვიტყვიოთ, რომ ჩვენც ვყოფილვართ ხალხი, რომელიც თავის ეროვნულ პიროვნებას აღიარებს და ეროვნული კულტურით საზრდოებს. ბატონო შალვა /ვარდიძე მ.ს./ კლუბის წესდება გამომიგზავნეთ თათრულ ენაზე და ამასთან რამდენიმე ქართული წიგნი, რათა ვისწავლო ჩემი მშობლიური ენა და ჩემი ხალხის წარსული ისტორია." სალამი³

ამ საზოგადოების დანიშნულებისა და საქმიანობის შესახებ საყუ-
რადღებო ცნობებს გვაწვდის აგრეთვე სტამბოლში მყოფი, გაზეთ "სანალხო
ფურკლის" კორესპონდენტი დ. ჩიქოვანი. "ქართული კულტურის გადა-
სარჩენად, წერს იგი, დააარსეს ქართველთა საზოგადოება /"გურჯი თაათუნ
ჯემიეთი"/, რომლის დედა აზრი იყო ქართული წერა-კითხვის გავრცელება
და სკოლების დაარსება ქართველ მაჰმადიანებისათვის, როგორც სტამბოლში

1 "დროება", 1909 წ. 14 იანუარი.

2 ვაჰენი, დააღუჯაო დ'აღუჯისი, ქართველები კონსტანტინეპოლში, გვ. 15. 16.

3 აქვე.

ისევე პროვინციებში. მათ სკოლას უნდა მიეცათ აღზრდა ქართულ-ოსმა-
ლურ-ფრანგული, რაც მნიშვნელოვანი იყო ადგილობრივ ყოფა-ცხოვრებას-
თან.¹

საზოგადოება ენერგოულად შეუდგა თავის საქმიანობას. მაგრამ,
სამწუხაროდ, მან დიდხანს ვერ იარსება. სხვადასხვა პოლიტიკური მიზეზების
გამო: დაიწყო აჯანყება ალბანეთში, ამას მოჰყვა ომი იტალიასთან, შემდეგ
ბალკანეთის ქვეყნებთან და ბოლოს კი მსოფლიო ომი. საზოგადოებამ
თავისი არსებობა შეწყვიტა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მან დადებითი
ზეგავლენა მოახდინა მაჰმადიანი ქართველების ეროვნულ თვითშეგნებაზე.

1909 წლის იანვრის თვეში გაზეთმა „დროება“ დაბეჭდა თავისი
კორესპონდენტის უსახლკაროს წერილი, სათაურით: „ქართველი დიდ-
ბულები სტამბოლში“. ამ წერილიდან საკმაოდ კარგად ჩანს, თუ რა
დიდი იყო წარჩინებულ ქართველთა რიცხვი სტამბოლში და რა მაღალი
თანამდებობებიც ეკავათ მათ ოსმალეთის სახელმწიფოში. მაგალითისათვის
რამდენიმეს დავასახელებთ: პასან ფერიმ ფაშა, შთამომავლობით ქართველია
მარადიდიდან. ეროვნებათა უფლებების დაცვის პროფესორი, ერთ დროს
იყო ქალაქ სალონიკის გუბერნატორი. 1909 წელს აირჩიეს მეჭლისის
/პარლამენტის/ დეპუტატად, შემდგომ ოსმალეთის სახელმწიფოს საბჭოს
დეპუტატად. იყო ოსმალეთის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე და
სენატორი. ოსმალეთში მოღვაწეობდნენ სამხედრო, მინისტრი რიზა ფაშა
/ჩაყულ ათაბაგთა შთამომავალი/, ოსმალეთის პარლამენტის დეპუტატი
ახმედ ბეგ თავდგირიძე. მისი ძმა მაჰმუდ ფაშა, ოსმალეთის არმიის
გენერალი და სხვ.²

სტამბოლში პეტრე ხარისჭირაშვილის თაოსნობით დაარსებულმა ქარ-
თულმა სტამბამ გარკვეული კვალი დატოვა საგანმანათლებლო საქმიანობაში.
იქ იბეჭდებოდა სასწავლო და სხვა შინაარსის წიგნები. მაგალითად: მოკლე
რიტორიკა, მოკლე ფრანციკული გრამატიკა, კარი ლათინური გრამატიკისა,
ყვავილების კონა, საქრისტიანო მოძღვრება, მოკლე ფილოსოფია. პატარა
საქრისტიანო მოძღვრება, წალკოტი ლოცვით, ბრძენი კაცი, გზა ცხოვრებისა,
ყოვლად წმინდის ღვთის-მშობლის ცისკრის ლოცვანი, იაკობ პერიქი,
დოღმატური ღვთისმეტყველება, ბრძენი კაცი და სხვ.

1 "სახალსი ფურცელი". 1914 წ. 14 დეკემბერი.

2 "დროება". 1909 წ. 27,29,30 იანვარი.

სტამბამ განსაკუთრებით გააქტიურა თავისი მუშაობა საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის /1918-1921/ პერიოდში. ამ დროს დაიბეჭდა ისეთი საყურადღებო წიგნები როგორიცაა: პ. სურგულაძე საქართველო თავისუფლებისათვის /1918/, პ. ინგოროყვა საქართველოს ტერიტორიის საზღვრების შესახებ /1918/, პ. სურგულაძე, დამოუკიდებელი საქართველოს საერთაშორისო მნიშვნელობა და სხვ.

ქართულ სტამბას სტამბოლში დიდი საგანმანათლებლო-კულტურული მნიშვნელობა ჰქონდა არა მარტო იქ მცხოვრები ქართველებისათვის, არამედ საერთოდ ქართული წიგნის ბეჭდვის თვალსაზრისითაც.

ამრიგად, სტამბოლის ქართული კათოლიციკური ეკლესია, სასწავლებელი, სტამბა ასრულებდნენ ქართული კულტურის კერის ფუნქციას. აქ ხდებოდა ქართველების სულიერი და კულტურული აღზრდა, ფერიქიის სკოლამ ბევრი სასიქადულო მამულიშვილი გამოზარდა. მათ შორის იყვნენ გამოჩენილი ქართველი მეცნიერები მიხეილ თამარაშვილი, მიქელ თარხნიშვილი და სხვ.

ქართველთა სტამბოლის ეს საგანე მოინახულეს საქართველოს სახელოვანმა მეცნიერებმა დიმიტრი ბაქრაძემ, ალექსანდრე ხახანაშვილმა, პეტრე უმიკაშვილმა და სხვ.

აღსანიშნავია, რომ ფერიქიის ბიბლიოთეკასა და არქივში მუშაობდა მიხაკო წერეთელი, მან აქ დაწერა და დაბეჭდა თავისი ცნობილი წიგნები: "ხეთების ქვეყანა, მისი ხალხები, ენები, ისტორია და კულტურა /1924/, "გილგამეში", თარგმანი და გამოკვლევა."

ერთი სიტყვით, სტამბოლის კულტურის ამ კერამ გარკვეული კვალი დატოვა ქართველი ხალხის ცხოვრებაში.

ქართველნი თურქეთში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ამერიკის შეერთებულ შტატების მთავრობა დიდ ყურადღებას უთმობს თურქეთს, მისი სამხედრო-სტრატეგიული მდებარეობის გამო. სამხედრო-პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე, ამერიკელები ინტენსიურად სწავლობენ თურქეთის ისტორიას, კულტურას, ეკონომიკას და სხვ. ამერიკელი მეცნიერები თურქეთის ეთნოგრაფიის საკითხებითაც დაინტერესდნენ. კერძოდ, თურქეთში მცხოვრები სხვა ხალხებისა და მათ შორის ქართველების ყოფა-ცხოვრებით. ამასთან დაკავშირებით ამერიკელმა ეთნოგრაფებმა მეტად საყურადღებო მონოგრაფიები და სტატიები გამოაქვეყნეს.

მათ შორის აღსანიშნავია პროფ. პაულ მაგნარელას ნაშრომი, დაბეჭდილი ინგლისურ ჟურნალში "ისლამის სამყარო", სათაურით "ქართველების ასიმილაცია თურქეთში".¹

პ. მაგნარელა 1971 წელს გახდა ფილოსოფიის დოქტორი ჰარვარდის უნივერსიტეტში. შემდეგ მუშაობდა ბარლინგტონისა და ვერმონტის უნივერსიტეტებში. ამჟამად იგი მუშაობს ინდიანას უნივერსიტეტში /აშშ/.

პროფ. პ. მაგნარელა ერთ ქართულ სოფელზე პირადი დაკვირვების შედეგად თავის სტატიაში აგვიწერს ქართველების თანდათანობით ასიმილაციას თურქულ მოსახლეობასთან.

პ. მაგნარელას ცნობით, 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შედეგად ქართველების ერთი ჯგუფი, რომელის მეთაური იყო სადიკ ალა. ბათუმის რაიონიდან აიყარა და დასავლეთ თურქეთში ქალაქ ბალიქესირიდან 13 კილომეტრის დაშორებით დასახლდა. ქართველების მოსვლამდე ცოტა ხნით ადრე, აქ მომთაბარე თურქები დასახლდნენ. ქართველებმა და თურქებმა ერთი სოფელი დააარსეს და მას ქართული სახელი მანა უწოდეს.²

1 Magnarella P. J. The Assimilation of Georgians in Turkey. A Case Study. "The Muslim World", vol. LXVI, pt. 1, 1976 p 35-43; რეფერატი იხილეთ: გიზა ჯაფარიძე, "უცხოელი ავტორები საქართველოს შესახებ", ისტორია, 5, თბ., 1972, გვ. 36-50.

2 P. Magnarella, The Assimilation of Georgians in Turkey, p. 36.

როგორც პირველ თავში აღვნიშნეთ, XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ოსმალეთის მოავრობას მომთაბარე ტომები გადაჰყავდა ბინადარ ცხოვრებაზე. ქართველი მუჰაჯირების გვერდით მომთაბარე იურუქების დასახლებით და ერთიანი სოფლის დაარსებით. მთავრობას სურდა კიდევ უფრო მტკიცე გაეხადა იურუქების მიწაზე მიმაგრება, რადგან ქართველი გლეხები საუკეთესო მაგალითის მიმცემი იქნებოდნენ სოფლის მეურნეობის წარმოების საქმეში. ამასთანავე, მათი ერთ სოფელში თანაცხოვრება ხელს შეუწყობდა ქართველების ასიმილაციის პროცესს იურუქებთან. როგორც ჰევიოთ დავინახავთ, ნებით თუ უნებლიეთ თანდათანობით, ხდებოდა მათი დაახლოება, დამოყვრება.

სოფ. მანას მამასახლისად მორიგეობით ირჩევდნენ ხან ქართველსა და ხან თურქს. სოფელი ორ უბნად იყოფოდა: ზემო უბანი, რომელიც მხოლოდ იურუქებს ეკავათ და ქვემო უბანი, სადაც ქართველები ცხოვრობდნენ. ეს ორი უბანი გაყოფილი იყო გზით. ქართველები კარგი ხელოსნები. უმთავრესად ხუროები იყვნენ. სოფელში დასახლების შემდეგ შეუდგნენ თავიანთი ბინების მშენებლობას. ქართველთა სახლები წარმოადგენს ფართო, ორსართულიან შენობებს. სახლები აგებულია წითელი აგურისაგან, რომელსაც ქართველები თავად ამზადებდნენ თავიანთ ღუმელებში. ერთი ქართველის სახლის შესასვლელზე მითითებულია აშენების თარიღი 1302 /1884/5/ წელი.

მოუხედავად იმისა, რომ იურუქებიცა და ქართველებიც სუნიტი მუსლიმები არიან, თითოეულ უბანს 1955 წლამდე ჰქონდა საკუთარი მეჩეთი და ჰყავდა საკუთარი მოლა.

ამის გამო, რელიგიური შეკრებები განცალკევებულად იმართებოდა. 1950 წლამდე აქ 90-100 ქართული და 70-75 თურქის ოჯახი სახლობდა. შემდეგ კი ქართველების რიცხვი ძალზე შემცირდა და საბოლოოდ ორივე ხალხმა გადაწყვიტა ერთი მეჩეთით ესარგებლა.

სოფლის ცენტრში, გზაჯვარედინზე ქართველების პატარა დუქანში იკრიბებოდნენ როგორც ქართველები ისე თურქები. ეს დუქანი ცენტრალური ადგილია ამ ორ ხალხს შორის კომერციული საქმიანობისათვის. თანაც არაოფიციალური თავყრილობის ადგილიც ამ სოფლის მამაკაცებისათვის. აქვე მახლობლად საჩაიეში ნახავდით მამაკაცებს, რომლებიც ჩაის მიირთმევდნენ და სოფლის საქმეებზე მსჯელობდნენ.

ქართველებისა და თურქების ტრადიციული ნათესაური სისტემა ბევრ რამეში მსგავსია. ორივე ხალხისათვის ტრადიციულად იდეალური ოჯახი

პარტიარქალურია, ხასიათდება მამაკაცის ბატონობით, უფროსთა პარტი-
ისტემითა და ქალების მონური მორჩილებით. მიუხედავად იმისა, რომ
საერთო რელიგია სუნიტური ისლამი მრავალცოლიანობის ნებას
იძლევა, მსგავსი ფაქტები ქალიან იშვიათია.

3. მაგნარელა შენიშნავს, რომ ამ ორი ხალხის ქორწინების
წესჩვეულებები სრულიად განსხვავებულია. ქართველები ამჯობინებენ ქარ-
თველებზე დაქორწინებას და მკაცრად კრძალავენ ქორწინებას მკვიდრ
ბიძაშვილებს შორის, არ მოსწონთ ქორწინება ნათესავენს შორის. მანას
ბევრი ქართველი ქორწინდება ამ რაიონის სხვა სოფლის ქართველებზე.
ქართველებისაგან განსხვავებით, თურქები ნებას რთავენ მკვიდრი ბიძაშვი-
ლების ქორწინებას და გარკვეულ შემთხვევაში უპირატესობას აძლევენ მას.

მომავალი მეუღლეების შერჩევა ზოგჯერ ხდება ოჯახებს შორის
შეთანხმებით, შეყვარებულთა გაქცევით ან მოტაცებით. მიუხედავად იმისა,
რომ პირველი გზა იდეალურია, როცა ორივე ოჯახის მეთაურები არაპ-
ირდაპირ მოლაპარაკებას აწარმოებენ თავიანთ შთამომავალთა ქორწინების
თაობაზე, როგორც თურქები, ისე ქართველები შეყვარებულ ქაბუკებსა
და ქალიშვილებს საკმაო თავისუფლებას აძლევენ საიდუმლო შეხვედრებისა
და შესაძლებელი გაქცევისათვის.

მოტაცება, დაქორწინების მიზნით, ტრადიციული იურუქული ადათია.
მას არც ქართველები იწუნებენ, მიუხედავად იმისა, რომ იურუქები ნებას
რთავენ მკვიდრ ბიძაშვილთა ქორწინებას, მათთვის ენდოგამია დამახასი-
ათებელი არ არის.

3. მაგნარელას დაკვირვებით, ადრინდელი წლებში იურუქებისა და
ქართველებს შორის ქორწინება არ ხდებოდა და ამ ორ ხალხს შორის
შენარჩუნებული იყო სოციალურ-კულტურული ზღვარი. მაგრამ თანდა-
თანობით ახალგაზრდა იურუქებმა დაიწყეს ქართველი გოგონების გატაცება
მინდვრებიდან და სოფლებიდანაც, ზოგჯერ ქალის ოჯახი მეტად უარყოფით
რეაგირებას ახდენდა ამ ფაქტზე და საჭირო იყო შუამავლობა სისხლის-
მღვრელი შურისძიების თავიდან ასაცილებლად. სხვა შემთხვევებში, ქარ-
თველები და იურუქები აღიარებდნენ შექმნილ მდგომარეობას და ცნობდნენ
ახალ ოჯახს. თანდათან საქორწინო კავშირებმა გავლენა იქონიეს მათ
შორის არსებული სოციალურ-კულტურული სხვაობის შემცირებაზე და
გაადვილეს შემდგომი შერეული ქორწინებები.

3. მაგნარელა დაასკვნის, მართალია, ქართველები ჯერ კიდევ
ამჯობინებენ, რომ მათი შვილები ქართველებზე დაქორწინდნენ, მაგრამ

ისინი აღარ გამოთქვამენ უარყოფით დამოკიდებულებას იურუქებთან და სხვა თურქებთან ქორწინებაზე. ამის გამო შერეული ქორწინების რაოდენობა გაიზარდა. ბოლო წლებში მოსახლეობა თანდათან სტოვებს სოფელ მანას და სხვადასხვა ქალაქებში მიდის სამუშაოს საძებნელად.

1954 წელს მთავრობამ ქალაქ სუსურუქში შაქრის ქარხნის მშენებლობა დაიწყო. ბევრმა ქართველმა აქ სამუშაო იშოვა. 1955 წელს ქარხანამ მუშაობა დაიწყო და ქალაქში სოფლებიდან ათასობით გლეხი წავიდა. მათ შორის ქართველებიც. ამჟამად ქალაქში 30-35 ქართული ოჯახი ცხოვრობს. ისინი ახალ უბანში დასახლდნენ. მათ აქვთ საკუთარი ყავახანა, სადაც მამაკაცები იკრიბებიან და მშობლოურ ენაზე საუბრობენ.

1954 წელს და შემდეგ, კიდევ 30 ქართულმა ოჯახმა დატოვა ეს სოფელი და სტამბოლში, იზმირსა და ბურსაში დასახლდა. დღეისათვის მანაში დაახლოებით 30 ქართული ოჯახი ცხოვრობს. ქართველებისაგან განსხვავებით, იურუქების უმრავლესობა სოფელში დარჩა.

მანადან ქართველების ემიგრაციის შედეგად დარჩენილმა შედარებით მცირერიცხოვანმა ქართველებმა არაპრაქტიკულად ჩათვალეს საკუთარი მეჩეთის შენარჩუნება, რადგანაც არ არსებობდა რაიმე რელიგიური განსხვავება მათსა და იურუქებს შორის და შეეძლოთ ერთად ესარგებლათ მეჩეთით. ის ქართველები, რომლებიც სუსურუქში გადასახლდნენ, დაუყოვნებლოვ გახდნენ რელიგიური თემის წევრები და ახლა ისინი თურქების გვერდით მეჩეთში ლოცულობენ.

კ. მაგნარელას დაკვირვებით, მეორე ფაქტორი, რომელიც ხელს უწყობს ასიმილაციას, არის რასობრივი ფაქტორი და იგი არ უნდა გამოგვრჩეს მხედველობიდან. ქართველები, წერს ავტორი, ნამდვილი ევროპელები არიან, მანას მკვიდრი ქართველები ღია სახის ფერით, საშუალოდან მაღალი ტანით, წაბლისფერი და ქერა. თმით, მწვანე და ლურჯი თვალებით გამოირჩევიან. ეს ფიზიკური მონაცემები ძალზე მიმზიდველია თურქებისათვის და არც თუ მცირე როლს თამაშობენ ორი ხალხის ურთიერთქორწინებაში.

კ. მაგნარელას აზრით, შიდაქორწინება ორმაგად მნიშვნელოვანი ფაქტორია, რადგანაც ის არა მარტო ხელს უწყობს ასიმილაციას, არამედ განაპირობებს მომავალ ინტეგრაციას. იქ მცხოვრები ქართველების თქმით, განსაკუთრებით კი ქალაქ სუსურუქში, ამგვარი ქორწინებათა რიცხვი საგრძნობლად იზრდება.

ავტორის მიერ სუსურუქში შეგროვილი მონაცემებით, 17 ქორწინებიდან 5 იყო თურქთან, ორი ჩერქეზთან და დანარჩენ 10 შემთხვევაში ქართველებს შორის.

უთუოდ გასათვალისწინებელია სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორიც. ქართველებმა დაამტკიცეს, რომ უნარიანი და შრომისმოყვარე მუშები არიან. მათი ოსტატობა აღიარებულ იქნა თურქების მიერ. ბევრმა ქართველმა თავისი შრომით დიდ წარმატებას მიაღწია სუსურუქში, რის გამოც ისინი მოწონებას იმსახურებენ.

ბუნებრივია, ვივარაუდოთ, რომ თურქეთში ქართველებისა და სხვა არათურქი მოსახლეობის ასიმილაციაზე გავლენა მოახდინა მთავრობის ოფიციალურმა პოზიციამ, განსაკუთრებით რესპუბლიკის ადრინდელ წლებში, როცა თურქეთში ეროვნული სამშობლოსა და ეროვნული სულის განმტკიცებას. გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა.

ოფიციალური ცნობებით, თურქეთში მცხოვრები ყველა მუსლიმი ხალხი რასობრივად და ეთნიკურად თურქია.

ზოგ სკოლაში ასწავლიან, რომ ქართული და ჩერქეზული ენები თურქულის უბრალო დიალექტებია და ამ ენებზე მოლაპარაკენი მოვალენი არიან ისწავლონ ნამდვილი თურქული.

ამასთან დაკავშირებით. პ. მაგნარელას მოაქვს ერთი საყურადღებო ფაქტი. დაწყებითი სკოლის მასწავლებელმა, წარმომოხმობით ქართველმა. მას უთხრა, რომ ქართველები სინამდვილეში კასპისპირელი თურქები არიან. ისინი ლაპარაკობენ თურქულ დიალექტზე, ახლა ლიტერატურული თურქული უნდა შეისწავლონ¹.

ამგვარ "მეცნიერულ" თეორიებს თხზავენ პანთურქისტები, რომელთაც არაფერი აქვთ საერთო ისტორიულ სინამდვილესთან. სამწუხაროდ, როგორც დავინახეთ, ამ ყალბი თეორიის გავლენის ქვეშ მოექცა ქართული წარმომობის პედაგოგიც.

პ. მაგნარელა თვლის, რომ ქართველები არ არიან შეზღუდული შევიდენ სოციალურ კლუბებში, პროფესიონალ ჯგუფებში. ისინი მონაწილეობენ ადგილობრივ პოლიტიკურ ცხოვრებაში და სულ მცირე ერთ ქართველს მაინც, უკავია მაღალი მდგომარეობა რომელიმე მთავარი პოლიტიკური პარტიის ადგილობრივ განყოფილებაში.

¹ Magnarella P., The Assimilation of Georgians in Turkey, p. 41

თურქეთის სხვადასხვა ქალაქებში თურქებისა და ქართველების ურთიერთობაზე საკუთარი დაკვირვება უფრო ფართო მასშტაბით ამტკიცებს ამ დასკვნებს. თურქეთის მთავარ ქალაქებში ქართველებს ხშირად უკავიათ წამყვანი თანამდებობები მრეწველობაში, ვაჭრობაში, საბანკო საქმეში, განათლების სისტემაში და სხვ. ავტორის ცნობით, თურქეთში ძალზე ცოტანი არიან სეპარატისტი ქართველები.

მიუხედავად იმისა, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გაძლიერდა თურქეთში მცხოვრები ქართველების ასიმილაციის პროცესი, დიდმა ნაწილმა მაინც შეინარჩუნა თავისი ენა და ეროვნული თვისებები. ამიტომ ვერ გავიზიარებთ იმ მეცნიერების მოსაზრებას, რომლებიც თვლიან, რომ მოხდა სხვადასხვა ქვეყნიებიდან თურქეთში დასახლებული მუჰაჯირების ასიმილაცია.

ნა-იან წლებამდე თურქეთში მცხოვრებ ქართველების უმრავლესობას საქართველოზე ძალზე ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა. თუ არ მივიღებთ მხედველობაში 30-იან წლებში ნიაზი აჰმედ ბანოღლუს მიერ თურქულ ენაზე თარგმნილ ალ. ყაზბეგის 'ელისოსა' და 'ელგუჯას' და ეგნატე ნინოშვილის რამდენიმე მოთხრობას¹

1960 წელს თურქეთში ჩავიდა ქართველი მეცნიერებისა და ხელოვნების მუშაკთა პირველი ტურისტული ჯგუფი. თურქეთის ქალაქებსა და სოფლებში მოგზაურობის დროს ვხვდებოდით ჩვენებურებს. გვქონდა მათთან საუბარი. მათ უმრავლესობას საქართველოზე ასეთი წარმოდგენა ჰქონდა: რუსეთმა საქართველო დაიპყრო, აქ აღარ არსებობს არავითარი ეროვნული ინსტიტუტები, ქართველები გარუსდნენ. მხოლოდ მათ შესძლეს რუსებისაგან თავის დაღწევა და თურქეთს შეაფარეს თავი.

მაგრამ თანდათანობით, თურქეთთან ურთიერთობის გაფართოების შედეგად, არა ერთი ჩვენებური ჩამოვიდა საქართველოში თავისი ნათესაებისა და დედასამშობლოს სანახავად. მათი წარმოდგენა საქართველოს შესახებ ნელ-ნელა შეიცვალა: მათ დაინახეს, რომ საქართველოს რესპუბლიკას ჰყავს თავისი მთავრობა, სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში სწავლა-განათლება ქართულ ენაზე სწარმოებს, აქვს თავისი მეცნიერებათა აკადემია. მწერალთა კავშირი, კულტურული დაწესებულებები თეატრი, კინო და სხვ.

¹ Çiloglu F., Gürcülerin Tarihi. s. 87

1965 წელს ქალაქ იზმირში გაიხსნა საერთაშორისო ბაზრობა-გამოფენა. ამჟერად იქ პირველად საქართველოს რესპუბლიკაც იყო წარმოდგენილი: უნდა ვიფიქროთ, რომ ამ ფაქტმა შთაბეჭდილება მოახდინა იქ მცხოვრებ ქართველებზე და ხელი შეუწყო მათ საქართველოს შესახებ ცოდნის გაფართოებას.

პავლიონში წარმოდგენილი იყო საქართველოს მიღწევები და წარმატებები მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის დარგში. აქ ხდებოდა ქართული ფილმების ჩვენება, გაისმოდა ქართული მუსიკა და სხვ. ერთი სიტყვით, მნახველს ზოგადი წარმოდგენა ექმნებოდა საქართველოს შესახებ.

იზმირის რეგიონსა და მის მახლობლად მდებარე ქალაქებსა და სოფლებში დიდი რაოდენობით ცხოვრობდნენ ჩვენებურები და ისინი დიდი ინტერესითა და ყურადღებით ათვალიერებდნენ საქართველოს პავლიონს.

თანამედროვე ეტაპზე თურქეთში ქართველთა-ყოფა-ცხოვრება გაშუქებულია პროფ. პ. მაგნარელას მონოგრაფიაში "ტრადიცია და ცვლილებები თურქეთის ქალაქებში".¹

მონოგრაფიაში შესწავლილია, თურქეთში მცხოვრები ქართველების ყოფა-ცხოვრება /ისტორია, ეთნოგრაფია, ეკონომიკა/. სოფელ ჰაირიეს მაგალითზე. რომელიც მდებარეობს ბურსის ვილაიეთში.

მონოგრაფიას საფუძვლად დაედო მასალები, რომელიც ავტორს მიაწოდა აჰმედ ოზკანმა /მელაშვილმა/.

მას დიდი წვლილი მიუძღვის ქართული თემის ტრადიციებისა და კულტურის შესწავლასა და შენარჩუნებაში. ა. ოზკანის მიერ შედგენილი დიარამები, რომლებიც სოფლის მცხოვრებთა მატერიალური კულტურის სხვადასხვა მხარეს ასახავს, ძირითადი წყაროა პ. მაგნარელას სტატისტიკურ-ეთნოგრაფიული და სოციალური გამოკვლევისათვის.

პ. მაგნარელას გადმოცემით, სოფელი ჰაირიე დააარსა XIX საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში ართვინიდან გადმოსახლებულმა მუჰაჯირი ქართველების ერთმა ჯგუფმა. სოფელ ჰაირიეში მცხოვრებთა გადმოცემით, მათი წინაპრები ამ სოფელში გადმოსახლდნენ ბურსის ვილაიეთიდან,

1 Magnarella P.J. The Venture, Tradition, Migration and Change among Georgian Peasants in Turkey: (With contributions by Ahmed Oskan — Boston (Maas) Hall, 1979, 179 p.). რეგერატი ისტუდ: დ. სარქიხიანი, თბილისი, 1985, გვ. 24-30.

აბაშაში მკაფიოდ ვფენდის ინიციატივით. იმაშმა აღნიშნული ადგილი
მ. ...მკაფიომ. რომ მისი ადგილმდებარეობა საქართველოს ლანდშაფტს
წააგავდა. აქ დასახლების პირველ ხანებში მათ დახმარება გაუწიეს
ანლომდებარე სოფლის მცხოვრებლებმა. თურქეთის მთავრობის მხრივ მათ
არაკეთილად დახმარება არ ჰქონდათ. ვიდრე სოფლის მცხოვრებლებმა 1895.
წელს არ ააგეს პატარა მეჩეთი ე.ი. სანამ ისლამის ერთგულნი არ
გაზდნენ.

ამრიგად, ისლამისადმი ერთგულება იყო მთავარი პირობა დახმარების
მიღებისათვის. აქედან კარგად ჩანს, თუ რაოდენ დიდ მნიშვნელობას
ანიჭებდა ისლამის ფაქტორს ოსმალეთის მთავრობა.

ამჟამად პაიროში მცხოვრები პაირი პაირობლუ /ვახტანგ მალაყაძე/
და სხვები ამ სოფლის დაარსების ისტორიას კი ასე მოგვითხრობენ:
“პაიროე /ხეიროე/ მაკიხელია. 1888 წელს მაკიხელის ხეობიდან წამოსული
ხალხის თარუნია ეს. მოსულან ისტანბულ რამეთიმე წელს გემებზე
უცხოვრიან. შემდეგ ხეირიას /კაცის სახელია/ და რამეთიმე ამხანაგს
დუჟფიშმანებთან. მისულან ფადიშაპთან, ადგილი გუაჩვენე ჩუენ. გურჯის-
ტანიდან მუჰაჯირები ვართო. იმასაც უთქუაშს, რომ ბურსას მიდამოებში
გასიგჯეთ ადგილები და მიმახდინეთო. გამოსულან აქა, მუჟულიან აქავერობა.
ველ ადგილებზე კოლოები ყოფილან, იმიტომ იქ არ დასახლებულან.
დასახლებულან ჩიქუნეთის მგზავს ადგილებზე. აქ ამოსულან, მოსწონებთან.

აქ ვიცხოვრებთო. შემდეგ ესენი წასულან ისტანბული. მოჩეჩებული
ხალხი, ოჯალები გამუჟყუანიან აქა, სულ სამოცი ოჯალი. ამ ოჯალებ
შორის არიან ჩიქუნარები, ჩხუტუნარები, მილისელნი, კირნათელნი.
ხალხი უბნებით დასახლებულან. კირკიტაძეები. დასახლებულან კირკიტეთში.
ხინკილაძეები ხინკილეთში. ქოქოლაძეებიც ამ უბანში არიან. ვაკიელები
ბევრი გუარები არიან. აქ ერთი გუარის კილია ჭინქარა. სოფელი ასი
წლის რომე გახდა. იყო ხუთას ოზდაათი ოჯალი. ხეიროედან სხუაგან
წასულებიც ბევრი არიან...

ამ სოფლის უბნებია /მაჰალეები /: 1. ხინკილეთი, 2. კირკიტეთი, 3.
სიკალეთი, 4. ვაკე, 5. ჯამბაზები მალაყაძეების უბანია ესა.”¹

სოფლის უბანთა სახელწოდება პირველ დასახლებულთა გვარებიდან
მომდინარეობს.

1 შ. ჯუჯუხარიას. წყნობურების ქართული. გვ. 340.

თითოეულ უბანში 30-დან 40-მდე სახლია. საკარმიდამო ნაკვეთით. სოფლის ცენტრალურ ნაწილს ეწოდება ორთა /ქართულად ეძახიან ხინკლაძეს/. რომელიც სოფლის საქმიან ნაწილს წარმოადგენს. აქ მდებარეობს მეჩეთი. დაწყებითი სკოლა და დუქნები.

ჰაირიეს მოსახლეობა სწრაფად გაიზარდა. ამას ხელი შეუწყო აგრეთვე იმიგრანტთა ნაკადმა და მათ შორის ლაზთა ოჯახების დასახლებამ.

XX საუკუნის 20-იან წლებში ჰაირიე მაზრის ცენტრი /ნაპიე/ გახდა.

პ. მაგსარელა წარმოგვიდგენს ჰაირიეს მოსახლეობის დინამიკას 1880-1974 წლებში:

წელი	1880	1940	1945	1950	1965	1970	1974
მოსახლე.	250	955	1026	1083	1010	746	750

ავტორის დაკვირვებით. 60-იანი წლებიდან მოსახლეობის რაოდენობის მკვეთრი შემცირება გაპირიბებულია თურქეთისა და ევროპის ქალაქებში. განსაკუთრებით კი გერმანიაში; მიგრაციით.

ამერიკელ მეცნიერს განხილული აქვს ქართული მოსახლეობის ნათესაური ურთიერთობანი და სოფლის სოციალური ორგანიზაცია. იგი იძლევა ცნობებს ოჯახის სტრუქტურისა და შინაგანი ორგანიზაციის, ოჯახური ტრადიციების შესახებ; აღწერს რიტუალურ წესებს, სასოფლო თემის ცხოვრების ეროვნულ თავისებურებებს.

სოციალური თვალსაზრისით, სოფელი ჰაირიე ტიპური საგლეხო თემია. ოჯახის სტრუქტურა შედარებით ერთგვაროვან ხასიათს ატარებს. მისთვის დამახასიათებელია ნათესაობის ქართული სისტემა. მამაკაცისადმი ქალის დაქვემდებარება. ოჯახურ-ნათესაურ ურთიერთობებში განსაკუთრებული ადგილი უკავია აკრძალვებს. რომლებიც ცნობილია "შეზღუდული ურთიერთობების" სახელწოდებით. მათ ხანგრძლივ შენარჩუნებას ავტორი უკავშირებს პატრიარქალური და პატრიარქალურ-ფეოდალური წყობილების ნორმებს. მკვლევარი ყურადღებას აქცევს იმ გარემოებას, რომ ამ ურთიერთობაში საუკეთესო ტრადიციული თვისებები ხელს უწყობს ოჯახის შინაგანი ორგანიზაციის განმტკიცებას.

ოჯახის შემდეგ ნათესავთა უმნიშვნელოვანესი ჯგუფია გვარი. რომელიც მომდინარეობს მამრობითი სქესის წინაპრისაგან. ამ ჯგუფის მიმართ

მოქმედებს ურთიერთდახმარების ვალდებულება. მემკვიდრეობის სისტემა მამრობითი ხაზით მიმდინარეობს. ქარბობს ნუკლარული ოჯახი.

ამასთანავე ოჯახის ადით-წესების ანალოზი ადასტურებს, რომ ქართველები წარმოადგენენ სულიერი კულტურის "ცოცხალ" ელემენტებს. რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ქართული თემის ცხოვრებაში. სოფლის მოსახლეობის ნათესაური ხასიათი ხელს უწყობს ნათესაური და მეზობლური ურთიერთობის ძველი ფორმების შენარჩუნებას.

ქორწინება პატრილოკალურია, საკმაოდ მკაცრად იცავენ ქორწინების აკრძალვას მამის ხაზით უახლოეს ნათესავთა შორის, თუმცა, თურქული პრაქტიკის გავლენით, გვხვდება ქორწინება ბიძაშვილის შვილებს შორის. დამახასიათებელია ჰიპერგამია. სასიძო უფრო მდიდარი უნდა იყოს ვიდრე სარძლო. ქორწინების ყველაზე გავრცელებული ფორმაა გარიგებით ქორწინება, ავტორი განიხილავს ნიშნობის წესს. თუმცა მამაკაცებს ცოლად მოჰყავთ სხვა ეროვნების ქალიშვილებიც, მაგრამ ქალიშვილებს მხოლოდ ქართველებზე ათხოვებენ. ადგილობრივ ქალიშვილებს სიამოვნებით ათხოვებენ მათზე, ვისაც უმუშევრიათ ქალაქებში, ან ევროპაში. ქალიშვილების საქორწილო ასაკი 15-18 წელია.

საქორწინო წესჩვეულებებში ორგანულადაა შერწყმული ძველი ტრადიციული წესები და თანამედროვე ჩვეულებები.

პროფ. პ. მაგნარელა ანთროპონიმებზე მსჯელობისას იყენებს, ა. მელაშვილის გამოკვლევას. რომელიც მან 50-იან წლებში ჩაატარა. ანთროპონიმების წარმომავლობის პირველ ფენას იგი საერთო-ქართულ საფუძველზე ხსნის. მაგალითად, "ძველი" "ძველიშვილი". მეორე ფენას შეადგენს გვარები. წარმომდგარი თურქული და არაბული, სპარსული საკუთარი სახელებისაგან, რომელთაც დართული აქვთ. ქართული დაბოლოება. მაგალითად, ალიბეგი ალიბეგაშვილი. მესამე ჯგუფს შეადგენს თურქული წარმოშობის გვარები ბიარაქთაროლლუ ბიარაქთარისშვილი. ამჟამად ზდება პირველი ფენის გვარების შედარებითი შეზღუდვა - ისინი შეადგენს სახელების მხოლოდ 4 პროცენტს.

პირველი ფენის ანთროპონიმებს თურქეთში ოფიციალურად არ ცნობენ. ამას პ. მაგნარელა ხსნის შემდეგი გარემოებით: ოსმალეთის იმპერიასა და რესპუბლიკის არსებობის დასაწყის პერიოდში, თურქეთში გავრცელებული იყო არაბული, თურქული, სპარსული და კავკასიური წარმოშობის გვარები. გათურქებისა და გვარების სისტემის რეგულირების მიზნით, თურქეთის მთავრობამ შეიმუშავა კანონი, რომელიც ძალაში

შევიდა 1935 წლის 1 იანვრიდან. ამ კანონით, თურქეთის მოქალაქეებს შესთავაზეს შეერჩიათ თურქული წარმოშობის გვარები, რომლებიც შემდგომ რეგისტრირებულ უნდა ყოფილიყო საამისოდ სპეციალურად შექმნილ ორგანიზაციაში. ამის შედეგად, საგვარეულო სახელად იქცა კლასიკური თურქული ეტიმოლოგიური მოდელის ნებისმიერი ელემენტი. ასეთმა გვარებმა გვერდზე გადასწია ქართული წარმოშობის ძირითადი ანთროპონიმური ფონდი. რეფორმების პროცესში შეიმჩნეოდა ტენდენცია საერთო-თურქული დეზიდერატივების არჩევისა, რომელთაც შესუსტებული ჰქონდათ, ან საერთოდ არ გააჩნდათ ეროვნული შეფერვილობა. მაგალითად, ნეირაშვილი ჰეიროღლუ. გოგაძე ჭიბანი, მოყვანილია მაგალითი ერთიანი საგვარეულო სახელის დიფერენცირებისა - ქოქოლაძე ბაისიგითი, ბალი, თურანი, ვაროლი, გურსესი.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, შენიშნავს პ. მაგნარელა, სოფლის მცხოვრებლები დღემდე ინარჩუნებენ თავიანთ წარმომავლობით გვარს, რომელსაც 1935 წლამდე ატარებდნენ. უახლოეს ათეულში ძველი წარმომავლობის გვარები უმნიშვნელო რაოდენობამდე შემცირდება.

მონოგრაფიაში გაანალიზებულია სოფელ ჰაირიეს მოსახლეობის საქმიანობის ძირითადი სახეობები. განხილულია მიწისმფლობელობისა და მიწათსარგებლობის, ნიადაგების დამუშავების სისტემა, მეცხოველეობა და წერილი ხელოსნური წარმოება.

ავტორი აღნიშნავს საცხოვრებელი სახლების ტიპოლოგიურ ერთიანობას და ლოკალურ მრავალფეროვნებას. სახლები ძირითადად ორსართულიანია. აშენებული იქ არსებული მასალის გამოყენებით.

სოფლის ეკონომიურ უჯრედს წარმოადგენს ოჯახი. მას, ძირითადად, შენარჩუნებული აქვს პატრიარქალური ხასიათი და აერთიანებს რამოდენიმე თაობის წარმომადგენლებს. ქართული თემის საგლეხო მეურნეობის ფუნქციონირება, ძირითადად, შეესაბამება იმ პროცესებს, რომლებიც ნატურალურ მეურნეობაში მიმდინარეობს.

ჰაირიეში მიწის ნაკვეთები გლეხების საკუთრებაა და მათ ამუშავებენ ცოცხალი ძალის გამოყენებით. პ. მაგნარელას დაკვირვებით, მიწის ქრონოლოგიური უკმარისობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია სოფლის მოსახლეობის რეგულარული მიგრაციისა ახლმდებარე ქალაქებში ინეგოლსა და ბურსაში და საზღვარგარეთაც კი, კერძოდ, გერმანიაში. გვხვდება შემთხვევები მიწის იჯარით დამუშავებისა.

სოფლის მეურნეობაში წამყვანი დარგებია მარცვლეულის, ბოსტნეულის, ხილის, მზესუმზირის წარმოება და მეცხოველეობა /ცხვარი, თხა/, მეფრინველეობა. თამბაქოს წარმოება მეურნეობის ერთ-ერთი ძირითადი დარგია.

პაიროს გლეხები ასე მოგვითხრობენ თავიანთი სოფლის მეურნეობის წარმოებაზე: 'მიწაზე რა მოდის? პური, ფათათესი, ქერი, ულაფი, ქუავი, ბურჩაღი/ საქონლის საკმელია, პურივით არი/ ძუელათ ხარით ვხნავდით. ჯილათი, ფულულლით... სიმინდი აპრილში, მაისის დაწყობიდან დეიტესვის.

ყანაში ხაზი, კიტრი, ყარფუზი, ტომათი დეირგვის... კალობა ვიცი. ხარმანობა თხუთმეტ დღეს გაწევს. თუ ნაღია არ გუაქ ქერიანი, სიმინდს პავისთვინ ჩამოვკიდავთ ქანდარაზე. გახმება, დავფშენით, დავაფქავთ... -ლობიოს ჯიშებია: თეთრი ლობიაი, შავი ლობიაი, ბაჭგაი ლობიაი, ძირვალი ლობიაი, ფარუხაი ლობიაი. ესა შავია, ხაშრისა არი. ხაზი /გოგრა/ ვიცი: შავი ხაზი, თეთრი ხაზი, კადობაი ხაზი, თათლის გემოიანი ხაზი.¹

ბოსტნეულიდან მოყავლათ: 'ბოსტანი გუაქ. ჭინძი, მაკიდო, შამპრამი, ქონდარი, პიტრნა, ქექიტი /ტარხუნა/. პრასა, ნიორი, ბოლოკი, მიწანაპი /მიწყავაშლი/.²

საკმელებიდან ამზადებენ: ამოლესილი ლობიო. ამას უნდა ჭინძი, მაკიდო, ნიორი, კაკალი, შამპრამი, ვინცხას უყვარს, ყორაოს ურთავს. წურვილიც ვიცი. ჭინძი, ნიორი, კაკალ დანაყავ. გალესავ, ყირმიზ ბიბერ მუაყრი, მუასხამ. კარხალი ფურცელ მოხარშავ, აინი სუნელებს დანით წააჭრი... მალახტო მოხარშავ ლამუზათ. შამპრამი, ჭინძი, მაკიდო, სურუნჯი, კაკალი უურევ. ეს ახალი ლობიადან გაკეთდება. კერჩხო ლობიაიც ვიცი. ჩვენებური შავი ფხალი კაი საკმელია... ლობიო-ფხალიც ვიცი... ხორციდან ქოფთე კეთდება, პაშლამა, ყაურმას ვიქთ. იოთურმას ვიქთ, ფვთლიჯანის იათურთმა ყიმაით კაი მუა. ბიბერი ტოლმა, ქებაბი, ფირზოლა ვიცი. ფირზოლა, დვიორაზე რომ შეწუავ ხორცსა, იმას ვებნევი. შიში გაკეთდება, ხიდან ვიქთ იმასა. ორ ჩათალ დავდებ, იმაზე დავდებ. ლაკმაჭუ, ფიდიები, ზედ ხორცი. ყუშბაში კეთდება კიდვენ, ჩიტის თავის დენი ყაურმა.³

1 შ. უსტარააზე. ჩვენებურების ქართული. გვ. 343,344.

2 "სქუ.

3 "სქუ.

3. ძაგნარელა გარკვეულ ყურადღებას უთმობს სწავლა-განათლების საკითხს. მკვლევარის დაკვირვებით, ჰაირიეში, თავდაპირველად, განათლება იფარგლებოდა ბავშვების "ქემშირიტ" მუსლიმებად აღზრდით. შეჰიდგომ პერიოდში. მთავრობის მიერ გატარებული რეფორმების შედეგად, კერძოდ, სახელმწიფოსაგან რელიგიის გამოყოფისა და არაბული ანბანის ნაცვლად ლათინურის შემოღების გამო, ჰაირიეს დაწყებით სკოლაში /1-5 კლასებში/ შემოღებულ იქნა ისეთი საგნები, როგორცაა თურქული ენა, ისტორია, ვეოგრაფია, არითმეტიკა, ბოტანიკა და სხვა.

სასწავლო პროცესის დიდი ნაწილი დაიკავა თურქული ენის სწავლებამ, რადგან მოსწავლეებმა, რომლებიც სკოლაში შედიოდნენ, მხოლოდ ქართული ენა იცოდნენ. 1974 წელს სკოლაში ითვლებოდა 100 მოსწავლე და ოთხი მასწავლებელი, არაქართული წარმოშობისა.

აღსანიშნავია, რომ საერთო-საგანმანათლებლო სკოლის რეფორმამ საშუალება მისცა ახალგაზრდობას სწავლის გაგრძელებისა. 30-იან, 40-იან წლებში სწავლის გასაგრძელებლად სოფლიდან წასულმა რამდენიმე მოსწავლემ, წარმატებას მიაღწია თურქეთის რესპუბლიკის სოციალურ იერარქიაში.

3. ძაგნარელას შესწავლილი აქვს ემიგრაციისა და მიგრაციის საკითხები და მისი შედეგები. მისი დაკვირვებით, სოფელ ჰაირიეში სწრაფი კულტურული ცვლილებები დაკავშირებულია მცხოვრებთა გერმანიაში გამგზავრებისან /1965 წ. 70 კაცი, 1972 წ. 29 კაცი/ აქ. ისევე როგორც სხვაგან. მიგრაციის საერთო წინამძღვარი იყო მიწის ნაკლებობა და ქალაქური ცხოვრების წესის მიმზიდველობა. თავდაპირველად ჰაირიელი მიგრანტის პირადი მიზანი იმაში მდგომარეობდა, რომ ემოვნა სამუშაო. კარგი ანაზღაურებით და შეძლებისდაგვარად შეეგროვებინა ფული ჰაირიეში დარჩენილი ოჯახის სარჩენად. ევროპაში წასულთა შემოსავალი 10-70-ჯერ აღემატება თურქეთში მყოფი მუშების გასამრჯელოს. ევროპიდან დაბრუნებულთა ნახევარი იძენს უძრავ ქონებას ქალაქში. იცვლება მატერიალური ბაზა. ემიგრაციამდე გლეხები თვითონ უზრუნველყოფდნენ თავის ეველა მოთხოვნილებას. ახლა ისინი ყიდულობენ ტანსაცმელს, ავეჯს, სურსათის ნაწილსაც კი. მისდევნენ ინტენსიურ მიწათმოქმედებას, ამუშავებენ მიწის ნაკვეთის მხოლოდ მესამედს. კოოპერატივების აქტიურობის წყალობით, ჩნდება საქმიანობის ახალი სფერო. მაგალითად, მეფრინველეობის ფერმების დაარსება და სხვ. ემიგრაცია-მიგრაციის პროცესების შედეგად იცვლება სოფლის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული სახე.

ამერიკელი მეცნიერების ყურადღების მიღმა არ დარჩენილა თურქეთში მცხოვრები ქართველების მუსიკალური კულტურის საკითხებიც. 1979 წელს ინდიანას უნივერსიტეტის /აშშ/ თანამშრომლებმა პიტერ გოლდმანმა

და ფრანკ ვილსმა გამოაქვეყნეს წიგნი, სათაურით 'ქართული ხალხური მუსიკა თურქეთიდან'.¹

. წიგნი გამოცემულია მაღალ დონეზე, ილუსტრირებულია ფერადი ფოტოებით, ახლავს გრამფირფიტა, რომელზედაც აღბეჭდილია ადგილზე შეკრებილი სიმღერები, ჩაწერილი ინდივიდუალურად თუ გუნდურად შესრულების პროცესში²

კრებულში წარმოდგენილია 1968 წელს ამერიკელი მეცნიერების მიერ თურქეთის სხვადასხვა რეგიონში მცხოვრები ქართველების სიმღერები: ბურსაში, არმუთალანში, ჰაირიყსა და ართვინში. ამ საქმეში მათ დახმარება აღმოუჩინა თურქეთში ქართული კულტურის ამავდარმა აჰმედ ოზკანმა /მელაშველიძე/.

წიგნში 20 ხალხური სიმღერის ტექსტია დაბეჭდილი, აქედან 13 ქართული, დანარჩენი ლაზური. ქართული სიმღერებია: "ნანინა", "ვოსა ვორერა", "ალი ფაშა", "დედოფლის სიმღერა", "ტირინი ჰორირამა", "ვინ მოგიტანა?", "ჩემო დედავ!", "სიყვარულის სიმღერა" და სხვ. მას ერთვის ინგლისური თარგმანი, ნოტები და პროფ. პ. გოლდის ვრცელი კომენტარები. აღწერილია ხალხური სამუსიკო ინსტრუმენტები, რომელთა თანხლებით სრულდება ეს სიმღერები და ცეკვები. ტექსტები ჩაწერილია მაგნიტოფონზე, მთქმელის ვინაობისა და დასახელების ადგილის ჩვენებით.

ამ კრებულის გამოცემასთან დაკავშირებით პროფ. ალ. ლლონტი წერს: ხალხური მუსიკის ეს ფრაგმენტები და მელოდიები კოლორიტული ჩანს, ზოგი მათგანის მელოდია მთლიანად ან ვარიანტის სახით ჩვენი მუსიკათმცოდნეობისათვის ცნობილი კია, რამდენიმე მათგანს თითქოს მეც კი ვიცნობ. ზოგიერთს თურქული მელოდიის გავლენაც ატყვია, მაგრამ ეს გარემოება მათ მნიშვნელობას სრულებითაც არ უკარგავს. პირიქით, ბნი პიტერ გოლდი მეტსაც ბრძანებს. უწინარეს ყოვლისა, იგი აღტაცებულია ამ ხალხური სიმღერების მაღალი ვოკალური ღირსებებით და მეროეს მხრით, რაც საგანგებოდ ხაზგასასმელია, მათ მარმარილოს ზღვის რეგიონის ქართული კულტურის ნიშნუშენს უწოდებს. უმეველია, ამ გარემოებამ განაპირობა ის ღირსახელოვანი ფაქტი, რომ თურქეთში მცხოვრებ ქართველთა ხალხური მუსიკით დაინტერესდა ისეთი საეერთაშ-

1 Georgian Folk Music from Turkey, 1979, New-York.

2 ამ წიგნის შესახებ 1979 წ. აღმოსავლეთისკენდრობის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოსე მისიხენება წაიკითხა პროფ. ალ. ლლონტის. მის ასაკე წიგნზე დაბეჭდა წერილი: "ნანარაღის ზღვის რეგიონის ქართული მუსიკელება". ის. აღ. ლლონტი, "ტოპოგრაფიური ძეგალი", IX. თბ., 1995, გვ. 44-54.

ორასო ორგანო, როგორცაა სერია "მსოფლიო მუსიკა" ამერიკის შეერთებულ შტატებში რომ გამოდის და მისთვის საგანგებო გამოცემა დაუთმია.

ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებოა ის, რომ თურქეთში მცხოვრებმა ქართველებმა შეინარჩუნეს არა მარტო ქართული ენა, არამედ ქართული მუსიკალური ფოლკლორი, ქართული კულტურის ერთ-ერთი გამომხატველი. საყურადღებოა აგრეთვე ისიც, რომ ამას პირველად ყურადღება ამერიკელმა მეცნიერებმა მიაქციეს და გამოავლინეს "მარმარილოს ზღვის რეგიონის ქართული კულტურის" არსებობა. საფიქრებელია, რომ მსგავსი კულტურის კერები თურქეთის სხვა რეგიონებშიაც უნდა იყოს. სადაც ქართული მოსახლეობა ცხოვრობს.

დღეს, როდესაც თურქეთ-საქართველოს ურთიერთობაში ახალი ეტაპი დაიწყო იმედია, ქართული ხალხური სამუსიკო კულტურის მოღვაწეებს შესაძლებლობა მიეცემათ შეისწავლონ თურქეთში მცხოვრები ქართველების მდიდარი, ქართული მუსიკალური ფოლკლორი.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ამერიკელი ეთნოგრაფის, პროფ. ენდრიუს /Andrews/ მონოგრაფიაში "ეთნიკური ჯგუფები თურქეთის რესპუბლიკაში" მოტანილი ქართული სოფლების სია. თურქეთში ქართული სოფლების აღნუსხვით ამერიკელმა მეცნიერმა მეტად მნიშვნელოვანი საქმე გააკეთა. რაზედაც დიდი ხანია ოცნებობდნენ ქართველი მამულიშვილები. შესაძლებელია ზოგიერთი სოფლის სახელი დამახინჯებული იყოს. ან გამორჩენილიც კი, მაგრამ ეს ძალზე მცირეა იმ დიდ საქმესთან შედარებით, რაც გაკეთდა.

ავტორი არ კმაყოფილდება მხოლოდ სოფლის დასახელებით, ამას გარდა იგი მიუთითებს, თუ რომელ ადმინისტრაციულ ერთეულს განეკუთვნება ესა თუ ის სოფელი /ვილაიეთს, ილჩეს, ბუჯაკს/. ზოგჯერ აღნიშნულია სოფლის ძველი სახელწოდება. თუ ქართული სოფელი მონოეთნიკური არ არის მაშინ მითითებულია იქ მცხოვრები სხვა ეროვნების წარმომადგენლები: მაგალითად, აფხაზები, ჩერქეზები, ზემშინები და სხვ. თუ სოფელი გათურქებულია და მხოლოდ მოხუცებმა იციან ქართული, ამის შესახებაც არის ცნობა.

ერთი სიტყვით, ქართული სოფლების სიას თან ერთვის მეტად საყურადღებო ინფორმაცია, რომელიც აფართოებს ჩვენს ცოდნას ამ სოფლების შესახებ.

ქართული სოფლები თურქეთში¹

I ამასიის ვილაიეთი /ილი/.

1. აკიაზი /ელიქტექესი/.
2. ბელდალი.
3. ჩათალჩამი.
4. იუვაქი.
5. ალთინლი /თენექე/.
6. თათლიფინარი /დარმადერესი/.

II ართვინის ვილაიეთი /ილი/.

1. ერენლერი /ირსა/.
2. ორმანლი /ორმანა/.
3. თაშლიჯა /პათილა/.
4. თუთუნჯულერი /კათლა/.
5. ორთაქოი /ბერთა/.
6. ჩიმენლი /ჩიმერქე/.
7. პაშამლი /დოლისპანე დოლისყანა?/.
8. საკალარი /სალთეთრა/.
9. აშლიმადენი /პოთი/პოდესუფლა?/.
10. იუკარიმადენი /პოთი?/.
11. ბორჩხა კასაბა.
12. ადაგული.
13. ალაჯა.
14. ამბარლი.
15. არალოკ.
16. არკაქიო?.
17. ათაიოდლე.
18. ბაღჯი.
19. ჭივან.
20. იბრიქლი.
21. კაინარჯა.
22. სულუქლე.
23. ტარაქლი.
24. ზორლე.
25. ჯამილი /მიქახელი/.
- და ხუთი სოფელი.
26. გოქთაში /მურულელი/.
- და მიმდებარე ცხრა სოფელი.
27. მურათლი /მარადიდი/.
28. ჩავუმლუქოუ.
29. გურემენი /ბეილუგანი/.
30. კარშიკოუ.
31. ესქიკალე /უსტამიში/.
32. თეფექოი /აპალდაბა/.
33. იანიკლი /ჩიპისპევი/.
34. მეიდანჯიკი /იმერპევი/დიობანი/.
- და მიმდებარე 14 სოფელი.
35. იალნიზ დემირჯი /დაბა/.
36. აკამლი /ჩიხვტა/.
37. ქოფრულე /ოქრობაგეთი/.
38. ჩევრელი /ფეთრექე/.
39. დერეიჩი /პამრუთი/.
40. ბაღჯიკი /ბაღჯილიბალი/.
41. ბიჩაკილარი /პევეგვიანე/.
42. იუქსექოვა /კობაკი/.
- კობალთა?/.

III: ბალიქესირის ვილაიეთი /ილი/.

1. არმუთალანი.
2. ბაბაკაია.
3. ჭუმურეთი /სულთანეი/.
4. კუთლუდერე /მესუდეი/ ილაამურტაში/.
5. დელირმენბოლაზი.
6. გუნაიდინი /კიზილდერესოფ. მანა/.

IV ბოლუს ვილაიეთი /ილი/.

1. აქჩაკოჯა კასაბა.
2. ჩაკირლარი.
3. ჩილიმლი /ჩილმი/.

¹ Andrews, Peter Alford, *Etnic Groups In the Republic of Turkey*, 1989. p.151. F. Ciloglu, *Guculerin Tarihi*. Istanbul. 1993, s. 98-106.

V ბურსას ვილაიეთი /ილი/.

1. გურსუ კასაბა /ქესთელი/.
2. გემლიქი კასაბა,
3. ჰაიდარიე /ერჯიოვა/,
4. კათირლი.
5. ჰაირიე /ჩიტთლიქი/,
6. ინეგოლი კასაბა,
7. ბაპარიე,
8. ბაირამშაპი,
9. ჩაილიჯა /ბათაკლი მურუვეეთი/,
10. ჩაიიაკა /ბედრე/,
11. ჩიტთლიქი.
12. ელმაჩაირი,
13. ესენქოი /რუმენტათაქოფრუ/,
14. ფეიზიე
15. ფინდიქლი?,
16. გულბაჩე,
17. ჰამბლი,
18. ჰამიდიე /გაზელი/,
19. ჰასანფაშა,
20. ჰაირიე,
21. ჰოჯა,
22. იჯალაიე /ერქილი/,
23. ისკანიე /ჯემიეთი?,
24. ყარაყადი მურათფინარი/,
25. კონურლარი.
26. ლუფთიე /იყლოთლი/,
27. მურათბეი /დერეჩეთი/,
28. იენიჯექოი;
29. თაპთაკოფრუ,
30. ესქიყარაჯაკაია. /ოსლაპაიე/ყარაჯაკაისკანი,
31. ჰაჯიყარა,
32. ჰილმიე /იოლათდერე?,
33. მესრურიე /ბაჩეკაია/,
34. მეზითი /უზუნბარიში/,
35. საადეთი /ბაზარალანი/,
36. სულპიე /უზუნბარიში/,
37. უზუნბარიში/,
38. ელშალი,
39. კირინთი,
40. ჰამზალი,
41. ბურსა.

VI გირესუნის ვილაიეთი /ილი/.

1. ბურჰანიე,
2. მესუდიე /თაშჰანი/მამურურიე/თულბამით/.

VII თოქათის ვილაიეთი /ილი/.

1. კიზილდერე,
2. კიზილდერე?,
3. ზამარა.

VIII სტამბოლის ვილაიეთი /ილი/.

1. აკაბაბა,
2. დერესექი/დერეჩეთი?.
3. თევე,
4. უვეზლი /ოვეზლი/.
5. ჰეჯიზ /საფფეთიე/,
6. თეშვიქიე /ზინდანი/,
7. კაფლოჯა.

IX კოჯაელის ვილაიეთი /ილი/.

1. ჰიქმეთიე /ბუიუქდერბენტი/.
2. ბალაბანი,
3. მამუქიე,
4. ჰამიდიე /ბორჩხა/,
5. ჰისარენი /ჰასარი/,
6. იპსანიე /თათარ ქოოუ/ სანიე.
7. ნიმეთიე /მევექიე/,
8. შევექეთიე /სამალი/,
9. ბეილურბეი,
10. ნურსეთიე /აკფინარი/,

X ორდუს ვილაიეთი /ილი/:

1. ალინჯა,
2. ალისაივანი,
3. ამბაროჯილი.
4. ბოზთეფე,
5. ბურჰანეთინ,
6. ერენლი /მაჰმუთორენი/,
7. ეიუფლუ,
8. გერჯე,
9. გოქომერი,
10. გუნიალი /ეზულპარი/,
11. ჰურრიეთი,
12. ქესთანე,
13. მუბარექი.
14. ორჰანიე,
15. ოსმანიე,
16. ოჯელი,
17. სარაიჯიქი,
18. ტურნასუიუ.

19. იარაშლი, 20. იუკარითეფე /თეფეიბალა/, 21. ბაპარიე, 22. ბაშქოი
/ჯანდოსი/, 23. ბაირამლი, 24. ჯუმპურიეთი, 25. ქირაზდერე, 26. მუსაკირიკ,
27. იუკარიკირაზდერე, 28. ალუმბეი, 29. ჩაუშლარი, 30. დელიკაია, 31.
კაბაკულაკი, 32. სალიპლი /სალიპლერი/, 33. კაბაკალიო?, 34. ჩამაში
/ურშელი/, 35. გუმუშლუ /გერდენგეჩი/, 36. პასანჯიყენინარი /პასანჯიკი/,
37. საკარგერიში, 38. უნეე კასაბა, 39. ჩათაკი?, 40. ჩათალთეფე?, 41.
ინკური?, 42. ისთიქლალი, 43. კალედუბი, 44. ტაყლანჯიკი, 45. თეფექი,
46. ჩაიბაში /ჯილადერი/, 47. აკაბაბა, 48. კაინარუინარი, 49. კოჯამანი?,
50. იაღლაში?, 51. თეკირაზი, 52. ბეილერჯე /ალივერანი/ალივერა/, 53.
დაღქოი, 54. მეიდანნი, 55. პელითლიათაკი, 56. დუზჩიფთელიქი, 57*
იაღბასანი.

XI რიზეს ვილაიეთი /ილი/.

1. პამიდე.

XII საკარაიას ვილაიეთი /ილი/.

1. ბელდიბი, 2. ირშადიე/რეშადიე/, 3. შერეფეი, 4. აპმედე, 5.
ბიჩქიდერე? 6. გუჩუჯექ, 7. მეჯიდე, 8. დოღანჩაი, 9. ბოღაზქოი, 10.
ყარაჩამი, 11. მაკსუდე, 12. ნურუოსძანე /ბიჩქიდერე/, 13. შერეფეი
/სარაი/, 14. ლაპანა /იორთაქოი/იენიდალი/, 15. აქჩაი, 16. დილექლი
/სანიე/კადიფინარი/, 17. ერდემლი /ულუეი/ისტანბულდერე/, 18. გულდიბი,
19. ილმიე, 20. მაპმუდე, 21. მურადიე /აშალიისტანბულდერე/.

XIII სამხუნის ვილაიეთი /ილი/.

1. ბეილერჯე /თექქურმეიდანნი/, 2. ყარადერე, 3. ყარამუსტაფალი, 4.
ჭესთანეფინარი, 5. მუსლუბეი, 6. სალიფაზარი, 7. კოჯაფინარი /პილიას/,
8. არსლანთაში, 9. აივალისოკალი, 10. დუმანთეფე /ჯილარი/, 11. გოქჩელი,
12. კირგილა, 13. საკარლი.

XIV ყარსის ვილაიეთი /ილი/.

1. პასქოი.

XV ჩანაკალეს ვილაიეთი /ილი/.

1. ფინარბაში, 2. დერეიშთაშა.

ამგვარად, 15 ვილაიეთში /ილი/ აღნუსხულია 242 ქართული სოფელი. აქედან 28 სოფლის სახელი არაა მითითებული. 15 ვილაიეთიდან ორი ვილაიეთი საქართველოს ძირძველი ტერიტორიაა. აქედან ყარსის ვილაიეთი, თუ არ ჩავთვლით ერთ სოფელს, მთლიანად დაცარიელებულია ქართველებისაგან. საფიქრებელია, რომ მუჰაჯირობის დროს ყარსის ოლქის ქართული მოსახლეობა მთლიანად აიყარა და გადასახლდა თურქეთში. რაც შეეხება ართვინის ვილაიეთს. აქ მუჰაჯირობას დიდი მასშტაბით არ ჰქონია ადგილი, ამიტომ აქ ქართული სოფლები შედარებით ბევრია, 70.

ორკვევა, რომ ქართველი მუჰაჯირები დასახლდნენ შავი ზღვისა და მარმარილოს ზღვის სანაპიროებზე მდებარე ვილაიეთებში¹. მხოლოდ ამასიის ვილაიეთია ოდნავ დაშორებული შავი ზღვის სანაპიროს, სადაც ქართული სოფლებია გაშენებული.

ქართული სოფლები უმეტესად შემდეგ ვილაიეთებში მდებარეობს: ართვინის ვილაიეთში 70, ორდუში 57, ბურსაში 40, საქარაიაში 21, სამსუნში 13, კოჯაელიში 11 და სხვ.

242 სოფლიდან ქართველებით მთლიანად 158 სოფელია დასახლებული. დანარჩენ სოფლებში ქართველებთან ერთად ცხოვრობენ ლაზები, აფხაზები,

1 ანკლავებს აღმასიურს დენის სესელ პეღლის 1959 და 1962 წლებში ორჯერ მიზიარება ქართველებით დასახლებულ რეგიონში. იგი ისა შესაებ წერს: "საქა ზღვის სანაპიროზე მცხოვრებლ ბერებ ღამის ოცეე. რეგიონც მისი ქართველს მესობლებს. რომლებიც პინტის მიების ზედა ფერდობებზე ცხოვრობენ. შეინარჩუნეს ოაიის კავახორი ეცა." დენის სესელ პეღლი. "ნესი მთიანურისა ოერქიონი". ანკლავურიდან ოარეშა რ. გაქრედასქს. "ნესიანდელის" №6-9. თბ. 1972 წ. გვ. 129 ქართველებით დასახლებულია სოფლები "ნესიანდელი" აქის ობრამ- გორახის და მისი შესაებ მიფეთსრობს ღება ჩარშაზა გარე ხოვლებით, დაბა უწა და ორდუ სოფლებით. სულ ქართველებითა დასახლებული უწა და ჩარშაზა დაბლობება და აქ წაბი გარეკლებულია ყოფილა ციუბა და დედა მუჰაჯირობის გაის სასული ქართველები ციუბის ათახობით უწახეჩახლა. ამიტომ აიყარენ იქიდან და უფრო მხელი ადგილებში დასახლებულან. ამ მხებში ცხოვლებორ და მანახავ მისი ცხოვრება. უბრალოდ ცხოვრობენ მარამ არ აღლიათ საქებელ-სახელი. ოჯახში საოფეაეცს ოჯახს... აქურა ოფა-სახლები მოეწაქებით. აქ ბეირი დედაკაც მანახავს. უფრო მოეწენი, რომლებსაც ოერქელა ორ ოჯახ და ოჯახში სულ ქართველად დასახლებენ. აცეეი აღესარისა და ქ. ბურსასთან ოღამხებარე სოფლებშიც. აქ აქართველ-ქურსორ შექველებსაც შექვედით. ქობულეთებთან და ნაქველების მტახელებლებთან და სედა აბრელებს კილი ერამხეიოსაგან განხელებდა" თ. გორახე. ნესი წაწერება ოერქეისი მცხოვრებ ქართველებზე. "გამთავი". 1978 წ. №4. გვ. 155.

ჩერქეზები და სხვ. არის ისეთი სოფლებიც, რომელთა მოსახლეობა გათურქებულია და მხოლოდ მოხუცებმა თუ იცინ ქართული. ასე მაგალითად, სამსუნის ვილაიეთში 13 ქართული სოფელია. აქედან 6 სოფელი მთლიანად ქართველებითაა დასახლებული, სამ სოფელში ქართველებთან ერთად სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლები ცხოვრობენ. ორ სოფელში ცხოვრობენ გათურქებული ქართველები და ჩერქეზები, კიდევ ორ სოფელში გათურქებული ქართველები, რომელთა შორის მხოლოდ მოხუცებმა იცინ ქართული.

მოტანილი მასალის ანალიზის შედეგად ირკვევა, რომ ქართულ სოფლებში ქართველების გათურქების პროცესი შედარებით ნელა მიმდინარეობს და იგი უფრო სწრაფი ტემპით წარიმართება იმ სოფლებში, სადაც ქართველებთან ერთად არაქართული მოსახლეობა ცხოვრობს.

დღი ხნის განმარჯობაში თურქეთში მცხოვრებ ქართველებთან ყოველგვარი კავშირი გაწყვეტილი იყო და, ცხადია, მათ შესახებ ჩვენში ძალზე ცოტა რამ იყო ცნობილი.

მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, როლდესაც 'რკინის ფარდა' აიხსნა და დაიწყო ტურისტული მიმოსვლა საზღვარგარეთის ქვეყნებთან თანდათანობით გაფართოვდა კონტაქტები მეზობელ თურქეთთანაც. ეს ურთიერთობა კიდევ უფრო გაიზარდა ე. წ. 'პერესტროიკასა' და განსაკუთრებით კი სარფის კარის გახსნის შემდეგ.

1991 წ. 31 მარტს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, მდგომარეობა კიდევ უფრო გაუმჯობესდა. თურქეთმა ერთ-ერთმა პირველმა სცნო საქართველოს დამოუკიდებლობა და დაამყარა ჩვენ ქვეყანასთან დიპლომატიური ურთიერთობა.

1992 წლის 30 ივლისს თბილისში საქართველოსა და თურქეთს შორის დაიდო ხელშეკრულება 'მეგობრობის, თანამშრომლობისა და კეთილშეზობლური ურთიერთობის შესახებ'. დაიწყო ახალი ეტაპი საქართველო-თურქეთის ურთიერთობაში. დღითიდღე იზრდება ეკონომიკური და მეცნიერულ-კულტურული თანამშრომლობა ორ ქვეყანას შორის.

1992 წლის 29 ივლისს გამოვიდა ქართულ-თურქულენოვანი გაზეთი 'ხიდი'. მისი მთავარი ამოცანაა ხელი შეუწყოს თურქეთთან გადებული სამეგობრო ხიდის' გაფართოვებას, კეთილშეზობლური ურთიერთობის განმკიცებას, ჩვენებურებთან კავშირის აღდგენას.

გაზეთ 'ხიდის' რედაქციისათვის მიცემულ ინტერვიუში საქართველოში თურქეთის ელჩმა თეფვიქ უფუქ ოქიაუზმა განაცხადა: 'თურქი ხალხი

მის ხელთ არსებული ყოველგვარი შესაძლებლობებით ეცდება დახმარება აღმოუჩინოს თავის მეზობელ და მონათესავე ქართველ ხალხს ყველა მის ძალისხმევაში.¹

თურქეთთან კეთილშეშობლური ურთიერთობის გაფართოების შემდეგ შესაძლებელი გახდა თურქეთში მცხოვრებ ქართველებთან კულტურული, თუ მეცნიერული ურთიერთობების დამყარება.

ამასთან დაკავშირებით საყურადღებოა ის, რომ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი შუშანა ფუტყარაძე 1989-1993 წლებში სამეცნიერო მივლინებით ხუთჯერ იმყოფებოდა თურქეთში. იგი თურქეთის ქალაქებსა და სოფლებში შეხვდა სხვადასხვა ასაკისა და სოციალური მდგომარეობის ქართველებს. მან შეაგროვა და ჩაიწერა როგორც უშუალოდ ხელით, ისე მაგნიტო და ვიდეო კასეტებზე დიდძალი ფოლკლორული, ისტორიული, ეთნოგრაფიული მასალა, რომლის დიდი ნაწილი დიპლტოლოგიური ტექსტებია, და ყოველივე ეს ცალკე წიგნად გამოსცა.²

ეს კაპიტალური ნაშრომი შესაძლებლობას გვაძლევს შევისწავლოთ არა მარტო ქართულ-თურქული ენების მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობის საკითხები, არამედ თურქეთში მცხოვრები ქართველების ყოფა-ცხოვრება, ადათ-წესები, სულიერი, კულტურული და მატერიალური ცხოვრების მრავალი საკითხი.

დოც. შ. ფუტყარაძის მიერ შესწავლილი და გაანალიზებულია სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის რიგი საკითხები, რომლებიც უშუალოდაა დაკავშირებული გამოქვეყნებულ მასალასთან. მაგალითად, "მუჰაჯირი ქართველები", "იზნელებისა და ოშკელების სამშობლოში", "ოზიზარების ნაკვალევზე" და სხვა.

ჩვენთვის საყურადღებოა შ. ფუტყარაძის მიერ შეკრებილი მასალა თურქეთში ქართველი მუჰაჯირების გადასახლებისა და იქ განსახლებასთან დაკავშირებით. მან გააკრეფა, სად დასახლდნენ ქართველი ლტოლვილები, რა ადგილები აითვისეს მათ. შ. ფუტყარაძის დაკვირვებით, "მუჰაჯირ ქართველებს თურქეთში საცხოვრებლად ისეთი ადგილები აურჩევიათ, რომლებიც პაერთა და წყლით ჩამოგავდა მამა-პაპათა სამკვიდროს. აქარის

1 გა.ს. "ხიდა", 1994 წ. 12 ნოემბერი.

2 შუშანა ფუტყარაძე, ჩვენებურების ქართულა, წიგნი პირველი, ბათუმი, 1993 წელი: 726.

მთიანეთიდან წასულებს ტყითა და ცივი წყაროებით მდიდარი ადგილები შეურჩევიათ საცხოვრებლად (მაგ. ბურსის ვილაიეთის ინეგოლის რაიონის სოფლები: ბახჩაყაია, ფაზარალანი, პილმიე, მეზითი; გუნეჟესტანა, თუფეჟი ქონაქი, ყეხელი, პაიროე... ადაფაზარის ვილაიეთის აქიაზის რაიონის სოფლები აჰმედიე, გავრზარმანი, ქიუჩუჟეჟი და სხვა). ქობულეთ-ჩაქვიდან წასულები კი უფრო ზღვის სანაპიროებზე, დაბლობ ადგილებში დასახლებულან (მაგ. ფათსის, სამსუნის, სინოპის, იზმირის, ადანის რაიონების სოფლებში: ინეგოლის რაიონში სოფელ "ხასან ფაშა" და სხე)¹

ქართველი მუჰაჯირების თურქეთში გადასახლების შემდეგ ერთ საუკუნეზე მეტი გავიდა. ამ ხნის განმავლობაში ქართველების რიცხვი გაიზარდა - და ამჟამად თურქეთის სხვადასხვა ქალაქებსა და სოფლებში ცხოვრობენ. მუჰაჯირი ქართველების შვილები და შვილიშვილები, ჩვენებურები, წერს შ. ფუტკარაძე, მათ შორის დაეასახელებთ შემდეგ მხარეებსა და რაიონებს: ტრაპიზონი, გირესუნი, სამსუნი, სინოპი, ზონგულდაქი, იზმითი, იზნიქი, იზმირი, ქუთაჰია, ბლოქესირი, ადანა, ქონია, ესქიშეჰირი, ადაფაზარი, ბოლუ, ჩორუმი, ამასია, თოქათი, ორდუ, უნია, ბურსა, ინეგოლი დუზჯე, იალოვა, გემლიქი, მეზიფორი, ფათსა, გონენი, ჩუმრა, გუელბაში... ჩვენებურებს მრავლად შეხვდებით აგრეთვე ანკარასა და სტამბოლში. დასახლებულ ადგილებში უმთავრესად ცხოვრობენ აჭარა-ქობულეთიდან და ტაო-კლარჯეთიდან გადმოსახლებული ჩვენებურები. ძალიან იშვიათად ვხვდებით გურიიდან, სამეგრელოდან და ქართლიდან გადასახლებულთა შთამომავლებსაც. მაგ. თოქათის რაიონში დღესაც ცხოვრობენ გიორგი სააკაძის ამაღაში მყოფი ქართველების შვილთაშვილები².

1935 წელს, როგორც ზემოთ ითქვა, თურქეთში მიღებულ იქნა "გვარის კანონმდებლობა". იგი მიზნად ისახავდა ქვეყნის პასპორტიზაციას. ცნობილია, რომ თურქებს თავიანთი გვარი არ ჰქონდათ. ატარებდნენ სახელსა და მამის სახელს ან ზედმეტსახელს. ამ კანონის გამოცემის შემდეგ, თურქეთის პრეზიდენტმა მუსტაფა ქემალმა გვარად მიიღო ათათურქი (თურქთა მამა, ბელადი), ისმეთ ფაშამ, პრემიერმინისტრმა და შემდეგ პრეზიდენტმა - ინენიუ (სოფლის სახელი. სადაც მისი სწოდლობით დაამარცხეს ბერძენები) და სხვ. მაგრამ ამ კანონით, მაჰმადიან ქართველებს,

1 შ. ფუტკარაძე, ჩვენებურების ქრონიკა, გვ. 18.

2 იქვე.

რომელთაც ჰქონდათ თავიანთი გვარი, აღარ ჰქონდათ მისი ტარება უფლება და უნდა მიეღოთ თურქული გვარი. ზოგიერთი ქართველი ადგილობრივად: კაპანაძემ გვარად მიიღო - კაპანი, მახარაძემ - მახარა, ხარაშიშვილმა -

სარაქო-ლლუ. ზოგიერთმა კი თურქულად თარგმნა თავისი გვარი მაგალითად, თევზაძემ ბალიჭოლლუ, ოქროაშვილმა ალთუნი და ამით მათ სურდათ თავიანთ შთამომავალთ ადგილზე დაემსახურებინათ თავიანთი ძველი ქართული გვარი.

გვარის კანონმდებლობის მიღების შემდეგ, იქვს ათეულ წელზე მეტი დრო გავიდა. ზოგიერთმა მათგანმა თავისი ქართული გვარი დაიფარა კიდევ, ეს განსაკუთრებით შესამჩნევია ქალაქის მცხოვრებლებს შორის, რომლებმაც მიატოვეს თავიანთი მშობლიური სოფლები და მათთან კავშირი გაწყვიტეს. თურქეთში შეხვედებით წარმომობილ ქართველებს, რომლებსაც აღარ ახსოვთ თავიანთი ქართული გვარები, მაგრამ იცნავენ, რომ მათი წინაპრები ქართველები იყვნენ.

შ. ფუტყარაძემ ამ საკითხსაც მიაქცია ყურადღება. იგი ჩვენებურებთან შეხვედრისას, საუბრის ჩაწერის შემდეგ, ყოველთვის მიუთითებს რუსთა-დენტის როგორც თურქულ, ისე ქართულ გვარს. აი ზოგი მათგანი: აბულაძე, არსენიძე, აღანიძე, ბასილაძე, ბერიძე, ბოლქვაძე, ბურკაძე, გაგალიძე, გოგიტიძე, გოჩიტაძე, დარბაზიძე, დევიძე, დოლაბერიძე, ვასასე, ვახტანგიძე, თავდგირიძე, თევზაძე, იმედაშვილი, კაკალაძე, კახიძე, კარნათელი, ლომიძე, ლომინაძე, მაკარიძე, მალაყმაძე, მესხიძე, მელაშვილი, მისიძე, ნასყიდაძე, საღარაძე, სურმანიძე, ფარტენაძე, ქეთარაძე, ქარცივაძე, შავიშვილი, შალიკაშვილი, შოთაძე, ჩხუტუნელი, ცხვარაძე, ცინცაძე, ხალვაში, ხინკაძე, ხევრაძე, ჯაფარიძე, ჯაყელი, ჯივანიძე, და სხვა.

ოსმალეთის მთავრობამ ქართულ სოფლებსაც შეუცვალა სახელები. დოც. შ. ფუტყარაძეს არც ეს გარემოება გამოარჩენია და მან ჩაიწერა თურქეთში მდებარე ქართული სოფლების სახელები, რომლებიც დღეს თურქულად იწოდებიან, მაგრამ ადგილობრივ მცხოვრებლებს ჯერ კიდევ ახსოვთ ქართული სახელწოდებები. ასე, მაგალითად, იმერსევის სოფლებია: ჩიხორი, თეთრაკეთი, კვეწრული, შოლტინჯი, ბაზგირეთი, ბზათა, ჩხეტა, წყალსიმერი, აგარა, უბე და სხვა. ბორჩხისა და მურდულის რაიონის სოფლები: ჭილაგრი, ზემო ქურა, ქვემო ქურა, ბორჩხა, მარაღლი, ზედუბანი, ქართლა, ზედა მაკახლის სოფლები: წებოთიჯი, ზედა ვაჯი და სხვა. ამ სოფლების სახელები საყურადღებოა არა მარტო ქართველი

ტო ონიძეებს. არამედ საქართველოს ისტორიული გეორგაფიის შესწავლის თ. კოსიანიძის ითაც:

დაიწ. მ. ფურცლარაძის მიერ გამოქვეყნებული მასალიდან ირკვევა, რომ ჩვენებურებმა ქართული სალაპარაკო ენა იციან, წერა-კითხვა ნაკლებად არიან ისეთებიც, რომლებმაც სრულიად დაივიწყეს ქართული ენა. "გურჯ ქართულ გუეტყვიან. ბაღვებმა ყუელამ არ იციან, ჩუენ ქართულელები ვართო. შავშეთელებიც ქართულელები არიან, გურჯები. მარა შავშეთელები ჩუენსავეთ მომფერე (მოხერხებული) არ არიან, ვერ აწყობენ ჩუენსავეთ სახლსა. იმფოსერთი (უმეტესი) ქალები არიან მუჟუყერებელი. თეძიზათ ღაპარაკობენ გურჯიჯას იმერხეველები. შავშეთელებსა გურჯიჯა ბევრსა აღარ ახსოვან. ჩუენი ქალები ყაფალი ვიყავით, ისინი აჩული. ახლებ ახლიოდენ თეთრ-თეთრი დოღბანდები. შავშეთელები არ მიყუარან, ენა დაკარქეს. თურქია ლაპარაკი აქუან მარტო, შიან-გარეთ. ზოგი მალავს, შავშეთელ ვართ. ჩემ მეზობელსა იმითვიან ვუთხარ წინაგზობაი: ჯინგანი (ბოშა) არ იყო, შავშეთელი ვარ არ დავმალავდი-მეთქი. ჯინგანი ის არი, ვინცხაი, მია ჯინსს დაკარქავს."¹

როგორც ვხედავთ, ჩვენებურები სინანულით ამბობენ, რომ ბევრ შავშეთელს "აღარ ახსოვან" ქართული და ამის გამო ზოგი მათგანი მალავს თავის ქართველობას, მაშინ როდესაც იმერხეველები "თემიზათ" ლაპარაკობენ ქართულს. შავშეთელების მიერ თავისი მშობლიური ენის დაივიწყება აიხსნება ამ მხარეში ოსმალთა ბატონობის შემდეგ შექმნილი მდგომარეობით.

შავშეთ-კლარჯეთში გაოსმალების პროცესი XVI საუკუნის მეორე ნახევრიდან დაიწყო და საუკუნეთა განმავლობაში მიმდინარეობდა.

თურქეთის პრემიერ-მინისტრის არქივში ერთი ოსმალური დოკუმენტიდან ირკვევა, რომ XVI საუკუნის 60-იანი წლების დამდეგს შავშეთის ათაბაგთა ძეგოს შთამომავალთაგან სამმა ძმამ უარყვეს ქრისტიანობა და მიიღეს ისლამი. სულთან სულეიმან I-მა (1520-1566) იურთლუქისა და ოჯაქლოქის წესით საგვარეულო მემკვიდრეობით უბოძა უფროს ძმას მეჰმედს მაქანლის სანჯაყბეგობა, საშუალო ძმას მეჰმედს შავშეთის ბეგლარბეგობა, ხოლო უმცროსს მაჰმედს იმერხევის სანჯაყბეგობა.

ასეთი სანჯაყის გამგებლებს მთელი რიგი პრივილეგიები და შეღავათები ენიჭებოდათ. ასე, მაგალითად, ისინი სრული დამოუკიდებლობით

1 შ. კოსიანიძე, ჩვენებურების ქართული. გვ. 81.

სარგებლობდნენ თავიანთ საგამგებლოში და იქ ადრე არსებული წესები, ფაქტიურად, უცვლელი რჩებოდა და არავის შეეძლო იქ შესვლა. გადასახადების გაწერა და სხვ.

მათ ევალეზობდათ მხოლოდ ოსმალეთის სახელმწიფო საზღვრის დაკვა¹.

შავშეთ-კლარჯეთში თავდაპირველად მაჰმადიანობა ქართველ ფეოდალთა შორის ვრცელდებოდა. მაშინ როდესაც გლეხები ქრისტიანებად რჩებოდნენ. თითქმის ერთი საუკუნის შემდეგ, 1646 წელს საქართველოში და, კერძოდ, შავშეთში იმოგზაურა გამოჩენილმა თურქმა მოგზაურმა ევლია ჩელებიმ. ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ ევლია ჩელებიმ, მოგზაურობის შედეგად, ქართული ენის ნიმუშად ჩიწერა "შავშეთის ქართული ენა"² უნდა ვიფიქროთ, რომ ამ მხარეში მშობლიური ენა უფრო კარგად იყო დაცული, ვიდრე სხვა რეგიონებში, სადაც ოსმალთა ხელისუფლება დამყარდა.

ევლია ჩელები შენიშნავს, რომ "შავშეთის სანჯაყს ყადი (მოსამართლე) არ ჰყავსო"³ ეს კი იმის დამადასტურებელია, რომ იქ მართლმსაჯულება სწრაზობდა ადგილობრივი, ე. ი. ქართული ადათ-წესების საფუძველზე. ყურადღებას იპყრობს ერთი ფრიად მნიშვნელოვანი გარემოება. ევლია ჩელების ცნობით, შავშეთის მოსახლეობა "ქართველი აზნაურებისაგან"⁴ შედგებობა. ამგვარად, თურქი ავტორი ასახელებს ქართველი ფეოდალის აღმნიშვნელ ტერმინს აზნაურს. ეს კი იმის დამადასტურებელია, რომ შავშეთის დაპყრობიდან დაახლოებით ასი წლის შემდეგ და უფრო გვიანაც, აქ ცხოვრობდნენ ქართველი აზნაურები; რომელთაც შეინარჩუნეს გარკვეული პრივილეგიები და შეღავათები. მაგრამ მდგომარეობა თანდათან იცვლება.

1 ი. სეაჩიე, შაწათბელობელობის ისტორიიდან ასადესისის საფაშისი (თურქულუქები და ოჯაქლოქები), "საქართველოსა და კავკასიის ისტორიის ძიებანი", იბ., 1976, გვ. 219-226.

2 ევლია ჩელების "მოგზაურობის წიგნი", თურქულადან თარგმნა, კონსტანტინე და გამოკლდეკა დაურთოთ გ. უფიურბიქს, ნატ. I, ქართული თარგმანი, იბ. 1971, გვ. 297.

3 იქვე, გვ. 302.

4 იქვე, გვ. 302.

გ. ყაზბეგის მოწმობით, ქართველმა აზნაურებმა თავიანთი პრივილეგიები თანზიმათის (XIX ს-ის 40-იანი წლები) რეფორმამდე შეინარჩუნეს, შემდეგ კი ისინი გლეხებს გაუთანაბრეს¹

თანზიმათის რეფორმების შედეგად თურქეთის საქართველოში. კერძოდ, შავშეთში სწრაფად ვრცელდება ისლამი და თურქული ენა თუ ადრე, ძირითადად. ქართველი ფეოდალები იყვნენ გამაჰმადიანებული, ახალი გლეხებიც მაჰმადიანდებიან.

1874 წელს გ. ყაზბეგმა ამ მხარეში იმოგზაურა და თავისი შთაბეჭდილებები გაგვიზიარა წიგნში "სამი თვე თურქეთის საქართველოში". იგი დაწვრილებით აგვიწერს საქართველოს ამ მხარის მდგომარეობას, კერძოდ, შავშეთის მოსახლეობის შესახებ გვატყობინებს: "იგი ქართულ რასას მიეკუთვნება. საოჯახო ყოფაში ისინი სუფთა ქართულით, მთიანი საქართველოს მოსახლეობის, ე. ი. კავკასიის მთიულეთის აქცენტით ლაპარაკობენ. გარდა ამისა აქტიურ მეტყველებაში ხევსურულ კილოვანობით დამახასიათებელ მრავალ სიტყვას შეხვდებით. საკუთრივ შავშეთში ქართულად ყველა არ ლაპარაკობს. მრავალ სოფელში ეს ენა სრულიად გაქრა და მის ადგილას პროპორციულად განვითარდა თურქული ენა."²

გ. ყაზბეგის დაკვირვებით, "დიდ. გზის გასწვრივ განლაგებულ სოფლის მცხოვრებლებმა მიწლიანად დაივიწყეს ქართული ენა, თუმცა ყველა მათგანი დაუფარავად ამბობს, რომ მათი მამები გურჯები იყვნენ. როცა ვუახლოვდებით არტანუჯს, მით უფრო ნაკლებად გვხვდებოდა ქართული ენის მცოდნე, თუმცა გობიხევწიას მთის შემოგარენში მდებარე 12 სოფლის ხალხი გურჯისტანს უწოდებს."³

სხვადასხვა წყაროების ანალიზის შედეგად ირკვევა, რომ ქართული ენა კარგად შემოინახეს ცენტრალური გზებიდან დაშორებით, მთის ფერდობებზე და ხეობებში მდებარე სოფლის მაცხოვრებლებმა. ფაქტობრივად, ეს სოფლები მიუწვდომელი იყო თურქი მოხელეებისათვის. და საერთოდ. თურქებისათვის. სწორედ, ამით აიხსნება ის, რომ იმერხევისა და მაჭახლის სოფლებში ქართული ენა უკეთ იყო დაცული, ვიდრე შავშეთში.

1 გიორგი ყაზბეგი, სამი თვე თურქეთის საქართველოში, ბაიუმი, 1995, გვ. 95.

2 იქვე, გვ. 90.

3 იქვე.

ამასვე ადასტურებს გ. ყაზბეგი: "შავშეთში ოსმალთა გავლენა ძალზე ძლიერია" და თურქებთან ხშირ შეტაკებებს არ შეიძლებოდა გავლენა არ მოეხდინა შავშეთელების ზნეობრიობაზე და რომ "სიბეჩავე ყველა მათგანის სახეზე იკითხება."¹

შავშეთელები გამოირჩეოდნენ თავიანთი მხნეობითა და მამაცობით. XI საუკუნეში გიორგი მერჩულე მათ შესახებ წერდა: "ბუნებით მხიარულებანი მოცემულ არს ღმერთისაგან... უშიშარ არს გული მათი."²

უცხოელ დამპყრობლებთან ხანგრძლივმა ბრძოლებმა, განსაკუთრებით კი ოსმალებთან, დააუძლურა შავშეთელები. ისლამის მიღების შემდეგ, ისინი მორალურად გატყდნენ და თავი დაბეჩავებულად ჩათვალეს, რცხვენიათ თავიანთი მდგომარეობისა, "მომფერე", მოუხერხებელნი გახდნენ და "შალავენ შავშეთელი ვართო."

ჩვენებურების ცნობით, ბოლო დროს თურქული ენის სწრაფად გავრცელებას იმან შეუწყო ხელი, რომ სოფლებში გაიხსნა სკოლები და ახალგაზრდობა ნელ-ნელა ივიწყებს ქართულს. "ორმოზდაათი წლის წინ იმფო სუფთა იყო. ქართული ენა ჩუენისა. ოქულები რომ გეიხსნა, თურქია შემოვიდა. ბაღნები თურქიას სწავლობენ ოქულებში და გურჯიას აღარ ეტანებიან. წორეთ აღარ მივა საქმე."³

მიუხედავად ყოველივე ამისა, ჩვენებურები ინარჩუნებენ მშობლიურ ენას. ამ საქმეში, როგორც სამართლიანად წერს შ. ფუტყარაძე "გადამწყვეტ როლს თამაშობს ოჯახის დედაბოძი ქართველი ქალი.

რომელიც თავისი კარჩაკეტილი ცხოვრების წყალობით უბეში სათუთად ინახავდა მამა-პაპითა ბავებიდან მომდინარე დედაენას და ახალ თაობებს ძუძუსთან ერთად ამ ენითაც ასაზრდოებს"⁴.

წინა თავში აღვნიშნეთ, თუ რა დიდი როლი შეასრულა სტამბოლში დაარსებულმა ქართველთა კათოლიკურმა ეკლესიამ XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის 20-იანი წლების დამდეგს ქართველთა კულტურულ ცხოვრებაში. სამწუხაროდ, XX საუკუნის 20-იან წლებიდან მისი საქმიანობა თანდათანობით ჩაკედა.

შ. ფუტყარაძემ ამ საკითხსაც მიაქცია ყურადღება და მოინახულა ქართული ეკლესიის ზედამხედველი სიმონ ზაზაძე, რომელმაც უთხრა:

1 გ. ყაზბეგი, სამს ივე თურქეთის საქართველოში, გვ. 95.

2 (ქინძილე) გიორგი, სამხიელის ცხოვრება, ქართული წერლობა, ტ. I გვ. 556.

3 შ. ფუტყარაძე, ჩვენებურების ქართული, გვ. 337.

4 იქვე, გვ. 81.

პავლე იაკობაშვილს იყუბო ბილო ქარი. კლი გამგე სავანისა. კაი ხანია მოკვდა. 1957 წ. ციფი დარბევა ი... ეკლესიისა. გამარცხეს სავანე-მეშინდინენ. გაყვითილდენ. ავთ გახდენ, შიშით კიბო დეემართენ აქაურ კათოლიკებსა. ახალგაზრდა იყო. ჰერ კიდე, პატრი პიო (ავლე) აკობაშვილი, ამა ავთ გახდა ამ დარბევის სონრა და მოკვდა. აკობაშვილი დასახლებული არ იყო ცოლ-შვილი არ ყავდა... ონდან სნორა სავანეს მააკლდა ხელი. ახლა ციციბალია პავლე ზაზაძე, მამაჩემი. ახალციხის სოფელ უდუდან მოსული. ქალიან მოხუცია, იაშლი ველარ მოდის სავანეში. მე ვუყურებ ახლა ტაძარსა, ამა ბევრსა არ ვაკეთებ... კათოლიკე ქართველი მღვდელი გვიანდა. ძალიან მინდა იმფო ბევრათ შეგებდო ტაძარსა, მარა იზნი არ მაქ თავრობიდანა, პუქუმეთიდანა. თუ ორი ტომარა ჩიმენტო დენინახეს მოტანილი ესოში, იტყვიან: ჰად ნახეთ, რითვინ გინდანან? ეს ტუარი რომ გააკეთე ეკლესიისა, ძალიან გამიბრაზდენენ. მაგარი კაცი ვარ, თვარა დამარტყამენ... ვერ გამიბედეს.

ვიგერ მაღალი ევი რომ დგას, ისა "დივან-პოტელია". იქა იყო ქართველების სააფლავები, ქართველების მიწა. საფლავები გადათხარეს. ქვები ამოყარეს. თრაქტორებით გაზიდეს, პოტელი გააკეთეს...

აქ ბუელად იყო ქართული მონაზონების სკოლა, აქაც იყო მონასტერი. ოკი წლის წინ-მონაზონი არ დარჩა. ვერანა გახდა სკოლა, მონასტერი. მაიწადინეს ამათი ხელში ჩაგდება. ფრანგებსაც უნდოდათ ადლოთ. წავედი. პუქუმეთში ვიჩივლე, სხუამ რატომ წაიღოს ჩუენი ადგილი? ეს მიწა საქართველოსი არის-მეთქი... ეს მიწა მე შევისუიდე... აქა ლისეი გავხსენი. ჩემი მეუღლეა ამშენებელი... თურქული სკოლა არი. ინგლისურს სწავლობენ. ლისეში თხუთხელი ქართული ბიჭია, ცხრა ებრაელი. მაიწად იქან ქართული, იაკობაშვილები არიან. ებრაელი ქალები თბილისიდან მოვიდნენ და მაიყუანეს შვილები. სკოლა 1988 წელს ავაშენეთ. ბევრი რომ საჩუქარი მიეცეო სკოლასა, სკოლა იმიტომ გავაკეთებდი, რომ ქართველები დრო გავა და მოვლენ ისწავლიან, იკითხვენ.¹

მეტად სავალალო მდგომარეობაში იმყოფება აგრეთვე ეკლესიასთან არსებული მდიდარი ბიბლიოთეკა. სახურავიდან წვიმა ჩამოდის. წიგნები სველდება. ნესტიანდება. მოვლასაც არიბას ჩოითხოვს. შესადგენია წიგნების კატალოგი და სხვა. არაუინაა, რომ ამ საქმეს მისხედოს. ერთი

1 ი. შ. ურუკარაძე, ჩვენებურების ქართული, გვ. 147, 148.

სიტყვით, ბიბლიოთეკა შევლას ითხოვს. ქართული კათოლიკური ეკლესიის ასეთი სავალალო მდგომარეობა იმითაც აიხსნება, რომ მას მოაკლდა მრევლი და. ცხადია, შემოსავალიც.

1955 წლამდე სტამბოლში 10000 ქართველი კათოლიკე ეპისკოპოსი იყო. მაგრამ 1955 წლის 6-7 სექტემბრის ამბების შემდეგ სხვა დამატებით მოსახლეობასთან ერთად ქართველმა კათოლიკეებმაც მიიტოვეს სტამბოლი და გადასახლდნენ საცხოვრებლად ავსტრიაში, დასავლეთ გერმანიაში, კანადაში და საფრანგეთში. დღეს სტამბოლში 200-მდე ქართველი კათოლიკე ოჯახი დარჩა¹.

60-იანი წლების მეორე ნახევარში სტამბოლში მცხოვრები ქართველები განწყობილებათზე მოგვითხრობს იბრაჰიმ გორაძე: "გადავსახლდი სტამბოლში. ჩემს ძმებთან ახლოს რომ ვყოფილიყავი, ჰირი და ლხინი ერთი რომ გვექონოდა. ხშირად ერთად ვიკრიბებოდით ქართველები და საუბარი სულ საქართველოზე გვექონდა. ვჭობდით ქრისტიან და მუსლიმან ქართველებზე, რომ ჩვენ ძმები ვართ. ქართველები ვართ და ერთად უნდა ვიყოთ მარადისად. სხვათაშორის, ზოგიერთი მოხუცი გურჯი კარგად ერკვეოდა თავის წარმომავლობაში. მახსოვს, ერთხელ ყაჯახანაში ვიყავით შეკრებილნი და ვბაასობდით. მოხუცმა სულეიმანმა ქათამაძემ თქვა მე უბირველესი ქართველი ვარ და ვიქნები. ჩემი სამშობლო საქართველოა და არა სხვა. გაუმარჯოს ჩემს საქართველოს. მე წამოვდექი და გადავვხვიე ამ მოხუცს, ცრემლები ვერ შევიკავე და ავტირდი."²

შ. ფუტყარაძის მიერ წიგნში მოტანილი მასალიდან ნათლად ჩანს, რომ თურქეთში მცხოვრები ქართველები ინარჩუნებენ თავიანთ ძველ ტრადიციებს, წეს-ჩვეულებებსა და სხვ.

ჩვენებურებს ახსოვთ ქართული ზღაპრები, ანდაზები, გამოცანები, ლექსები, სიმღერები, თქმულებები, ლეგენდები. გადმოცემებში ვხვდებით თქმულებებს თამარ მეფეზე, ლაშა გიორგიზე, გიორგი სააკაძეზე და ა. შ.

მიუხედავად იმისა, რომ ქართველები მუსლიმანები არიან. მათ არა აქვთ დავიწყებული ქართული რიტუალები და ტრადიციები: ახოობა, კვირიკაობა, ლაზარობა, მარიამობა, ქაშატობა, შუამთობა და სხვა.

სარფის კარის გახსნას თურქეთის ქართველობა დიდი სიბარულით შეხვდა. მათ იმედი მიეცათ, რომ განახლდება ურთიერთკავშირი თავის

¹ Istanbul Ansiklopedisi, 23 Nisan 1994, 26 fasikül.

² გორგაძე, იქნა ჩანაწერები თურქეთში მცხოვრებ ქართველებზე, გვ. 158.

დედასამშობლოსთან. "საზღუარო რომე გეიხსნა, ამბობს ქაია (მაკარიძე). ჩუენა ბაირამი გვქონდა. ჩუენა, თურქიეში ყოფნიარე ქართუელებსა. ერთი ფეხი მაქ გუაქ. გურჯისტანში. ერთი ფეხი აქ გუაქ. ჩვენი სული, გული მაქ არი, მემლექეთში."¹

თურქეთში მცხოვრებ ქართველებს დიად გაეხარდათ საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვება და მის ყოველ წარმატებას სიხარულით ხედებინან. "ჩუენა გურჯისტანის კარგობა, მისი დიდობა გვინდა, ის გვახარებს. გვინდა, რომე გურჯისტანმა მისი ჰუქუმათი გააწყოს, მისი თავიდი გეიყვანოს თავარბაშით, მისი ბაირალი ქონდეს... ცალი ყური სულ მაქეთ გვაქ, მაჭავარი დერდი გვაწუხებს. თქვენი კარგობით ჩვენ გვეხარებთ, ჩვენი კარგობით თქვენა გეიხაროთ... გურჯისტანი და თურქიე ახლო მეზობლებია.

ძმები უნდა ვიყოთ ერთმანეთისა... ჩვენი ძეგლები იტყოდენ: "მეზობელო კარისაო. სინათლე ხარ თვალისაო." ჩვენაც ერთმანებთვინ სინათლე უნდა ვიყოთ."²

ჩვენებურები დიდ სიყვარულსა და ინტერესს იჩენენ თავის დედასამშობლოსადმი და ზოგჯერ კი სინანულს გამოთქვამენ მუსლიმანები რომ არიან. "მარტოლაი კაცი მარტონა მოკედეს? არ იქნა ესა! "გაუმარჯოს ქრისტიან საქართველოსაო." დევნახე დაწერილი ნაწერავი. ჩვენ რას გვებნეით, თურქიეში მილიონ ქართუელსა. საქართველო ჩუენი არნა იყოს? საქართველოსა სიზმარში ვნახულობთ, საქართველო გვესიზმრება და ჩუენი არნა იყოს? ეს არ გამოდის კარგა! ჩუენი რა სუჩია (დანაშაულია), რომე მუსლიმანი გაემსდარავართ. მაშინ დროს მუუტანია მუსლიმანობა ჩუენი ძუელებისტვინ. ჩუენ რა ვქნათ ახლა?"³

ჩვენებურებმა იციან თავიანთი თავის ყადრი და მაინც რომ არ დაიჩაგრონ ერთიანდებიან ამხანაგობებში. "რანა გითხრა, იცი? ჩუენ თურქეთლების პირველი ხალხი ვართ. პაცხა რომე გასაყეთებელი საქმეა. ჩუენ ვართ იქა. აგერამ მემლექეთში გურჯინა იყო, რომე საქმე გიგიკეთდესო, ასე იტყვიან თურქიეში. ჩუენ მაგარი ხალხი ვართ, ერთმანებ დეკავეფთ. ჩუენ ერთმანები რომე არ დაეკავოთ, დაქვფუქვენ.

1 შ. უჯრ, კარაიხე. ჩვენებურების ქარიუელი. გვ. 151.

2 იქნე. გვ. 19, 20.

3 იქნე. გვ. 153.

ჩვენა რომე თურქეთის პირველი ხალხი ვართ. ეს იციან ყველამ აგერაქა, ჩუენ დერნეგები (საზოგადოებები) გუაქ: კავკაზ დერნეგი, ბათუმ დერნეგი, საქართველოსი დერნეგები. ერთმანეთზე მოხმარება არი.¹

თურქეთში მცხოვრები ქართველები ცდილობდნენ არ დაივიწყონ ქართული ენა და ერიდებიან თავიანთ სოფელში უცხო მოდგმის კაცის დასახლებას, რომ არ მოხდეს ქორწილი. "ჩუენ ენამ არ გამეიცვალოს, არ დაგვავიწყდეს, სხუა ხალხისა, ქართულის გარდა არ ვუშვებთ ჩუენ სოფლებში. არ ვუშვებთ ქი, სისხლმა არ გამეიცვალოს, ენამ არ გამეიცვალოს. სოფელში რომ დააედუმდეთ სხუა მილეთის კაცსა, ია გოგონა ითხოვოს მისი, ია ბიჭინა დააქორწილოს იმიდან. ამიტომ არ ვუშვებთ ქი შიან სოფელში."²

თურქეთში ჩვენებურები იმათ თვლიან ქართველებად. ვინც იცის ქართული. "ლაზებსა, მეგრელებსა ქართულ ეტყვიან, ქართველების ემი-ამვილები არიანო, ამბობენ. ამა ჩუენა მინცხამ რომე გურჯიჯა არ იცის, იმა ქართულ კაცთა არ ვთვლით. ქართულმა მისი ანადილინა იცოდეს მეგბური."³

ამრიგად. მოტანილი მაგალითებიდან ნათლად ჩანს, რომ ჩვენებურები ინარჩუნებენ თავიანთ ენას, ადათ-წესებსა და ეროვნულ თვითშეგნებას.

თურქეთში მცხოვრები არა თურქი მოსახლეობის, კერძოდ, ქართველების რიცხვის დადგენა თითქმის შეუძლებელია, რადგან თურქეთის რესპუბლიკის ოფიციალურ აღწერაში ეროვნება აღინიშნება არა ეთნიკური წარმომავლობის, არამედ მშობლიური ენის მიხედვით. მითითებულია აგრეთვე მეორე ენა, ოჯახში სალაპარაკო.

პროფ. ჰ. მაგნარელას დასკვნით. თურქეთის ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები დედაენის მიხედვით ცუდად ასახავს თურქეთში არათურქული მოსახლეობის ნამდვილ რაოდენობას⁴

თურქული სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, ეროვნების განსაზღვრების კრიტერიუმად რჩება მხოლოდ მშობლიური და მეორე ენა.

1 შ. ფელქარაძე. ჩვენებური ქართული. გვ. 152

2 იქნე-

3 იქნე. გვ. 153.

4 Magnarella P.J. 'The Assimilation of Georgians In Turkey', p. 39

მაგრამ თურქეთში ჩატარებული აღწერის დროს კითხვა დედაენის შესახებ მიზნად ისახავს დადგინდეს " ის ენა, რომელზედაც ჩვეულებრივ ლაპარაკობენ ოჯახში", ე. ი. სალაპარაკო ენა. კითხვა მეორე ენის ცოდნის შესახებ ასევე საინტერესო დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას იძლევა, რადგან. ნათელია. კაცი, რომელიც დედაენად (ფაქტურად სალაპარაკო ენად) აცხადებს თურქულს. მაგრამ ამასთანავე ფლობს ქართულს ან ავსტრუს. სინამდვილეში ან ქართველია: ან ავსტრუსი

ქართველენოვანი მოსახლეობა თურქული აღწერების მიხედვით²

აღწერის წლები		1935	1945	1950	1955	1960	1965
ქართული	დედაენა	57325	40076	72604	53623	32944	34330
	მეორე ენა	16255	9337		17038	54917	48976
ლაზური	დედა ენა	63253	46987	70423	27016	21703	26007
	მეორე ენა	5061	4956		22667	38267	59101
ერთად		141894	101356	143027	120544	147841	168414

• ვილაიეთების მიხედვით, 1960 წლის მონაცემებით ბურსის ვილაიეთში მშობლიურ ენად ქართული მოუთითა 7,0 ათასმა, კოჯელის 2,9 ათასმა, საქარაის 3,0 ათასმა და ბალიქესირის 1,0 ათასმა მცხოვრებმა.

1 განუზღვაძე. რ., ქართული მრისახლეობა თანამედროვე თურქეთში. "საქართველო". ტ. 6-9 (სახელმწიფრო-ბიბლიოგრაფიული კრებული). 1969-1972. თბ., 1972. გვ. 536.

2 აქვე. გვ. 534, 535; 1955 Genel Nüfus Sayımı, Ankara, 1960, s.12-13; 1960 წლის აღწერა გასოცია 1964 წლის და 1965 წლის აღწერა 1969 წ.

ქართველები ცხოვრობენ აგრეთვე შავი ზღვის სანაპიროს ვილაიეთებში
ბოლუში 1.1 ათასი, სინოპში 2.1 ათასი, სამსუნში 0.8 ათასი,
გორესუნში 2.0 ათასი, ორდუში 1.9 ათასი, ამასიაში - 1.4 ათასი,
როზეში 4.3 ათასი და ართვინში 12.2 ათასი¹

ეს მონაცემები ამკარად შემცირებულია ასე, მაგალითად, 1960 წლის
აღწერის მიხედვით, დედაენად ქართული გამოაცხადა 32944 მცხოვრებმა,
ხოლო ვილაიეთების მიხედვით - მათი რიცხვი 10000 მცხოვრებით ნაკლებია
22100. ასევე, სულ მთლიანად 1965 წლის აღწერის მიხედვით,
ქართულ-ლაზური მოსახლეობის რიცხვი 168414 შეადგენს, რაც ძალზე
შემცირებულად მიგვაჩნია.

1965 წელს თურქეთში ჩატარებული საყოველთაო აღწერის მონაცემებით ქართველთა განსახლება ვილაიეთების მიხედვით ასეთია: ართვინში ცხოვრობს ქართველების ~22.4%, ორდუში 14%, საქარაიაში 13.2%, ბურსაში 8.5%, ქოჯაელში 8%, სამსუნში 6.8%, გორესუნში 5.9%, ბოლუში 4.5%, ამასიაში 4%, ბალიქესირში 3.7%, სინოპში 3.3%, სტამბოლში 2.4%, თოქათში 1.2%²

1955 წლის მოსახლეობის აღწერის მიხედვით ქართულს და ლაზურს დედაენად მიიჩნევს 80661 კაცი. იმავე მონაცემებით თავისუფლად წერს და კითხულობს ქართულად 16638 კაცი, ლაზურად 9779. ამგვარად, ოფიციალური თურქული მონაცემების მიხედვით, თურქეთში მცხოვრები ქართველების მესამედი თავისუფლად წერს და კითხულობს ქართულ ენაზე, ხოლო 220 კაცს შეუძლია მხოლოდ კითხვა³.

ეს ოფიციალური მონაცემებია. ფაქტურად კი, დღეს თურქეთში ქართული წერა-კითხვის მცოდნე საგრძნობლად მეტია.

თურქეთში მცხოვრები ქართველების უმრავლესობა დღეისათვის პანიფტური მასშაბის სუნიტი მუსლიმია. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თურქეთში მცხოვრები ქართველების გარკვეულმა ნაწილმა დღემდე შეინარჩუნა და ამკარად მისდევს სხვადასხვა მიმართულების (დოგმატის) ქრისტიანობას. მაგალითად, 1955 წლის თურქეთის მოსახლეობის აღწერის მიხედვით, იმ ლაზთაგან, ვინც ლაზური დაასახელა დედაენად, 30 მამაკაცი

1 იქვე.

2 F.Gilgotu, Gürcülerin Tarihi, s. 96

3 F. ბაქაშვი, ქართველების განსახლების საკითხისათვის თანამედროვე თურქეთში, "შახლიბუღაი აჯინისავლეისიის ქსეჩქების ინტორაჟი", 1989, გვ. 19.

ყოფი მართლმადიდებელი, 30 კათოლიკე, 10 პროტესტანტი. ამავე აღწერას მონაცემებით. დედაენად ქართულს ასახელებდა 60 კათოლიკე მამაკაცი და 10 ქალი, 40 მართლმადიდებელი მამაკაცი და 20 პროტესტანტი მამაკაცი. აქ უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ ქრისტიან ქართველ (ლაზ) მამაკაცებს გააჩნიათ თავიანთი ოჯახები, რომლებიც იგივე რჯულს მისდევდნენ.

ამავე მონაცემების მიხედვით, თურქეთში მცხოვრებ ებრაელთაგან ქართულს დედაენად აღიარებდა 300 კაცი. იმავე მონაცემებით, 200 ქართველი (ლაზი) აშკარად მისდევს ქრისტიანობას და თავის დედაენად ასახელებდა ქართულს (ლაზურს), ეკვს გარეშეა, რომ მათი რიცხვი მრავალჯერ მეტია¹.

როგორც ზემოთ ითქვა, ძალზე ძნელია თურქეთში მცხოვრები ქართველების საერთო რიცხვის დადგენა. ფ. ჩილოღლუ (ბ. ჰილაშვილი) თვლის, რომ თურქეთში მცხოვრები ქართველთა რეალური რიცხვი 1-1,5 მილიონია, იგი არ ეთანხმება იმას, რომელთაც სურთ დაასაბუთონ, რომ თურქეთში უფრო მეტი ქართველი ცხოვრობს (5-7 მილიონი), ვიდრე საქართველოში².

ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა კეთილშობილური ურთიერთობა საქართველოსა და თურქეთს შორის. ფართოვდება და იზრდება ეკონომიკური და კულტურული საქმიანობა ორ ქვეყანას შორის. ამასთან ერთად უკანასკნელ ხანს, როგორც მოვლენები მოწმობენ, თურქეთის ხელისუფლებამ საგრძნობლად შეცვალა თავისი დამოკიდებულება თურქეთის ქართული წარმომავლობის მოქალაქეების მიმართ³.

1992 წლის ივლისში თბილისში ყოფნის დროს თურქეთის პრემიერმა სულეიმან დემირელმა განაცხადა: "თურქეთში მცხოვრები ქართული წარმომობის მოსახლეობა აშენებს იმ ხიდს, რომელმაც უნდა დააკავშიროს ჩვენი ქვეყნები. ეს ქართული წარმომობის პიროვნებები ჩვენი თანამემამულეები, სწორედ ის სანდო ხალხია, რომელსაც შეიძლება მივანდოთ ეს საქმე."³ ასეთ ვითარებაში არის ერთი განსაკუთრებული ასპექტი ორი

1 წ. ბაქანი, დასახ. ნაშრომის, გვ. 20.

2 Giloglu, Gurculerin Tarihi, 36.

3 ნ. კოსხიძე, ქვემოთაღნიშნული კარნავალი... საქართველო-თურქეთის ურთიერთობის აკუსიბირიგად ახალი ეტაპი, თბ., 1994 წ. გვ. 197.

მეზობელი ქვეყნის ახალი ურთიერთობისა ჩვენებურებთან. თურქეთში მცხოვრებ ქართველებთან ნაოქსაობის. ახლობლობის აღდგენა. შშობისა და მეგობრობის ახალი ძაფების გაბმა.¹

ამ საქმეში დიდი დახმარების გაწევა შეუძლია ქართულ სათვისტომოებს თურქეთში. ამჟამად თურქეთში ექვსი სათვისტომოა: ბურსაში (1962 წლიდან) ბურსას ვილაიეთის ინეგოლის მაზრის სოფელ ჰაირიეში, "სოფელ ჰაირიეს ტურიზმისა და ინფორმაციის საზოგადოება."²

სტამბოლში (1988 წლიდან) ბათუმეიდან და რეგიონიდან გადასახლებულთა კულტურისა და სოლიდარობის საზოგადოება.³

ანკარაში (1989 წლიდან) "სამხრეთ კავკასიიდან და ბათუმეიდან გადასახლებულთა კულტურის ფოლკლორისა და სოლიდარობის საზოგადოება."

გიოლუქქში (1989 წლიდან) "ართვინელთა და ბათუმელთა კულტურისა და სოლიდარობის საზოგადოება."

იზმირში (1990 წლიდან) ბათუმელთა და კავკასიის კულტურის საზოგადოება.⁴

1993 წლის 11 ოქტომბერს ანკარაში შეიქმნა "საქართველოს რესპუბლიკასთან სოლიდარობისა და თანადგომის კომიტეტი". რომლის თავმჯდომარედ არჩეულია თურქეთის ცნობილი საზოგადო მოღვაწე, მეჭლისის მე-16 მოწვევის დეპუტატი სამსუნიდან აჰმედ ალთუნი (წითელაშვილი). კომიტეტმა თურქეთის საზოგადოებას მიმართა საგანგებო წინადადებით. რომელშიც ობიექტურად აცნობს მას განახლებულ, დამოუკიდებელ საქართველოს. ჩვენ ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს, მოუწოდებს საქართველოსთან თანამშრომლობისაკენ.

ეს დოკუმენტი გაეგზავნა გაეროს, ევროთათბირს, მსოფლიოს ყველა წამყვანი ქვეყნის, მათ შორის თურქეთის, პრეზიდენტებს⁵.

ამ სათვისტომოების საქმიანობის შესახებ ნ. კომახიძე წერს: ძირეულ გაუმჯობესებას და კოორდინირებას საკიროებს მუშაობა ქართულ სათვისტომოებთან თურქეთში, სადაც არიან პატრიოტულად განწყობილი ქართველები, მაგრამ მათი მოქმედებისა და მარგი ქმედების დიაპაზონი მინიმალურია. ქართველობა ის მნიშვნელოვანი ძალაა, რომელიც საქართველო-თურქეთის ურთიერთობის სრულყოფის სამსახურში ჩაგდება მერტ

1 ნ. კომახიძე, მეზობელი კარისათ... გვ. 184.

2 იქვე, გვ. 183.

3 იქვე, გვ. 192, 193.

აქტიურობით და შემართებით მოვლენების სასიკეთოდ განვითარების შემთხვევაში. ეს სამომავლოდ, ამჟამად კი აუცილებელია არტერიების გახსნა თურქეთსა და საქართველოს შორის საელჩოსა და საკონსულოების დაფუძნება, ინფორმაციული ვაჭურვის დაძლევა, თურქეთში მცხოვრებ ქართველებთან მჭიდრო კულტურულ-ეკონომიკური კავშირების დამყარება. ასე მიაჩნიათ საქმეში ჩახედულ ქართველ თურქოლოგებს.

ერთობლივი მიდგომა ამ საკითხისადმი ისაა, რომ მივალწიოთ საქმიანობის შეჭვრებულ ერთიანობას თურქეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ქართველების ეროვნული ცნობიერების ამაღლებისათვის. მაგრამ ამის აუცილებელი პირობა უნდა იყოს თურქეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობა¹

საქართველოს წარსულის, მისი ლიტერატურული და კულტურული ცხოვრების გასაცნობად მეტად მნიშვნელოვან და სასარგებლო საქმეს ეწევა ჟურნალი "ჩვენებური". მისი პირველი ნომერი თურქულ ენაზე გამოვიდა 1974 წელს სტოკჰოლმში, თურქეთში მცხოვრები ქართველების კულტურის საზოგადოების თაოსნობით. მისი დამაარსებელი იყო შანვერ აქინი (თევაზძე). მოგვიანებით მისი მფლობელი და გამომცემელი გახდა აჰმედ ოზკანი (მელაშვილი). "ჩვენებურის" ხუთი ნომერი გამოვიდა, მაგრამ 1980 წელს აჰმედ ოზკანის ტრაგიკული სიკვდილის შემდეგ შეწყდა მისი გამოცემა და 1993 წლიდან კვლავ ვასახლდა. ამჟერად თურქეთში. მისი მფლობელი და პასუხისმგებელი დირექტორია ჯაჰით ოქტაი, ხოლო გამოცემის ხელმძღვანელი (დირექტორი) ფ. ჩილოღლუ (ბ. კილაშვილი). გამოვიდა "ჩვენებურის" 15 ნომერი. ჟურნალი დიდი პოპულარობით სარგებლობს თურქეთში მცხოვრებ ქართველებს შორის.

თურქეთში ქართული კულტურის დიდი მოამაგე, პატრიოტი და პროპაგანდისტი იყო აჰმედ ოზკანი (მელაშვილი) 1968 წელს მან თურქულ ენაზე დაბეჭდა წიგნი "გურჯისტანი - კულტურა, ლიტერატურა, ხელოვნება, ისტორია, ფოლკლორი." 1977 წელს აჰმედ ოზკანი გახდა ხელმძღვანელი ჟურნალ "ჩვენებურისა" და მას უძღვებოდა 1980 წლამდე, მის დაღუპვამდე. აჰმედ მელაშვილის მოღვაწეობას დიდად აფასებს და პატივით მოიხსენიებს იბრაჰიმ გორაძე. "შე ძალიან კმაყოფილი ვარ, წერს იგი, ბურსელი აჰმედ

1 ნ. კილაშვილი. მუსორგელი კარისა... გვ. 199, 200.

მელაშვილის გაცნობით. იგი არის შესანიშნავი ქართველი, საქართველოს დიდი პატრიოტი და მოღვაწე. აჰმედს მადლიერებით მოვიხსენიებ, როგორც კაი კაცს. ჩემზე ხელის გამმართველს.¹

ფეიქრობთ, რომ ა. მელაშვილის შთაგონებით შეუდგა იგი ქართული ისტორიული რომანების თარგმნას. მან თურქულ ენაზე თარგმნა აკაკი წერეთლის "ბაშიაჩუკი", სიმონ ჭვარიანის "გიორგი სააკაძე", უიარალოს "შამლუქი", ი. ფალავას "ჩაუქრობელი კერა" და სხვა. ი. გორაძის მიერ თარგმნილი ქართული ისტორიული რომანები თურქეთში დიდი პოპულარობით და მოწონებით სარგებლობს.

— ამჟამად თურქეთში საქართველოს ისტორიის, ქართული ლიტერატურისა და კულტურის პროპაგანდის საქმეში ნაყოფიერ მუშაობას ეწევა ფ. ჩილოღლუ (ბეჟა კილაშვილი). მან ამ საკითხებზე არა ერთი წერილი გამოაქვეყნა ჟურნალ "ჩვენებურში" და სხვა პერიოდულ გამოცემებში.

ყურადღებას იმსახურებს მის მიერ ისმეთზადე მეჰმედ არიფის წიგნის "ქართული სოფლების" ვრცელი მიმოხილვა. რომელიც დაიბეჭდა ჟურნალში "თარიბ ვე თოფლუმ" ("ისტორია და საზოგადოება", ტ. 17 №101). საქმე ისაა, რომ ეს წიგნი დაწერილია 1893 წელს ძველ თურქულ ენაზე (არაბულ შრიფტში) და თანამედროვე მკითხველთა უმრავლესობისათვის ხელმოუწვდომელია. ამ წიგნის მეცნიერული ღირებულების შესახებ ჩვენ ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი და ამის შესახებ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ. აღვნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ სწორედ ფ. ჩილოღლუს წყალობით ეს შესანიშნავი თურქული წყარო სამეცნიერო მიმოხილვაში შემოვიდა.

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ფ. ჩილოღლუს წიგნი "ქართველთა ისტორია. ენიდან რელიგიამდე, ლიტერატურიდან ხელოვნებამდე"² მასში განხილულია ქართველების პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების ისტორია უძველესი დროიდან დღემდე. წიგნი განკუთვნილია თურქეთში მცხოვრები ქართველებისათვის და, საერთოდ, თურქულენოვანი მკითხველისათვის.

1 ი. გორაძე, ჩემი ჩანაწერები სურქეთში მცხოვრებ ქართველებზე, ჟრნ. "განათლება", 1978 წ. №4, გვ. 157.

2 F. Giloglu, Dilden Dine, Edebiyattan Sanata Gurculerin Tarihi, Istanbul, 1993, 183S.

ერთ-ერთ თავში "თურქეთის ქართველები" გადმოცემულია ქართველების თურქეთში სხვადასხვა გზით მოხვედრის ისტორია. მათი გამაჰმადიანება, ყოფაცხოვრება. განათლება. განსახლება, დემოგრაფიული მდგომარეობა და სხვა. ამ საკითხების განხილვისას ავტორი ეყრდნობა პირველ წყაროებსა და სამეცნიერო ლიტერატურას.

ამავე თავში გაშუქებულია ჯერ თურქეთის სულთნის, ხოლო შემდეგ თურქეთის რესპუბლიკის მთავრობის პოლიტიკა თურქეთში მცხოვრები ქართველების მიმართ. ავტორის დაკვირვებით, მიუხედავად იმისა, რომ ქართველები საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან არიან და თურქეთში სხვადასხვა გზით მოხვდნენ (ზოგი მუჰაჯირთა შთამომავალია, ზოგი გვიანდელი ემიგრანტებისა, ზოგიერთნი ტაო-კლარჯეთისა და შავშეთის მკვიდრნი), საბოლოოდ ისინი ერთგვაროვან ეროვნულ უმცირესობად ჩამოყალიბდნენ.

წიგნში მოცემულია მოკლე ინფორმაცია ქართული მწერლობის, არქიტექტურის, მუსიკის, თეატრისა და კინოს შესახებ და სხვ.

ამრიგად, ფ. ჩილოღლუ თურქულენოვან მკითხველს აწვდის მრავალმხრივ ინფორმაციას საქართველოს ისტორიისა და მისი კულტურული ცხოვრების შესახებ.

ნაშრომს დართული აქვს ამერიკელი მეცნიერის პროფ. ენდრიუს მიერ შედგენილი თურქეთში ქართული სოფლების სია, მცირეოდენი შენიშვნებით.

ფ. ჩილოღლუს წიგნის "ქართველთა ისტორია" გამოცემა, როგორც სამართლიანად წერს ლ. ჩლაიძე თავის რეცენზიაში, თურქეთ-საქართველოს ურთიერთობაში მომხდარი თვისობრივი ცვლილებების "შედეგა"¹

გარკვეული ინტერესი გამოიწვია მ. ვალნიშის და ა. თანდილავას "ლაზების ისტორიის" გამოცემამ თურქულ ჟნაზე.

დიდი მნიშვნელობა აქვს სამსუნის უნივერსიტეტის სოციალური კვლევის ინსტიტუტის დირექტორის პროფ. ბილალ დინდარის (მიქელაძე) მიერ შოთა რუსთაველის უკვდავი პოემის "ვეფხისტყაოსნის" თურქულ ენაზე გამოცემას.

1 ლ. ჩლაიძე. "ქართველთა ისტორია", გაზ. "ლიტერატურული საქართველო", 1994 წ. 14 ოქტომბერი, Lia Chlaidze, Güncülerin Tarihi, "Güvençuri", 1995, Mart-Nisan, N14, s.3-4.

ამჟამად ქართველი თურქოლოგები წარმატებით თარგმნიან თურქულ ენაზე და აქვეყნებენ ქართველი მწერლების ნაწარმოებებს და სხვ. -

თურქეთის ქალაქებსა და სოფლებში შექმნილია ქართული ხალხური სიმღერებისა და ცეკვის ფოლკლორული ანსამბლები, რომლებიც დიდი პოპულარობით სარგებლობს არა მარტო ქართველებს შორის, არამედ, საერთოდ, ქვეყნის მოსახლეობაში. მათ შორის პირველ რიგში უნდა დავასახელო აჰმედ მელაშვილის (ოზჯანის) ვაყის იბერია მელაშვილის ხელმძღვანელობით ქ. ბურსაში 1987 წელს დაარსებული ბურსის ქართულ საზოგადოებასთან ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის ფოლკლორული ანსამბლი.

ამჟამად სულ უფრო და უფრო ფართოვდება საქართველო-თურქეთის ორმხრივი კონტაქტები სპორტის, განათლების, მეცნიერებისა და კულტურის სფეროებში. რაც ხელს უწყობს ორი მეზობელი სახელმწიფოს დაახლოებას. ბუნებრივია, რომ ეს გარემოება დადებით ზეგავლენას ახდენს თურქეთში მცხოვრებ ქართველებთან ჩვენი ურთიერთობის გაღრმავება-გაფართოვებაზე.

თანამედროვე თურქეთში ქართველებს მარალი თანამდებობები უკავიათ სახელმწიფოს მართვა-გამგებლობაში, ქვეყნის ეკონომიკაში, კერძო სტრუქტურებში. ბევრ მათგანს სხვადასხვა დროს მინისტრის თანამდებობები ეკავათ და უკავია. საკმარისია ითქვას, რომ მე-19 მოწვევის მეჯლისში (პარლამენტში) 450 დეპუტატიდან 11 ქართველი იყო.

ჩვენებური ქართველი ბიზნესმენები მზად არიან დაგვეხმარონ და საქმიანი ურთიერთობა დაამყარონ საქართველოსთან.

1992 წლის ოქტომბერში გაზეთ "ხიღის" კორესპონდენტთან საუბარში თურქეთის პარლამენტის დეპუტატმა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა რეფადინ შაჰინმა (ლორთქიფანიძე) განაცხადა: "საქართველოსთან ნათესაობა, მეგობრობა და კეთილმეზობლობა გვაკავშირებს. ერთი გვაქვს ისტორია და გეოგრაფია, ძირძველია ჩვენი კულტურული კავშირები. ამდენად, მოვალენი ვართ ერთმანეთს ხელი ჩაკიდოთ და მუდამ მხარში ვედგეთ, ერთიანი ძალისხმევით ვიღვაწოთ იმისათვის, რომ ჩვენს რეგიონში სუფევდეს მშვიდობა, კეთილდღეობა და აღმავლობის გზით ვიაროთ... თურქეთი და საქართველო მოძმე ქვეყნები არიან, ჩვენ ყველა სფეროში უნდა ვითანამშრომლოთ. ვსარგებლობ ჩემი აქ ყოფნით და საქართველოს საქმიანი წრეების საუკეთესო წარმომადგენლებს შევხვდი და მოლაპარაკება გავმართეთ."

1996 წლის 9-16 ოქტომბერს თბილისში ჩატარდა ყოველთა ქართველთა მსოფლიო კონგრესის პირველი ფორუმი. საქართველოს ეწვია მსოფლიოს 34 ქვეყანაში მცხოვრები ჩვენი თანამემამულენი. მათ შორის თურქეთის, საფრანგეთის, გერმანიის, აშშ-ის, იტალიის, რუსეთის, ესპანეთის, ჩინეთისა და სხვა ქვეყნების წარმომადგენლები.

ყველაზე მრავალრიცხოვანი იყო დელეგაცია თურქეთიდან. ჩვენმა თანამემამულეებმა თვითმფრინავი დაიჭირავეს და 80 კაცი ერთად ჩამოფრინდა საქართველოს დედაქალაქში. მათ შორის იყვნენ ცნობილი ბიზნესმენი ნიპათ გოკიგითი (გოგიტიძე), მწერალი და მეცნიერი ფაპრიდინ ჩილოღლუ (ბ. ჭილაშვილი), მწერალი და ბიზნესმენი ოსმან ნური მენჯანი (ოთარ იმედაშვილი) და სხვები.

ტაბახმელას სასტუმრო კომპლექსში სტუმრებისათვის მოწყობილი სემინარი, რომელზედაც გამოვიდნენ ცნობილი ქართველი მეცნიერები აგრეთვე მოწვეული სტუმრები.

ფორუმის მონაწილეები იყვნენ ქალაქის სამეცნიერო დაწესებულებებში, უმაღლეს სასწავლებლებში, მუზეუმებში და სხვ.

კონგრესის დელეგატები ეწვივნენ კახეთს, ქუთაისს. იყვნენ ბათუმსა და ზუგდიდში, სადაც შეხვედრები ჰქონდათ ადგილობრივ ხელმძღვანელებთან, საზოგადოების წარმომადგენლებთან.

ყოველთა ქართველთა მსოფლიო კონგრესის ფორუმი ეროვნული ერთიანობისკენ გადადგმული პირველი ნაბიჯი იყო. თურქეთში მცხოვრებ ქართველთა დელეგაციამ აქტიური მონაწილეობა მიიღო ფორუმის მუშაობაში.

თურქეთიდან ჩამოსული ბევრი დელეგატი საქართველოში პირველად იყო. საქართველომ მათზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. თურქეთში დაბრუნების შემდეგ მათ გაუჩნდათ სურვილი საქართველოსთან ურთიერთობის გაფართოებისა. ამის ერთ-ერთი ნათელი დამადასტურებელია ჩვენებურების სურვილი, რომ მათ შეილებმა უმაღლესი განათლება მიიღონ დედა სამშობლოში, ქართულ ენაზე.

ამყამად საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში ათობით და ასობით თურქეთიდან ჩამოსული ახალგაზრდა სწავლობს. იმედია, რომ მომავალში საქართველო თურქეთის ურთიერთობა კიდევ უფრო გაიზარდება და გაღრმავდება ორივე ქვეყნის ინტერესების სასარგებლოდ.

ერთი სიტყვით, თურქეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობის გაფართოება საწინდარია ჩვენებურებთან ძმური კავშირის აღდგენა-განვითარებისა და მათი ეროვნული თვითშეგნების ამაღლებისა.

ქართული სოფლები

ქართული თარგმანი და შესავალი მარინე ილურაძისა

შესავალი.

მე-19 საუკუნის 70-იანი წლების დასასრულსა და 80-იანი წლების დასაწყისში. როგორც ცნობილია. საქართველოს სამხრეთ და დასავლეთ რეგიონებიდან გამაჰმადიანებული ქართველები თურქეთის ანუ იმდროინდელი ოსმალეთის ტერიტორიაზე გადავიდნენ. უცხო მიწაზე მათი ყოფაცხოვრების შესახებ. როგორც თანამედროვე თურქი ისტორიკოსი ფაჰრეთინ ჩილოღლუ შენიშნავს. თურქულ ენაზე თითქმის არანაირი ლიტერატურა არ არსებობს. გამოჩენილია მხოლოდ ისმეთზადე დოქტორ მეჰმედ არიფის "ქართული სოფლები", რომლის შესახებაც ქვემოთ გვექნება საუბარი. წიგნი თურქეთიდან ჩამოიტანა და გადმოგვცა ქალბატონმა ლია ჩლიძემ. რისთვისაც დიდ მადლობას მოვასხენებთ.

ქართველები ოსმალეთში დაახლოებით 15 წლის გადასულები იყვნენ. როცა ისმეთზადემ ისინი მოინახულა. როგორც თავად ავტორი შენიშნავს. გამოკვლევის ერთი ნაწილი "გზაზე საკუთარი თვალთ ნანახისა და გაგონილოსაგან. დიდი ნაწილი კი "შემდეგში... ჩატარებული გამოკვლევისაგან შედგება." "ქართული სოფლები" გაზეთ "ტარიკში" (გზა) ნაკვეთებად დაბეჭდვის შემდეგ სტამბოლში 1893 წ. გამოიცა. მასში ასახულია აჭარისა დასავლეთი და ქ. სამსუნის შემოგარენში მდებარე სოფლებში მცხოვრები ქართველების ყოფა.

წიგნის საკმაოდ მოზრდილი ნაწილი სამსუნის. მისი შემოგარენის და დაბა ჩიპარშენბეს აღწერას ეთმობა.

1 Fahrettin Çilolu, 100 Yıl Önce Türkiye'de Gürcü Köyleri.-Tarih ve Toplum, haziran, 1992, sayı: 102, s. 41.

2 Gürcü Köyleri, muharrir İsmetzaade Doktor Mehmed Arif, Mahmud Beg mübaası: İstanbul, 1311, sayı: 21.

ისმეთზადეს გზად ჩერქეზული სოფლებიც უნახავს და, ცხადია, მათ შესახებაც გვაწვდის ცნობებს. აღწერს მათ საცხოვრისს, ეზოს, საკვებს. განსაკუთრებით მოსწონს მათი თავაზიანობა, სტუმრის პატივისცემა, სიბეჯითე, მაგრამ იჭვე შენიშნავს, რომ "სოფლებში მეჩეთისა და სკოლის უქონლობის გამო მაფი უმეტესობა" კემმარიტი განათლების სიხარულს მოკლებულია. ერთი ნაწილი პატარაობიდანვე ცხენზე ჯდომას ეჩვევა და... სკოლა, კიდევ რომ იყოს სწავლის სურვილი აღარ აქვს.¹ უწუნებს ასევე თურქულოს ცოდნასაც, დასასრულს კი წერს: "[მათთვის დამახასიათებელი] ჩვეულებებიდან მოხსენიების ღირსი მხოლოდ ქორწილია, სხვა ისეთი მნიშვნელოვანი და ყურადსაღები არა არის რა."²

როგორც აღვნიშნეთ, მექმედ არიფს რამდენიმე ქართული სოფელი მოუნახულებია, მაგრამ მხოლოდ ერთი მათგანის სახელწოდებას გვამცნობს, ესაა "მუსლუბები" აქვე შევნიშნავთ, რომ ავტორი უთითებს ისეთ სოფლებს, როგორიცაა: თერმე, უნიე, ბაფრა, ნიქსარი და იმას კი არ აღნიშნავს, რომ ამ სოფლებშიც საკმაოდ დიდი რაოდენობით უცხოვრიათ ქართველ მუჰაჯირებს³

ქართველებში სოფლის მეურნეობის დარგებიდან განვითარებული ყოფილა მეხილეობა და მებაღეობა-მეზოსტნეობა. მოჰყავდათ სიმინდი, ლობიო, გოგრა, კიტრი, ქარხალი, კომბოსტო, მეხილეობის შესახებ აი რას წერს ავტორი: "ეზოებში თუთის, ვაშლის, მსხლის, ლეღვის, ქლიავის და ყველანაირი ხილის ხეებია. ხილის ხეების მოშენებით გატაცებული ქართველები მეტად წინ წაყიდნენ, რის შედეგად ყოველ სახლში წელიწადის ყოველ დროს უამრავი კარგი... ხილია."⁴ მისდევდნენ ასევე მესაქონლეობას და მეფუტკრეობას. ვაზი ვერ ხარობსო ამბობს ისმეთზადე და ამას ნიადაგის სიმწირეს აბრალებს, მაგრამ აქ გასათვალისწინებელია ისიც, რომ ქართველი მუჰაჯირები მამადიანები იყვნენ და როგორც თ. სახოკია შენიშნავს, ჯერ კიდევ აჭარაში "მამადის სჯულს ქრისტიანობასთან ერთად მეურნეობის ამ საპატიო დარგისთვისაც ამოუკვეთინებია ფეხი."⁵

როგორც თხზულებიდან ირკვევა, იმხანად ქართველები მიწათმოქმედებისათვის საჭირო ყოველგვარ იარაღს ურმებს, ამბობს,

1 ქართული სოკლები, გვ. 18.

2 იქვე.

3 ის. ნ. ქაჭინაძე, ქართველი მახადიანი დედი გადასახლება ოსმალეთში, მუჰაჯირი-ემგრაცია, ტფილისი, 1912, გვ. 63; თ. სახოკია, მრგაურობანი: გურია, აჭარა, სამეგრელო, აფხაზეთი, ბათუმი, 1985, გვ. 190.

4 ქართული სოკლები, გვ. 26.

5 თ. სახოკია, დასახ. ნაწრონი, გვ. 220.

ნალოებს თავად აკეთებდნენ. სელს და კანაფს თესავდნენ, ძაფს ართავდნენ და ტანსაცმელს იმზავებდნენ. აბრეშუმის პარკი გამოჩაყავდათ და შემდეგ აბრეშუმის ქაშრებს აკეთებდნენ. ფაქტურად მათ მხოლოდ შაქრის, ნავთის, ბრინჯის, მიტკლის, მარილის ყიდვა სჭირდებოდათ და მათ შესაძენად სიმინდის ნაწილს ჰყიდდნენ.

ისმეთზადეს ძალზე მოსწონს ქართველების რელიგიურობა. ბავშვებიც კი გარკვეულწილად რელიგიის ძირეულ საკითხებში გათვითცნობიერებულნი ყოფილან.

მეჰმედ არიფი საგანგებოდ აღნიშნავს ქართველების ნიჭიერებას. "წვდომის დიდი [უნარი] აქვთ და ძალზე ნიჭიერები არიან, რის გამოც ცოდნის შექენაში მეტად სწრაფად მიიწევენ წინ."¹ გარდა ამისა მშობლებიც უკან არ იხევენ და ფულს [იხდიან] იმისათვის, რომ განათლების მისაღებად შვილები ბედნიერების ზღურბლში (სტამბოლში) გაგზავნონ."²

ჩვენი ავტორი მოხიბლულა ქართველთა გარეგნობით, ენაწყოანობით, ყოფაქცევით, სტუმრის პატივისცემით, ქალების ქმრებისადმი მოოჩილობით, ერთმანეთისადმი თანადგონით და წაბლის ჩეებისაგან აგებული სახლებით, რომლებიც "ადგილობრივი მოსახლეობისა და ჩერქეზების სახლებთან შედარებით ჩვეულებრივ ქალაქური ტიპისა უოფილა."³

ის, რაც ქართველებისა არ მოსწონს ეს არის ქორწილი მისი აზრით იგი "მოეკუთვნება იმ მვენე ტრადიციებს, რომლებიც მათი თემისთვისაა დამახასიათებელი."⁴ ძირითადად არ მოსწონს ის, რომ "დამბაჩეებიდან გამოვარდნილი ტყეები სახლს აოხრებდნენ."⁵ არ მოსწონებია ასევე ქართველების ხმამაღალი საუბარი: "... ორი კაცი ერთმანეთს რომ შეხვდება, მათი საუბრის გამგონე უცხოებს აუცილებლად კამათი ჰგონიათ."⁶

წერს იგი.

თხზულების დასასრულს ძალზე მოკლე და ზოგადი ცნობებია დაცული ქართული ენის შესახებაც.

როგორც ჩანაწერებიდან ირკვევა, ქართველებს ხვევი და ბარაქა არ აკლდათ და საკმაოდ შეძლებულად ცხოვრობდნენ. ამის მიზეზად ავტორი.

1 ქართული სიყვავისა, გვ. 31.

2 აქნი ვი. 34.

3 აქნი ვი. 26.

4 აქნი ვი. 34.

5 აქნი ვი. 35.

6 აქნი ვი. 32.

როგორც ჩანს, შექმდეგს მიიჩნევა: "გადმოსახლებიდან მიყოლებული ხუთი, ექვსი წელი ჩვენი მარადიული ქვეყნის ყოველგვარი გადასახადებისა და დადგენილი წესებისაგან, მათი შვილები [კი] ჯარში გაწვევისაგან გათავისუფლდნენ."¹ როგორც ზ. ჭიჭინაძე შენიშნავს: "... თუ ვისავეს რამე აღიარსა მთავრობამ (ოსმალეთის მ. ი.) და მისცა მიწა-ადგილები ისინიც უხეიროები, გამოუსადეგი, სადაც მის ქვეშევრდომთა თათრები ვერ სცხოვრობდნენ, რადგანაც ადგილები... ჭაობიანი, კლდიანი, მოუსავლიანი და უბაზარ-უბოლასო იყო."² იგივე აზრია გატარებული შ. მეგრულიძის შემდეგ სიტყვებშიც: "უმრავლესობა ისეთ ადგილებში დასახლეს, საიდანაც ადგილობრივი მოსახლეობა ცუდი კლიმატური პირობებისა და მოუსავლიანობის გამო სხვაგან გასახლებულა."³ გადასახლებულთა უმძიმეს მდგომარეობაზე წერდა ასევე კონსტანტინეპოლში ინგლისის საელჩოს მდივანი სჯ. ჯონი (მან პირადად მოიარა ემიგრანტთა დასახლებანი): "მათი (საუბარია 7000 ბათუმელ ქართველზე, რომლებიც სტამბოლიდან რამდენიმე საათის საგაზე იმყოფებოდნენ) მდგომარეობა საშინელია. ორნახევარი თვის წინ ჩამოსული 1400 კაციდან შიმშილითა და ციებით 211 კაცი დაიღუპა უმეტესობას ხეების ჩრდილის გარდა სხვა საცხოვრებელი არ ჰქონდა, საკვები მათი კი უმთავრესად კომშის ხის ნაყოფი იყო."⁴ ამგვარად ძნელი დასაჯერებელია, რომ ქართველების მატერიალური კეთილდღეობა მხოლოდ სულთნის წყალობის შედეგია. ქართველებს რომ მიუვალ და უნაყოფო ადგილებში ასახლებდნენ, ამას თავად ჩვენი ავტორიც ვერ უარყოფს, იგი წერს: "ქართველების ამჟამინდელი საცხოვრებელი მიწა ერთ დროს ტყეებით დაფარული და გარეული ცხოველების სამყოფი იყო... [მათ] ისეთი ადგილებიც კი გამოაცოცხლეს და ნაყოფიერი გახადეს, რომლებიც მიწათმოქმედებისათვის სრულიად გამოუსადეგი იყო."⁵ ერთგან ასეთ ფრაზასაც ვხვდებით: "ნიადაგი მოუსავლიანია. ასეთ დამპალ მიწაში მარტო სიმინდი მოდის."⁶ ქართველების შეძლებულობა მხოლოდ მათი შრომისმოყვარეობის შედეგია. ამას თავად ავტორიც აღნიშნავს: "...ყველაზე

1 "ქართველი სოფლები", გვ. 29.

2 ზ. ჭიჭინაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 52.

3 შ. მეგრულიძე, აჭარის წარსულიდან, იბ., 1964 გვ. 65.

4 М. Г. Ролень-Жеммень, Член института международного права, Армения, Армяне и Трактаты, Перевод с французского О. Х. А. ст. 69-70.

5 ქართველი სოფლები, გვ. 28. 29.

6 იქვე, გვ. 27.

უფრო მეტად მათი არაჩვეულებრივი გარჯისა და შრომის შედეგია, რომ ყოველი მზარე კეთილმოაწყვეს... და ისეთ კეთილდღეობას მიადწიეს, რომ ადგილობრივმა მოსახლეობამ, რომელიც აქ ფართე მინდვრებსა და მთებში საუკუნეებიდან მოკიდებული წლების მანძილზე მუშაობს, მხოლოდ ერთი, ორი მინდვრის მფლობელი ქართველი მუჰაჯირებისაგან სესხება დაიწყო.¹ აქედან ისიც ირკვევა, რომ ქართველებს მკვიდრ თურქულ მოსახლეობასთან შედარებით მიწაც გაცილებით მცირე ჰქონიათ და მეჰმედ არიფის ცნობითვე მათ ამ მიწის საფასურიც გადაუხდიათ.²

როგორც თხზულებიდან ჩანს, ქართველებს თავისი ზნე-ჩვეულებები ოსმალეთშიც გადაუტანიათ. იგივე ტრადიციები, იგივე ჩაცმულობა, სოფლის მეურნეობაშიც კი იმავე დარგებს მისდევდნენ, რასაც საქართველოში და ეს გასაგებია, ისინი გეოგრაფიულად და კლიმატურად აჭარის მსგავს ადგილებში სახლობდნენ და არც ისე დიდი ხნის წასულები იყვნენ, რომ თავისი ტრადიციები დაევიწყებინათ.

გვინდა ყურადღება გავამახვილოთ შემდეგ ცნობებზე: 1. გზის მოწესრიგებისა და სარგებლობისათვის ქართული წარმომავლობის ქათიბმა ბაჰრი ბეგმა დიდი სიბუჯითე [გამოიჩინა], უპირველესად [გზა] მოასწორა, მგზავრებისა და ვაჭრების სიმშვიდე და უსაფრთხოება უზრუნველყო. სხვა სურვილიც შეისრულა ორი ისეთი მშენიერი წყარო გამოაყვანინა, რომ ჰემმარიტ ქვეყანას დიდებას და ჩვენს ფადიშაჰ ეფენდის ლოცვას აღუვლენდი... ამ სამიმ გზაზე სწორი და მტკიცე ხიდები ააგო³; 2. "...ერთ დროს აქ სასულთნო კარის ცხენსაშენის დასაარსებლად ჩიპარშენბეს პირველი ინსტანციის სასამართლოს უფროსი ქათიბის, ქართველი ემირებიდან პატივცემულ იუსუფ ბეგ ეფენდის მიერ წამოყენებულ პროექტი განსახილველად პატივდებულ კომისიაში მივიდა და საჭირო ახსნა-განმარტება შემოსავლის განაწილების სამსახურს გადაეცა⁴; 3. "მკვიდრი მოსახლეობის უმრავლესობა ქართულ ბაშლიყებს ატარებს.⁵

ისმეთნადე, ფაქტებს ობიექტურად გადმოგვეცემს. აი რას წერს იგი თავისი თანამომე სოფ. ჯილმეში მცხოვრები თურქების შესახებ: "ამ შემოგარენის მკვიდრი მოსახლეობა ქართველი და ჩერქეზი მუჰაჯირებიით გამბედავი და საქმის მცოდნე არ არის, რის გამოც ძალზე ცუდად

1 ქართული სოფლები, გვ. 29.

2 იქვე.

3 იქვე, გვ. 16.

4 იქვე, გვ. 20.

5 იქვე, გვ. 25.

ცხოვრობს. ისინი სიმინდის ფქვილისაგან დამზადებულ შექამანდს ჰამენ. მათი ლოგინი ბუხრის ძონძებზეთ ჰუჰყიანია. ბუნებით ზარამაცები და უღარდელნი, საკვებსაც მუჰაჯირებისაგან სესხულობენ.¹

მეტად ფართე ინტერესებისა ყოფილა ჩვენი ავტორი. თხზულებაში დატულია სხვადასხვა ხასიათის ცნობები, რომლებიც პირობითად შეიძლება ასე დაჯგუფდეს: გეოგრაფიული, კლიმატური, ეთნოგრაფიული. ისტორიული, სამეურნეო. სამედიცინო და შ.

ძირითადად ასეთია ისმეთზადე მეჰმედ არიფის თხზულებაში ასახულ საკითხთა წრე. და თუ გავითვალისწინებთ მუჰაჯირობის ამსახველი მასალის სიმწირეს, გასაგები გახდება თვითმზილველის მიერ შედგენილი ამ თხზულების მნიშვნელობა. ვფიქრობთ, იგი საინტერესო იქნება არა მარტო მუჰაჯირობის საკითხებით დაინტერესებულ პირთათვის, არამედ ფართო საზოგადოებისთვისაც.

გასანიშნება ქართული სოფლები

ზუსტად თერთმეტის ნახევარი იყო, როდესაც კომპანიის ხომალდები [მთელი თავისი] სიდიადით დაიძვრნენ და გაემგზავრნენ.

ამ დიდ გემებში ყველაფერი, რაც მოგზაურობისთვის საჭირო იყო, წინდაწინვე საკმარისად იყო მომზადებული [და ჩვენც] შავი ზღვის დიდი აუზისავე გაემგზავრეთ. ზღვის დუღუნე ყურს ნაზად ესალბუნებოდა. სრუტის მშვენიერმა ნაპირებმა, იქაურმა საოცარმა პეიზაჟმა სათითაოდ თვალწინ ჩაგვიარა. გემბანზე [მყოფი] მგზავრები ორივე მხარეს [მდებარე] განსაკვიფრებელი მიდამოს მზერით იყვნენ დაკავებულნი და უმეტესობა განშორების სევდას შეეპყრო. სინამდვილეში შეყვარებული კი არა, არამედ რაოდენ დაბალი ტემპერამენტის [მქონე] ადამიანიც უნდა ყოფილიყო, შეუძლებელი იყო არ აღფრთოვანებულიყო, როდესაც უზენაესი შემოქმედის მიერ ქვეყანაზე ერთხელ მოქარგული და მოხატული საოცარი დაფის ყველაზე სრულყოფილი, ყველაზე მორთული ბოსფორის სრუტის იშვიათ პეიზაჟს ნახავდა. შესანიშნავმა საზაფხულო ვილებმა, სანაპიროზე ჩამჰყრი-

¹ „ქართული სოფლები“

ვებულმა მშვენიერმა სახლებმა სათითაოდ თვალწინ ჩაგვიქროლეს და მათ სინაზეში რალაცა მელანქოლიური სურათი იხატებოდა.

ზღვას სძინავს, ამინდი ძალზე კარგია, უბერავს. იმ მდგომარეობაში მყოფი ადამიანი ყოველ წუთში სხვა ცხოვრებას, ყოველ წამში სხვა სიამაყეს გრძნობს.

ბოლოს, ოთხშაბათ დილას დიდ გემში მყოფი აღტურვილობით [და] სსაოში თორმეტი მილის სიჩქარით სამსუნში ჩავედით. [მანამდე] არც წყნად ნავსადგურში არ შევსულვართ, რაც ძალზე სასიამოვნო იყო.

გემის კაპიტანი სისუფთავესა და წესრიგს არაჩვეულებრივ ყურადღებას აქცევს, მაგრამ გემბანზე მყოფი მგზავრები ოსმალურ გემებზე ნანახ პატივისცემას აქ ვერ იღებენ. სინამდვილეში მოგზაურობისა და მგზავრობისათვის ოსმალური გემების არჩევანს საჭირო, რადგანაც [იქ] დამშვიდება და დასვენება [შეიძლება].

შავი ზღვის დიდი აუზი ცნობილი იყო უზარმაზარი ტალღებითა და ამინელი ქარიშხლებით, რის გამოც არავინ არც კი სუნთქავდა, რომ მიძინებულ და მიყუჩებულ ეს ბებერი ზღვა არ გაეღვიძებინა. გემი 36 საათში სამსუნის ნავსადგურში [უნდა]ჩასულიყო. [იგი] ტალღების სიძალეში იკარგებოდა და ამგვარ ვითარებაში გრძელი დღეების გატარება მეტად რთული იყო.

ერთხელ ხუთ, ათ მოგზაურს შევედეთ რომელთაც მიწიერ სამფლობელოში, უამრავი ძვირფასეულობის [მქონე] იმპერატორის უზარმაზარ ქვეყანაში თითქოს არ ეცხოვრებოდათ და მოტყუებულნი და იმედით საუხენი ამერიკაში წასულიყვნენ. იქ მათ ძალზე ბევრი გაჭირვება და ტანჯვა გადაუტანიათ. მანქანა-დანადგარებს ზოგისთვის ფეხი, ზოგისთვის თითი წაუცლია და დაუშახინებია. ბოლოსდაბოლოს მოთმინება გამოლევით და აკლავ ბრუნდებიან [იმ იმედით], რომ უწმინდესი და კურთხეული სამშობლო შეიწყალებს და დააპურებს. სინოპის შუქურა გამოჩნდა. ამბობენ, რომ სამსუნამდე უკვე ექვსი საათი დარჩა. აქედან მოყოლებული ღრუბლებში ჩაძირული სინოპის დიდებულ მთების, სანაპიროზე, მომჩაადოებელ ადგილზე მდებარე კონტა სოფლების თვალიერება-თვალიერებით ოთხშაბათ დილით სამსუნს მივალწიეთ.

შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე ქალაქები, დაბები, სოფლები დავათვალიერე, შევისწავლე და დავრწმუნდი, რომ არ მოიძებნება სიამოვნების მომგვრელი ისეთი ქვეყანა, რომელსაც სამსუნისნაირი სახე ეწინება. სანაპიროსა და სამხრეთით მდებარე სოფელ ქაზამდე გადაკიმულ ამ ქალაქს მშვენიერი ხედი აქვს. ქალაქის [არქიტექტურა] დიდი და ძლიერი ქვეყნის ბუნებრივ ადგილმდებარეობას ისე შეესაბამება, რომ გემებიდან ნასროლი შუქი ქალაქის ხედის ყველა წერტილში ეცემა. მისი სანახები

ზერმუხტიონევი მინდვრებით, დამუშავებულ დაბლობებით და დიდი, ნაყოფის მომცემი ხეებითა დაფარული. ამ მიწილდელო, მრავალფეროვანი და სრულყოფილი ბუნების გამო მომხიბლავ დაფად სახელმძღვანელო ეს ქალაქი სიამოვნებას განიჭებდა.

გემთსაყუდელის უქონლობის გამო გემმა ლუზა ბუნებრივი ნავსადგურიდან ცოტა მოშორებით ჩაუშვა, რის გამოც უმეტეს დროს შავი ზღვის ტალღებს იქნებოდა მინდობილი. ქალაქის ოთხივე კუთხე მოფენილი იყო ლაზი მებღვაურებით, რომელთა ოსტატობას [მგზავრები] როგორადაც არ უნდა დაყრდნობოდნენ, სანამ ნაპირზე არ გადავიდოდნენ და მიწაზე თეხს არ დაადგამდნენ. მანამდე მათში ჩაბუდებული შიში, რომელიც ორმოც კაცს ეყოფოდა. გულიდან არ სცილდებოდათ.

უფრო, კარგად თუ დააკვირდები გემიდან უპირველესად მშვენიერი არქიტექტურული [სტილითა] და ოსტატობით [ნაგები] შესანიშნავი პროპორციების [მქონე] ორ მინარეთიან წმინდა მეჩეთსა და საათიან კოშკს შენიშნავ. სამსუნის დიდ სახლებსა და ნაგებობებს შორის ეს მეჩეთი და კოშკი დამსახურებულად გამოირჩევა. წმინდა მეჩეთმა და კოშკმა, რომელიც ამჟამად სასამართლო საქმის მაღალი კომისიის უფროსისა გახდა. მიიღო სიმპათიური რიზა ბეგ ეფენდის უმაღლესობის სახელი. იგი ცნობილი იყო საზრიანობითა და შორსმჭვრეტელობით და მისი სამსუნში მოღვაწეობის დროს [ქალაქი] აღსდგა და ფადიშაჰის მხარეს იქნა მიგრებული.

რეალურად ქალაქი სამსუნი ამჟამად ორი, სამი ათასი კომლისა და დაბებში და სოფლებში მცხოვრები 150 ათასი სხვადასხვა გვარის მოსაილისაგან შედგება და ამასთან ერთად სივასის, დიარბაქირის და ბაღდადის საიმპორტო საერთო ნავსადგურია. რითაც მისი სავაჭრო ღირებულება ძალზე დიდია, თუმცა ისტორიული თვალსაზრისით კი ისეთი მნიშვნელოვანი არ არის.

სამსუნი შავი ზღვის სანაპიროსა და ჩრდილოეთ განედის 43-ე გრადუსზე მდებარეობს. ტრაპიზონამდე ზღვით 150 მილია, ხმელეთით 92 საათის [სავალი გზაა]. ექვს რაიონს მოიცავს და ამბავან ჩიპარშენზე სამსუნიდან ხმელეთით 8, თერმე ხმელეთით 12 საათის და ზღვით 31 მილის მანძილზეა. ნიქსარი 34, უნიე 18, ზღვით 40 მილის სიშორეზეა. ფაცა კი ხმელეთით 24 საათის [და] ზღვით 50 მილის მანძილზე მდებარეობს¹

1 აქაზად ჩაპარშენზე (ჩარშენი) და თერმე სიქსის, ნიქსარი თიქსოს, ფაცა და უნიე კი ორდუხ იღს (თედეს) ეკუთვნიხ. იხ. Genel Nufus Sayımı Idari Bölümü, II, İlçe, Bucak ve Köy (Muhtarlık) Nüfusları, 26. 10. 1975, Başbakanlık Devlet İstatistik Enstitüsü, Ankara, 1977.

სამსუქნისა და მისადმი დაქვემდებარებული ტრაპიზონის სანახებო მცირე აზიას ეკუთვნოდა. ერთ დროს, როცა იმპერატორ კონსტანტინეს ერთ-ერთი ნათესავის სამართავი მხარე იყო, ოსმალთა სამართლიანი სულთნებიდან სულთან მეჰმედ ხან მეორის უდიდებულესობამ დაიმორჩილა და დაატყვევა და სულთანი სელიმი პირველ ხანებში აქ ცხოვრობდა.

უძველეს დროში მცირე აზია დაყოფილი იყო მთელ რიგ სხვადასხვა ქვეყნებად. აქედან სხვა ქვეყნებთან ერთად დამორჩილებულ იქნა შავი ზღვის სანაპიროზე [მდებარე] აბისინია, პონტოს (?) ქვეყანა და ფრიგიის (?) მმართველის გაზრდილი ძლიერება და დიდება, რომელიც მოვერან ნაპრსა, პონტოსა და სამხრეთში მდებარე კოლოკიას შორის მდებარეობდა. შემდეგ, როცა ლიდის, ქვეყნის ძალა გაიზარდა, გორესუსის სახელით ცნობილ ხელისუფალთა დროს მდ. ქიზილ ირმაქის დასავლეთით მდებარე ქვეყანა დაიპყრეს და დანარჩენ ნაწილში მყოფი მიდიის მეფეები დაიმონეს და დაიმორჩილეს. ეს დაპყრობა მანამდე გაგრძელდა, სანამ მიდიისა და სპარსეთის მეფის ქეიხუსრევის ბატონობის დროს, ქრისტეს დაბადებიდან 584 წელზე ადრე გირესუსზე გაიმარჯვა და მთელი დაპყრობილი ქვეყნები თავის ქვეყანას შეუერთა. ამგვარად, ალექსანდრე მაკედონელის დრომდე ეს ქვეყანა სპარსეთისა გახდა და ალექსანდრეს მიერ მოვერან ნაპრის დამარცხების შედეგად წარმოქმნილი ამ ქვეყნის უმეტესი ნაწილი მაკედონელებს გადაეცა. ალექსანდრეს გარდაცვალების შემდეგ ხსენებული ქვეყანა სელჩუკთა ბატონობის დროს სირიის სახელმწიფოს გამოეყო და შემდეგ რადგანაც მდ. ეფრატის დასავლეთით მდებარე აზიის კონტინენტის ყველა ქვეყანა დაიპყრო, ნახსენები ქვეყანა ქრისტიანული წელთაღრიცხვის მეთერთმეტე საუკუნემდე რუმისა და კონსტანტინეპოლის კეისრებს ემორჩილებოდა. ამის შემდეგ, იმ დროს, როცა სელჩუკთა სასულთნომ გაიმარჯვა და აღმოსავლეთის მხარის ნაწილები დაიმორჩილა, დასაპყრობად დატრიალებულმა ხმლის ტარმა დაიპყრო და შემოხსენებულ ქვეყნის განადგურების პერიოდში, ანუ ქრისტიანული წელთაღრიცხვის დაახლოებით 1300 [წელს] აღნიშნული სასულთნოდან სულთან ალაედდინ მეორის 'აკედილის შემდეგ შემოთქმული ქვეყნის უმეტესი ნაწილი ოსმალთა სულთნებიდან სულთან ოსმან ლაზის სამართლიან, ბასრ მახვილს დანებდა და 1486 წელს ყველა სამოთხისდარ ოსმალეთის სასულთნოს დაიმორჩილა. როგორც მცირე აზიის, ისე მცირე აზიიდან გამოყოფილი ტრაპიზონის სანახების შესახებ შეიხმა აბუბეჟრ ბაპრამ ალთურქის ძემ მე-17 საუკუნეში გეოგრაფიის წიგნის შედგენა დაიწყო, თუმცა მისი სიკვდილის გამო ეს

წიგნი] წარმატებით დაასრულა პაჯი ხალიფად¹ წოდებულმა პირმა. აქ დამსახურებულადაა აღნიშნული. რომ წარსულში სამსუნად, ამჟამად ძველ სამსუნად წოდებული უბანი ძალიან პატარა, ღირბი, კეთილმოუწყობელი და დანგრეული იყო. [ძველთან შედარებით] მისი ახლანდელი მდგომარეობა [ბევრად] უკეთესია. ცოტა ხანში მალალ დონეს მიალწია, რის გამოც დღესდღეობით ანატოლიის სანაპიროს ყველაზე მშვენიერ და ყველაზე კეთილმოწყობილ ქალაქთა შორისაა.

ვისაც დღევანდელი [სამსუნის] უნახავს, მათ მიხედვით იგი განიერი და მოვლილი ქუჩებით, დიდი და მოხდენილი სასოვადოებრივი ადგილებით [და] შესანიშნავი სახლებითაა ცნობილი. ყოველ შაბათს იმ ანგარიშით, რომ ბაზრობა გაიმართება, მის შემოგარენში მცხოვრები თურქმენი, ქართველი, ლაზი, ჩერქეზი და აბაზა² მუჰაჯირები და განსაკუთრებით მკვიდრი მოსახლეობა ურშებითა და პირუტყვით ჯგუფებად მოდის სამსუნში და ცხოვრებისათვის საჭირო სხვადასხვა საქონელს ეზიდება. იმ დღეს სხვადასხვა ჯურის ადამიანების უჩვეულო აურზაური ნამდვილად ყურადღობას იმსახურებს. ყოჩაღი მუჰაჯირები ყოველ კვირა დღეს ბაზარში და შიგ ქალაქში დიდ ვაჭრობას მართავენ. ირის გამო, რომ [სამსუნის] ერთ დროს კაისერის, სივასის, ამასიის და ანატოლიის საერთო სავაჭრო გასასვლელი იყო, მგზავრების უწყვეტი ნაკადი, რომელსაც მეტი და მეტი გასაყიდი ნივთები [მოჰქონდა], ურშებით. პირუტყვით [და] აქლემებით ქალაქში მოდიოდა და [საქონელი] გემებით სხვა ადგილებში გადაჰქონდა, შემოსავალი, განსაკუთრებით საბაჟო და ქალაქის სავაჭრო, იზრდებოდა. მოსახლეობამაც დიდი სიმდიდრე და ჭონება დააგროვა. რის გამოც ქვეყნის კეთილდღეობა და ცივილიზაცია განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს და ყოველდღიურად სულ ცოტა ოთხი, ხუთი სახლი შენდება, მაგრამ ორი წელია, რაც [ახლად] გაყვანილი ანკარის რკინიგზის ხაზი დაზიანებულია, ამან [ცი] სამსუნის ვაჭრობას მნიშვნელოვანი [ზარალი] მიიყენა. ამას ისიც ადასტურებს, რომ ის დიდი სახლები, დაცარიელდა, არასაბაზრო, სხვა დღეებში საგრძნობია მგზავრებისა და სავაჭრო ნივთების ნაკლები რაოდენობით და იშვიათად შემოტანა და აქლემების სიმცირე. სინამდვილეში ვაჭრობის [გასაერთარებლად] საჭიროა მუდმივად [ვითარების] შესწავლა. გვირაბების გამოთავისუფლება და ამოქმედება, სამსუნის მისასვლელთან [ინდებარე] ბლიერ გაფუჭებული და ჩვეულებრივ რთულად გასასვლელი გზებისა და იმ ადგილების შესწავლა, რომლებიც რკინიგზის მსგავსად

1 ქობიბ წყლები // პაჯი კალაფა

2 აფსაზი.

საგზაო მიწაყრილის გაკეთების საშუალებას იძლევიან. ლევის მფლობელი ბედნიერი ნური ფაშას აღმატებულების [მიერ]ბაღდადის, ბაფრას და ჩიპარშენბეს გზატკეცილზე წარმატებით დაწყებულმა და დაუმთავრებელმა დიდმა ცდამ და ზემონახსენები აღმატებულების ნამოქმედარის შესწავლამ ქალაქისათვის კიდევ ბევრი დიდებული აზრი გაგვიჩინა.

სამსუნი ის სავაჭრო ადგილია, სადაც საშუალოდ ცხოვრება შეიძლება. [ქალაქის] კულტურულ [სახეს ქმნის არა] ხმარებიდან გამოსული ქუჩუიანი, არაფრის მაქნისი ლუდხანები, თეატრები და კაზინოები, რომლებშიც მუსიკა უკრავს, არამედ ერთი, ორი ბარაკი და შავი ზღვის უკიდველანო სივრცისკენ მიმართული, გასართობ ადგილებად მიჩნეული ჩაიხანეები, რომლებიც პარასკევ საღამოობით სიამოვნებისა და სეირნობის ადგილად იყო ქცეული.

როგორც მე ვიგარძენი, ყველა მუნიციპალიტეტის მოვალეობაა, რომ სისუფთავის დასაცავად ძალ-ღონე არ დაიშუროს. [ესაა] წყნარი ქალაქი, რომელსაც [აქვს] ორი, სამი შესანიშნავი აფთიაქი, საავადმყოფო, ყიშლორი, ანას გარდა ახლად აგებული მშვენიერი ფასადის მქონე მთავრობის სახლი, საშუალო სკოლა და ფაქილოს ფაბრიკა.

პარასკევს ნაკმბანდიეს შეიხებიდან სეიდ ქუთუბ ადღინის უწმინდესობის ღვთიუკურთხეული აკლდამა მოვინახულე. მისი წმინდა აკლდამა და ეზო, რომელიც ინდოეთიდან, იემენიდან და სხვა შორეული ქვეყნებიდან ჩამოსული მომლოცველების გასაჩერებელი ადგილია, მეტად ლამაზად გამოცოცხლდა მას შემდეგ, რაც მის გვერდით რიზა ბეგ ეფენდის უმაღლესობის მცდელობითა და ღვთისმოსაობით სპეციალურად სტუმრებისათვის აიგო ორი ოთახი. სახელმწიფოსათვის შემოსავლის წყაროდ ქცეული სასაფლაოს ოთხივე მხარე კოხტა კედლებით იყო შემოსაზღვრული, დღეს [კი] ხსენებული წმინდა საფლავი დანგრეულია, სასაფლაოც ადამიანებისთვის გასასვლელად იქცა და მეტად წახდა.

სასაფლაოს შიგნით [მდებარე] მწერლის, განსვენებულ ყაზი ეფენდის წმინდა აკლდამა ნამდვილი საპილიგრიმო [ადგილია]. სასაფლაოს შიგნით ყველაზე უწინ სამსუნის სასამართლოს წევრებიდან პატივცემული აბდურრაჰმან ბეგის ქალიშვილისათვის ოთხ კედელს შორის მეტად ლამაზად აგებული აკლდამა გამელოლების ყურადღებას იქცევს და ისინიც [ხედავენ] რა მის სავალალო მდგომარეობას] გაცლას ამჯობინებენ. იმედია, რომ უახლოეს მომავალში ზემონახსენები ბატონის აბდურრაჰმან ბეგის გამოცხადებით გავერანებულ სასაფლაოს კეთილმოწყობის ბიურო მიხედავს.

სამსუნის აღმოსავლეთიდან და ჩრდილოეთიდან [ჩამომავალი] ორი დიდ მდინარე შავ ზღვაში ჩაედინება. აქედან ერთი ქიზილ ირმაქი (წითელი მდინარე), მეორე [კი] იეშილ ირმაქია (მწვანე მდინარე). ვაჭრობის

თვალსაზრისით ორივე ქ. სამსუნს დიდ მოგებას აძლევს. ადრე პალისად წოდებულ, ახლა [კი] ქიზილ ირმაქი აღმოსავლეთისა და სამხრეთის მდინარეებისგან წარმოდინდება. სამხრეთის მდინარე დაბა ბოსთანის სიახლოვეს ჰუსნეს მთიდან იღებს სათავეს და ბოსთანის ველის დასავლეთით მდ. ერგელის (?) შეერთებამდე მიედინება და ცოტა შემდეგ ჩრდილოეთისაკენ იხრება.

აღმოსავლეთის მდინარის სათავე სივასის ჩრდილო-აღმოსავლეთიდან იწყება და იქიდან დასავლეთით მიედინება. სამხრეთის მდინარესთან შეერთების შემდეგ იქ მდებარე მთების შუიდან დაკლაკნილი მიიკლევს გზას და ჩრდილოეთ განედის 36-ე გრადუსზე, 11[და]45" შავ ზღვაში ჩაედინება. ქიზილ ირმაქის დათვალეობებით დგინდება, რომ მისი სიგრძე 400 გეოგრაფიული მილია. მაგრამ გაკვირებით პატარა ნავეებით ამ კალაპოტის დაახლოებით 1/10-ის გავლა და მოგზაურობა შესაძლებელია. მიხვეულ-მოხვეულის გარდა ბევრ სხვა ადგილზეც აწყდებიან წინააღმდეგობას, მაგრამ [პატარა ნავები] სათანადო გარჯით გაწმენდის გარეშეც წინ მიიწევენ.

წარსულში ირისად, ახლა იეშილ ირმაქად წოდებული მდინარე, რომელიც ქიზილ ირმაქთან [შედარებით] პატარაა, სამი მდინარის შეერთების შედეგად წარმოიქმნება.

ხსენებული მდინარეებიდან ორი სამხრეთიდან მოედინება. და ამასიის შემოგორენში ერთმანეთს ხვდება. მესამე კი აღმოსავლეთში იღებს სათავეს. ყასაბა შექმენს მახლობლად ამ ორ მდინარეს უერთდება. ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით მიედინება და სამსუნის მახლობლად ზღვას ერთვის. ამ მდინარის სიგრძე ქარა ჰისარის მახლობლად მდებარე აღმოსავლეთის მდინარის სათავემდე ორასი მილია.

ჩიპარშენბე საბაჰიდან ჩიპარშენბეს მიმართულებით წასვლა საჭირო. იეშილ ირმაქით არავინ სარგებლობს და იმ მიზეზით, რომ ყველა ჩიპარშენბეს ბოლო ქუჩაზე გადის და მოგზაურობს, ბუნებრივია ამ გზას ირჩევენ და პოლიციის ოფიცერი თან მიჰყავთ.

ეს გზა სამსუნის მთავრობის სახლის წინ იწყება და რვა საათი გრძელდება. [იგი] სწორი, მოვლილი და ყველა შემთხვევაში გასავლელად ვარჯისია, რის გამოც ჩიპარშენბედან და სამსუნს დაქვემდებარებული თერმეს, უნიეს და ზოგიერთი რაიონის შემოგარენიდან და განსაკუთრებით უფრო სიღრმეში განლაგებული ქართული, ლაზური და ჩერქეზული სოფლებიდან ვინც მივითბება. და საქონელს ეზიდება. ყველა მასზე გაივლის და სამსუნში ჩამოდის.

მიუხედავად იმისა, რომ გზებზე უამრავი ჭრელი ხალხი ირევამაინც) სიმშვიდე და უსაფრთხოება სუფევს. ყველა, ზოგი მარტო და ზოგი მუდღუნსთან ერთად, მშვიდობიანად გადადის.

ერთი ხანობა აქ უზნებობას და უბედურებას [დაესადგურებინა] და მოგზაურების მძარცველი რამდენიმე ყაჩაღის გამოისობით სიმშვიდე არ იყო. მაგრამ [ახლა] აქაც, ისევე როგორც წყალობის ჩრდილ ფაღმარაპის ქვეყნის ყველა კუთხეში, სრული სიმშვიდეა გამეფებული. გარდა ამისა, ამ მაგისტრალზე ბევრი ისეთი სოფელი მდებარეობს, რომელიც კემშიარტად ნახვის ღირსია და [ჩვენც] ამ გზით გადავწყვიტეთ წასვლა.

მიუხედავად იმისა, რომ სამსუნს გარკვეულწილად გამორჩეული ადგილი უკავია და მისი სანახები და სანაპირო ამ მიწის ორგანული ცხოველთაა დანაყრებული, იგი ძნელად გასაველი ტალახითაა ცნობილი, მაგრამ რადგანაც ვფიქრობდით, რომ ურმები ჩვენ სასურველ მანძილთან მიგვიყვანდნენ, ამიტომ საპალნე ცხენი მოვამზადებინეთ.

ჩიპარშენბესა და მის შემოგარენში საზოგადოდ საპალნე ცხენების უმეტესობა ჩორთით დადის, რის გამოც მათ, ვისაც დასვენება უყვარს, ძლიერ მოსწონთ. საპალნე ცხენებს ჩორთით სიარული ან თანდაყოლილი [აქვთ]. ან შთამომავლობით [მოსდგამთ]. ან კიდევ წვრთნით აქვთ შეძენილი.

აქაური საპალნე ცხენების უმეტესობა, თუმც მთამომავლობით მოსდგამთ. ბუნებრივად იძულებით დადიან ამ გზაზე და ტალახთან ჭიდილში იმარჯვებენ. ცხოველები დიდტანიანები კი არა საზოგადოდ პატარები არიან, მაგრამ მძიმე შრომა უწყვეტ და ისეთ დაბრკოლებებს, როგორიცაა ტალახი და ქაობი ყველაზე ძლიერი ცხოველები ყვირილითა და მთელი ძალით ლახავენ. ამასთან ერთად დიდი ტალახის გამო სამსუნის გარდა იმ არემარეში არც ერთი სამგზავრო პირუტყვი არ არის.

ჭალაქის გასწვრივ მდებარე ამ ქუჩაზე, რომელიც მთავრობის სახლთან იწყება და ხიდის სიახლოვეს მთავრდება, გამვლულ-გამომვლელი მგზავრები ერთმანეთს ხედებიან, სასახლესა და საცხოვრებელს ათვალიერებენ და ამ ქუჩაზე სპეციალურად აგებულ კაფეებსა და ფუნდუკებში მრავალ ადამიანს ელოდებიან. ამ ქუჩის ორივე მხარეს ჭალაქის ბოლოსაკენ პატარა სახლები ჩანს. ესენი ლატაკთა დასასვენებელი ქოხები, [მათი] ბედნიერი ბუდეებია, მაგრამ [ამასთანავე] ამ რიგში ზოგიერთი სახლი თავისი თვალწარმატებით გოცებს და გაკვრავებს. ნოღაელების ეს სახლები, რომლებიც დასასვენებელი სოროებია, სასაცილომდე პატარაა. შეხედვისთანავე შეამჩნევდი, რომ მდინარის ნაპირებზე მოფუსფუსე თახეების საცხოვრებლებითაა წახრილი.

ამათი გასწორება რომ შეიძლებოდეს. ბოლოს ადამიანის სიმაღლისა გახდება. თანჯრები და კარები შესაბამისად იმდენად პატარაა, რომ ნამდვილად ნახვის ღირსია.

ამ გრძელი ქუჩის მნიშვნელობა ძალზე დიდია. თუ მსურველს აპოენიან და ქალაქის ნაპირებიდან მოსწორებას დაიწყებენ [მაშინ]. გზა კარგად მოწესრიგდება. მაგრამ რადგანაც ეხლა გავლა კირს, ამიტომ სიარული მხოლოდ ზღვის ნაპირ-ნაპირ და მინდვრებითაა შესაძლებელი.

ეს აქ დამთავრდა: იმის გამო, რომ წინ ხუთი წუთის საველზე კლდოვანი მთის შუიდან დაწყებული გზის გარდა [სხვა] გასავლელი ადგილი არ არის და ამ გზის ერთ მხარეს მწვერვალია, მეორე მხარეს [კი] საშინელი უფსკრული, რომელიც შავ ზღვასთან მთავრდება და ძლიერ გაშინებს, ამიტომ მისი მოწესრიგებისა და სარგებლობისათვის ქართული წარმომავლობის ქათიბმა ბაპრი ბეგმა დიდი სიბეჯითე [გამოიჩინა]. უპირველესად მოასწორა, მგზავრებისა და ვაჭრების სიმშვიდე და უსაფრთხოება უზრუნველყო, სხვა სურვილიც შეისრულა ორი ისეთი მშვენიერი წყარო გამოაყვანიან, რომ ჭემმარიტ ქვეყანას დიდებას და ჩვენს ფადიშაჰ ეფენდის ლოცვას აღუვლენდი. წყაროში გემრიელი წყალია. ამ საშიშ გზაზე სწორი და მტკიცე ხიდეები ააგო. მაგრამ ამის შემდეგ სწორი გზა თითქოს სხვა მხარეს გადაიხარა და სავალად უვარგისი გახდა. რის გამოც ჭვიშიანი ზღვის სანაპიროთი, ჭვიშობით და დაჭაობებული ტყეებით უნდა იარო.

პირუტყვი დიდი გაჭირვებით დადის ტალახსა და ჭვიშობში. მინდორში, რომელსაც მოულოდნელად ვაწყდები, შერეულადაა დათესილი საზამთრო და სიმინდი. სამსუნის თუთუნის ძველთაგანვე [საჭეყნოდაა] ცნობილი, [მაგრამ] ჩემი გადასვლის დროს ძალზე ცოტა მინდვრებს წაეაწყდი ისეთს. სადაც თუთუნის იყო დათესილი, რამაც დამარწმუნა, რომ საერთო სურვილის მიუხედავად [ეს კულტურა] ეცემა.

ამ ადგილებში კარგი და მნიშვნელოვანი ტყეები არ არის. მხოლოდ პატარა ხეებსა და მლაშობს აწყდები.

გზის ეს მონაკვეთი, რომლის გავლას ოთხი საათი სჭირდება, ზოგან სწორია, მეტწილად კი გაფუჭებულია, რის გამოც მგზავრობისა და მოგზაურობის [დროს] სირთულეები იჩენს თავს. შუა გზაზე მგზავრებისა და ცხოველების დასასვენებლად სპეციალური ხანედ წოდებული ყავახანეებია და გვიანი მგზავრი ღამეს. აქ ათენებს, ჩვეულებრივ ეს ხანეები დასასვენებლად და დასაძინებლად მოსახერხებელი არ არის, რადგანაც თითო [თინჯანი] ყავის მეტს არ იძლევიან.

აქედან მოყოლებული მოუწესრიგებელი და ვიწრო გზა ორივე მხრიდან ერთი მეორის მახლობლად [მდებარე] მრავალი ჩერქეზული სოფლითაა გარშემორტყმული, რის გამოც [იგი] თავშეყრის, კამათის, ენაკვიპატობისა და მხიარულების ადგილადაა ქცეული.

ჩერქეზი გლეხები გზაზე მდებარე მინდვრებსა და სახლებს ცხოველებისაგან დასაცავად ერთი სიმაღლისა და ერთი სახეობის ტირიფის ხეებით ღობავენ, რის გამოც გზაზე მიმავალი მგზავრები ამ ხეების ქვეშ მშვენიერ საჩრდილობელს პოულობენ და სადგომის [საკითხს] ასე წყვეტენ. ამ ადგილებში დასახლებული ჩერქეზული მოდგმის მიერ დაარსებული სოფლები მცირე დროის განმავლობაში ძალზე გაიზარდა. პირველ ნაბიჯებს რომ დგამდნენ, შეიძლება ითქვას, ბევრ სოფელს მიწა ცოტა ჰქონდა. მაგრამ გლეხების გარჯისა და სიბეჯითის წყალობით მიწის სიმცირის მოუხედავად საკვებმა იმატა.

ჩერქეზული სახლები ერთმანეთისაგან გამოყოფილია და ერთი მეორის მიყოლებითაა აშენებული, გარშემოც ან ღობით, ან ტირიფის ხეებითაა შემოსაზღვრული და სოფლებში მომრავლებული მამლების ყივილოს ხმა ამგვარი საშუალებითაა თავიდან აცილებული. ამ სოფლებში მდებარე სახლები ხის ტიხარით გამოყოფილი ორი ოთახისაგან შედგება. იმ მხარეში ჭაობიანი ადგილები და შესაბამისად ლერწამიც ძალიან ბევრია, ამიტომაც [სახლები] ლერწმითა და ფიჩხითაა გადახურული.

სახლებს ერთი მომცრო კარი და ერთი-ორი პატარა ფანჯარა აქვთ. რამდენადაც მათი ფასადი მძიმე შესახედავია, იმდენად, მისი შიდა ნაწილი, რომელიც ტალახითა და კირითაა მობათქაშებული, საკმაოდ მოსაწონია. ამ სახლებს ფაცხას უწოდებენ.

ყველა ფაცხა ფართო, აყვავებული ეზოს შუაში დგას. ზოგიერთი თუთარადაა მობათქაშებული და სიმართლე რომ ითქვას, მშვენიერ სიმწვანეში მდგარი ამ საცხოვრებლების ყურება სიხარულის მომნიჭებელია. მოვლილ და სრულყოფილ სახლს იშვიათად შესვდები. ეზოები, რომლებითაც ეს პატარა სახლებია გარშემორტყმული, დედლების, მამლების, სხვა შინაური ცხოველების საბალახოა. ამ ადგილებში დასახლებული ჩერქეზები ყველანი სიმინდის პურით, გოგრითა და ლობიოთი იკვებებიან. საჭიროების შესაბამისად თესავენ და დლიურ ულუფას იზადებენ. მათი ახლობლები და ნათესავეებიც ცხოვრების სარჩოს მოპოვებით არიან დაკავებულნი, რის გამოც მიწათმოქმედებაში ჩამორჩებიან.

იმის გამო, რომ სოფლებში მეჩეთი და სკოლა არა აქვთ, მათი უმეტესობა ჰეშმარიტი განათლების სიხარულს მოკლებულია. ერთი ნაწილი პატარაობიდანვე ცხენზე ჯდომას ეჩვევა და ამის გემოს რომ გაიგებს, სკოლა კიდევ რომ იყოს, [სწავლის] სურვილი აღარ აქვს.

თურქული ენა ძალზე ცუდად იციან, რის გამოც საუბრისას დიდ სირთულეებს ვაწყდებოდი. ჩერქეზები, მეტად სტუმართმოყვარე და თავაზიანები არიან. სტუმრებს მომღიმარი სახით იღებენ და ოჯახის ყველა წევრი შეძლებისდაგვარად პატივს მიაგებს.

ქალები სტუმრის სამსახურითა და პატივისცემით არიან ცნობილი და როგორც უნდა დააძალო, [მათი თანდასწრებით] არ სხდებიან. სოფლის მეურნეობის რთულ და ძნელ საქმეს მხოლოდ მამაკაცები ემსახურებიან. ქალები ხელსაქმეში ატარებენ დროს, სუფთა და ლამაზი კაბები აცვიათ და მათი უმრავლესობა ამხანაგებთან ერთად მინდვრებსა და ველებში სეირნობს. ჩერქეზი ქალები ცხენოსანსა თუ ჭევითად [მიმავალ] მგზავრს მოულოდნელად რომ გადააწყდებიან, რიგში გამწკრივებულნი ფეხზე მანამდე დგანან. სანამ მგზავრი არ ჩაივლის. [ამ ფორმით] პატივისცემას გამოხატავენ.

მგზავრის გზაზე ჩავლამდე ლოდინი [მათი] წესია. განსაკუთრებული ჩვეულებებიდან მოხსენიების ღირსი მხოლოდ ქორწილია. სხვა ისეთი მნიშვნელოვანი და ყურადსაღები არა არის რა. ქორწილის [დღეს] სახალხოდ აცხადებენ დათქმულ დღეს ოჯახის უფროსს ცოლ-შვილი თან მოჰყავს. ახალგაზრდებიც ამორჩეულ ახლობელთან, გულისწორთან ერთად, რომელიც ცხენზეა შემომოჭდარი. შესაკრები ადგილისკენ მიემართებიან. ამ გზაზე გავლა ყველას გულს ახარებს. ქალი, კაცი, ბავშვი. მოხუცი თუ ახალგაზრდა ძალით თუ ნებით წრეს კრავს და ამ წრის შუაგულში ახალგაზრდები ცეკვას იწყებენ.

მათი მუსიკალური საკრავი ან გარმონს ჰგავს, ან საქორწილო გრძელ ქოკოს. რომლის ზედაპირზე ჯოხებს განუწყვეტლოვ და ერთ ტონში ურტყამენ. ამ რიგში [მდგომი] ახალგაზრდა ვაჟები და ქალიშვილები ერთიმეორეს საცეკვაოდ იწყევენ და (წრის) შუაში შედიან. ხუთი თითით ექვს დამბაზას ისვრიან. ბათქაბუთქს სტეხენ და, რადგანაც ბევრი თოფის გასროლა მათი სიმდიდრის და უფრო მეტად სილამაზისა და მომხიბლელობის ნიშანია, ერთ-ერთი ქალისათვის [სროლას] უმატებენ, იარაღს ცლიან და თოფისწამლის კვამლისაგან მეორე კაცს ვეღარ ხედავ, მაგრამ იმ ქალისათვის, მთელი მისი სანათესაოსა და ახლობლებისათვის [ეს] ძალიან დიდი სახელო და პატივია. იარაღიდან გამონაბოლქვი კვამლის შავ ღრუბლებში, რომლებიც იჭაურობას. გარს ერტყმინან; გოგონები ფერიებივით ნაზად ცეკვავენ. [ისინი] მე პირქულ ღრუბელში გაფრენილ და გაუჩინარებულ ლეგენდის ფერიებს მაგონებენ. ამის შემდეგ საქმელს შეექცევიან. [სუფრაზე] ისეთი ოსტატურად მომზადებული საქმელები დევს, რომ ჭკუიდან შეიშლები.

ამგვარად: პატარძლის მოახლოების შესახებ სასიხარულო ცნობას ვინც მიაწვდის, დაპირებული გასამრჯელოს ღირსი [ის] ხდება და [ვინც]

გაასწრებს და გაიმარჯვებს. [მისიანი] თავის ცხენს მინდობილი რამდენიმე ასი მხედარი მწყარივებად დგება. ერთი მათგანი იქ ამორჩეულ ზეზე აღის, ხელში ცხვირსახოცი ან მიტკალი უჭირავს ვინც ამ ცნობას შეიტყობს და ბიჭის სახლში ყველაზე უწინ მივა, ის მხედარი იმსახურებს საჩუქარს. მაშ ასე: ამ მხედრების წინ სხვა მწყარივი ეწყობა. ხელში მათ გრძელი ჯოხები უკავიათ. ნიშნის მიცემისთანავე უკან [მდგომ] მორთულ, გამარჯვებულ ახალგაზრდებს აკისრებენ, და სწრაფი ცხოველები. რომლებსაც მხედრები მათარა ხს უთავაზებენ და შეუძახებენ, მთებს, ქვებს შუაზე ჰყოფენ. ქარზე უსწრაფესად დაწყობილი მწყარიების წინ მდგომი ადამიანები იმ გრძელ ჯოხებს, ხელში რომ უჭირავთ, ცხენებსა და მხედრებს სახეზე, თვალზე, სადაც მოხვდებათ, ძლიერად ურტყამენ. მოძრაობასა და სისწრაფეში ხელს უშლიან. რის გამოც [ის ვინც] ამ მწყარის მარჯვედ და მოხერხებულად გაარღვევს და ცხვირსახოცს ან მიტკალს ხელთ იგდებს, წინდაწინ დაპირებულ საჩუქარს ღებულობს. ხშირია, როცა მხედარს, რომელმაც მიტკალი ხელთ იგდო, ვინმე სხვა ეწევა და ხელიდან გამოსტაცებს.

ჩერქეზებს ძალზე დიდი წარმატებები აქვთ ვერცხლზე ოქროთი მოსავადებასა და ნატიფი ნივთების კეთებაში. სამკაულებს, დანებს და ყამებს, ამგვარად რთავენ.

ესენი. ყველანი სისუფთავეს დიდ ყურადღებას აქცევენ. თუმც თავიანთი ჯანმრთელობის დაცვისა და მოვლისათვის საკმარის ზრუნვას იჩენენ. მაგრამ იმის გამო, რომ იქ უამრავი ჭაობი და დამდგარი წყალია, ჰაერი მიკრობებითაა, სავსე. [რაც] მეტად სამწუხაროა. ჩამოსულთა ერთ ნაწილში ამის ან კიდევ უჭმელობის გამო [გავრცელებულია] სისხლნაკლებობა, კლეტი. ციების უბედურება. კრეტინიზმი, საყმაწვილო და განსაკუთრებით ატმოსფერული წნევით გამოწვეული ტიფი, რომელიც ძალუმად ფეხს იკიდებს. ამის გამო უმრავლეს სოფელში ბავშვები ვერ ცოცხლობენ. დიდები ვერ ინკურნებიან. განუწყვეტილვ გოგირდის მარილს ხმარობენ. მაგრამ ამასაც შეეჩვივნენ.

ჩიპარშენბედან თერმესაკენ ხუთი. ექვსი საათის სავალ მინდორში შესვენება შეუძლებელია. მიუხედავად იმისა, რომ ატმოსფერული წნევისა და ჰაერის დაბინძურების გამო გაფრენილ ჩიტსაც ციება ეყრება და სიკვდილის საფანეში გადასვლის წუთში გამოცდას აბარებს. ადგილობრივები მანც ძალიან ბევრ საქონელს უშვებენ თავისუფლად, რადგანაც აქ წელიწადის ყოველ დროს მინდორი ნაირგვარად ჰყვავის, რითაც მესაქონლეობას ხელი ეწყობა. საქონელი თავისთავად მრავლდება [და] იზრდება. პატრონი მათ საჭიროების შემთხვევაში იყენებს. საკოვებლად ცნობილია, რომ ამ მინდორის, ამ მდელის განსაკუთრებულ უსუნების წყალობით

ზრდასრული ცხოველის სხეული, რაოდენ მომცროც უნდა იყოს, ძალიან ძლიერია და [მათი] ხორცი არაჩვეულებრივად გემრიელია. ამასთან ერთდროს აქ სასულთნო კარის ცხენსამენის დასაარსებლად ჩიპარშენბეს პირველი ინსტანციის სასამართლოს უფროსი ქათიბის, ქართველი ემირებიდან პატივცემულ იუსუფ ბეგ ეფენდის მიერ წამოყენებული პროექტი განსახილველად პატივდებულმა კომისიამ მიიღო და საჭირო ახსნა-განმარტება შემოსავლის განაწილების სამსახურს გადაეცა.

აი. ამ საძოვრის წყალობითაა, რომ ჩიპარშენბეს ხორცის გემო და ფასი დაუეწიარია.

აქაურობის შესახებ ჩემი დაწვრილებითი მონათხრობის ერთი ნაწილი გზაზე საკუთარი თვალით ნანახისა და გაგონილისაგან, დიდი ნაწილი კი შემდეგში ჩემს მიერ ჩატარებული გამოკითხვისაგან შედგება. დასრულებისთანავე საჭიროდ ჩავთვალე, რომ სამომავლოდ აღარ გადამედო და უმოკლეს დროში წარმომედგინა.

ბუნებრივია, რომ [შეთქლებელია] შვიდი, რვა საათის სავალ გზაზე მოგზაურობისას ამდენი რამ შეიტყო და დასკვნა არ გამოიტანო.

ჩიპარშენბეს მივალწიეთ. ამ ყასაბას იეშილ ირმაქი ორ ნაწილად ყოფს. სანამ ამ ორი ნაწილის დამაკავშირებელ ხიდამდე მიხვალ, მანამდე გაშლილი განიერი გზის გასწვრივ პატარა სახლებია ჩამწკრივებული. იეშილ ირმაქი ქვეყნის შუაში ჩამოდის, სამსუნში ზღვას უერთდება და აქედან სამსუნამდე (სანამ ზღვას შეუერთდება მ. ი.) დასათვალიერებლად და სამოგზაუროდ გამოსადეგი ფართე და წაგრძელებული პატარა გემებით ჩიპარშენბეს სავაჭრო საქონელი ამ მდინარის საშუალებით გადააქვთ, რაც ყასაბას კეთილმოწყობასა და ვაჭრობას დიდად ადგება, მაგრამ ზაფხულში მდინარეში წყალი იკლებს და მოგზაურობის დროს დაბრკოლებას აწყდები. ამ დროს ყასაბას ერთი მხრიდან მეორეზე გადასასვლელად იძულებულნი იყვნენ დამსხდარიყვნენ სტამბოლის სათევზაო ბარჯის მსგავს დიდ და უსახურ, სპეციალურად მდინარისათვის განკუთვნილ ბორანზე, ცხოველებს კი მდინარეში ერეკებოდნენ, რასაც ბევრი უსიამოვნება ახლდა თან და სავაჭრო ოპერაციებს ხელი ეშლებოდა, ამიტომაც ახლა მშვენიერი ხილია აგებული და ამით ქვეყნის დიდება და სახელი გაიზარდა. ზამთრის დღეებში მთებიდან მოვარდნილი ნიაღვრის შეტყვისაგან მდინარე არაჩვეულებრივად სწრაფად მიედინება, წყალიც მატულობს, და ეს ხიდი ზიანდება თუ არა, გაურკვეველია, რადგან ამ ადგილებში ჩემი ჩამოსვლიდან ერთი თვის შემდეგ წისქვილების, სახლების, მინდვრების გამანადგურებელი ძლიერი წვიმის კვალდაკვალ წყალი აღიღდა, დინებასაც სისწრაფე მოემატა, მაგრამ ხიდისთვის არა დაუტკლია რა და იმგნია, რომ ერთ ხანს მტკიცედ იდგება.

ყასაბა ჩიპარშენბე ათასზე მეტ კომლს მოიცავს. იმის კვალობაზე, რომ ოცი, ოცდაათი წლის წინ გამანადგურებელი ხანძარი ყოფილა, ბაზარი ამჟამად აღდგენილია. დუქნები და ბაზარში განლაგებული კაპწია მალაზიები ჭეისაა. მათი მშვენიერზე მშვენიერი სახლები, ბაღები, ყველანაირი ჯიშის ნაყოფის მომცემი და უნაყოფო ხეებით დამშვენებული ბაღები, ბოსტნები, შუაში ჩამომდინარე დიდი მდინარე და ამ მდინარის იქითა მხარეს აღმოცენებულ პატარა კუნძულებზე ერთ რიგში სიდიდის მიხედვით ჩამწკრივებული ტირიფის ხეების სიხარულის მომნიჭებელი ხედი ძალზე მშვენიერია და აგარაკის [ამენების] სურვილი გიჩნდება, რითაც [აქაურობის] ღირსეული მეუფე ხდები. ხიდის ქვეშ გამდინარე წყლის ჩუხჩუხი, წყლის ზედაპირზე ბატებისა და იხვების მოძრაობა, ფრთების ტყალაშუნი, ტივების ქვეშ ცურვა და ამასთან ზურმუხტისფერი გარემოს ცქერა ადამიანს ალგაფრთოვანებს და აქ დასახლების სურვილი გიჩნდება, მაგრამ ატმოსფერული წნევა ამ აზრზე იმარჯვებს.

ღღის მანძილზე მცხუნვარე მზის მოქმედებით წყლის ზედაპირის აორთქლება ხდება. საღამოები კი ცივია და რადგან პაერის სიმკვრივე იმატებს, ღამე მოსული ნამისაგან მიწა ჩვეულებისამებრ ისე სველდება. თითქოს უწვიმიად, თანაც როცა [მიწა] ინამება, წყაპაწყუპი ისმის და ვინც აქაურობას კარგად არა სცნობს, ეჭვიც არ შეპარება, რომ უცილობლად წვიმა ჰგონია, რადგანაც მეც ასე მეგონა. კარგი ამინდის დროსაც კი წვიმის მიზეზებზე ვფიქრობდი.

აი, ამ ნესტისა და მდინარის მეორე მხარეს წარმოქმნილი დამპალი ჰაობის გამო ღამე გარეთ დარჩენილ ადამიანს მაშინვე ციება და უფრო მოგვიანებით ტიფი ეყრება, რის გამოც ამ ადგილებში მოსახლეობის დიდი ნაწილი დროგამოშვებით ჰაობის ციებ-ცხელებით, ტიფით, დიზენტერიით და სისხლნაკლებობითაა დაავადებული.

ძალიან ცოტაა ისეთი ვინმე, ვინც სისხლსავსეა და ძლიერი ჯანმრთელობა აქვს. ატმოსფერული წნევის გამო ღამე გარეთ პლედის გარეშე არავინ არ რჩება. ჩიპარშენბეს მოსახლეობის უმრავლესობა ეაქრობასთანაა დაკავშირებული. აქაურობა მოუსავლიანია და მიწის დამუშავებას [დიდი] მნიშვნელობას არ ანიჭებენ.

არც აქ მოდის ხორბალი, ჭერი და სხვა პროდუქტი, კიდევ რომ დათესონ, მეტად დაბრეცილ და მუქი ფერის ხორბალს ღებულობენ. ამ ხორბალს სწრაფად უჩნდება ჭია, რის გამოც ფასი არა აქვს. საზოგადოდ სიმინდი მოჰყავთ. ძალიან ბევრი ითვისება ასევე ჭარა გიოზად წოდებული ლობიო, გოგრა და სელი, აქ. მდინარის სანაპიროზე ფქვილის ფაბრიკაა. იგი დასაფუკავად და სხვა საქმისთვისაა გამოსადეგი.

ხიდის თავში ორი პატარა აფთიაქი, კეთილმოწყობილი ტელეგრაფი და სახელმწიფოს ხარჯზე არსებული ჯანმრთელობის დამცველი სახლი, რომელიც [მრავალ] სასიკეთო საქმეს ეწევა და ერთი მდინარის ნაპირზე მოქმედი სასაკლავო არის. კვირაში ერთხელ, ოთხშაბათ დღეს, ამ ყასაბაში

მშვენიერი ბაზრობა იმართება. გარშემო სოფლებიდან ქართველების, ლაზების და ადგილობრივი მოსახლეობის მრავალრიცხოვანი ჯგუფები მოდიან და დიდ ვაჭრობას მართავენ, რის გამოც იმ დღეს სასაკლავოში ასობით ცხვარს, ხარს და ხბოს კლავენ. იქვე კრიან, ახარისხებენ და მოსახლეობაში ყიდიან. ჩიპარშენბეს მოსახლეობა ვაჭრობისკენ ძლიერაა მიდრეკილი და განათლების სურვილი არა აქვს, რის გამოც გამართული რუშთიყ¹ არ არის. ოთხშაბათ დღეს მეზობელი გლეხები ურმები თა და პირუტყვით სხვადასხვა ნივთებს ეზიდებიან. ხაზვის, ბარდოჯნის და ყველის გროვა, მთავაით რომ წამომართულა, საღამომდე არ რჩება და მოლიანად იყიდება. გლეხობა თავისი ხელით მოყვანილი პროდუქტის სიმინდისა და ლობიოს გაყიდვაში სირთულეს არ აწყდება. სიმინდით ვაჭრობა იმდენად გაცხოველებულია, რომ მოვაჭრე გლეხების მიერ მოტანილი სიმინდი გასუფთავებულია თუ არა, ამას ნამდვილად არ უყურებენ. სწრაფად სწონიან. ბაზრის ფასის მიხედვით ფულს უხდიან, რის გამოც მოსახლეობას პროდუქტის გაყიდვაში ერთი დღითაც [კი] არ ექმნება დაბრკოლება. თანაც ქალაქარეთ გზაზე საქონლის საყიდლად ყასაბაში შეუსვლელად მათ განკარგულებაშია რამდენიმე მაღაზია. მდინარის მოპირდაპირე ნაპირზე ქრისტიანთა უბანია, ამიტომ [იქ] ლენის სარდაფებია. მოსახლეობა, ისევე როგორც სამსუნში, ყავახანებში გაუთავებლად შეექცევა ჩანს, რომლის წყალობითაც ატმოსფერული წნევისაგან გარკვეულწილად სუნთქვას იწესრიგებს. ყასაბას ქუჩები უსწორმასწორო და ტალახიანია. დასალევი წყალი გაყვანილი არაა, წყაროს წყლით სარგებლობენ. მისგან [კი] ყველის სიმშრალე ემართებათ. დასანანია, რომ ყაზაში, რომელიც ორასზე მეტ სოფელს მოიცავს, არც ერთი ადგილობრივი ექიმი არ არის. მოსახლეობას ექიმი ჯერ კიდევ არ ენახა და შეჩვეული არ იყო, რის გამოც ვილაყების რეკომენდირებული სულელური მკურნალობით სხეულს ზიანს აყენებენ. იმის გამო, რომ ყველაზე უმნიშვნელო მალარიას არ მკურნალობენ, ქლეჩით და საყმაწვილო სენით ავადდებიან და მათ ფიზიკურ და სულიერ ცხოვრებას ზიანი ადგება.

ჩემი მოგზაურობის პუნქტ ჩიპარშენბედან სამი საათის სავალ გზაზე მდებარე მუსლუბეიდ² სახელდებული ქართული სოფელია. განათლებული ხალხისთვის ცნობილია, რომ ყველაზე მეტი წვიმა აქ მოდის და უმეტესად ხეებითა და წყაროებით მდიდარ [ამ] ადგილებში ჩერდებიან. აქ საკმაოდაა ულრანი ტყეები, რაც იმით აიხსნება, რომ იემილ ირმაქის გამო ხშირად

1. სამუჯალი სკოლა.

2. მუსლუბეიდ სამსუნის იღის ჩარშაბახ ოღჩეს (რაინის) ეკუთვნის. იხ. Genel Nufus Sayımı Idari Bölümü; შესახლა ამ სოფლის თაყდაპირველი სახელწოდება "მოსულა ბეგი" ცოფილიკი, რადგანაც, გარდა იმისა, რომ ეს ასობრივად გასარილებული აქებოდა, სადინდაც მოსულა თავად მუსლუბეიდს გრაფიკულა სახეც გვაუქრებამებს აძის.

წვიმს. აქაური ნიადაგის გამოისობით [ეს წვიმა] ისე არ ჩაივლის, რომ არ ატალახდეს, მაგრამ მზის სხივების მსუბუქი მოქმედებით მალევე შრება და ტალახისა და წვიმის კვალი არა რჩება, ამიტომაც წვიმა არად ჩავთვალე და ჩიპარშენბედან გავემგზავრე.

ჩვენი გზა იეშილ ირმაქის ნაპირზე მიემართება. ამ მდინარის მიერ აქა-იქ წარმოქმნილი ბუნებრივი ყურეები, სოფლები და პატარა-პატარა კუნძულები საოცარი სანახავია, მაგრამ ადგილობრივი მოსახლეობა მათ არ იყენებს და მიზეზი [ამისა] დარდი და მწუხარებაა.

ადგილობრივი მოსახლეობა მინდვრებში სიმინდს ძალიან მჭიდროდ თესავს, რის გამოც ტარო მსხვილი არაა, სამი საათის სავალ ამ გზაზე ისეთი ადგილი არ არის, რომელიც სანახავად ღირდეს.

ეს აქ დამთავრდა: ტყე, რომელიც სოფელ მუსლუბეიში შესვლისას გავიარე, კეშმარიტად დიდია და ისეთი უზარმაზარი ხეებია, რომ ალტაცებაში მოდიხარ. ხეები სინესტიასგან ხავსით ისეა დაფარული, თითქოს თავით-ბოლომდე აბანოს პირსახოცში გახვეულაო. მუხისა და წაბლის ხეების სიდიდე [მართლაც] გაოცებს.

ამ გზაზე ადგილობრივი თურქული მოსახლეობის ჯილმედ სახელდებულ სოფელია. ამ არაჩვეულებრივ სოფელში უმნიშვნელო გაჭირვებას წაავწყდი, რაც სიმინდის და ჭერის შეგროვებით იყო გამოწვეული. [აქ] კრამიტისა და აგურის წარმოებისათვის ორი საეცილოური ღუმელია. გარშემო [მდებარე] ზოგიერთი სოფელი და ყასაბა ჩიპარშენბე კრამიტს აქ ყიდულობს. მდინარის პირას მდებარე ეს სოფელი თითქმის ჭაობის სამეთვლია [მოქცეული]. ყველგან ტალახია. ამიტომ აგურისა და კრამიტის დასამზადებლად საჭირო ტალახი [აქვე] ამოაქვთ. ამ შემოგარენის მკვიდრი მოსახლეობა ქართველი და ჩერქეზი მუჰაჯირებით გაბედული და საქმის მკოდნე არ არის, ამიტომაც ძალზე ცუდად ცხოვრობს. სიმინდის ფქვილისაგან დამზადებულ შეჭამანდს ჭამენ. მათი ლოგინი ბუხრის ძონძებივით ჭუჭყიანია. ბუნებით ზარმაცები და უდარდელნი საკვებასაც მუჰაჯირებისაგან სესხულობენ. აქაურობა ჭაობიანია და ჰავა მათ ცხოვრებას გაუსაძლისს ხდის. ბავშვები [ტანად] ძალზე პატარები არიან და ჩვეულებრივ თოთხმეტე წლის ასაკში იღუპებიან. იშვიათად [თუ] შეხვდები ზრდასრულ ადამიანს, რომელიც სამოც წელს ჯანმრთელი მიადწევს. ქალები წელზე წინსაფარს იკეთებენ და ამით კმაყოფილდებიან. ბურჯუსა და ფარაჯას არ ხმარობენ. საერთოდ ფეხშიშველი დადიან. თავს რიდით ფარაჯენ და ამით უცხო მზერისაგან დაცულნი არიან. მათი ტანსაცმელი შარვალი და მოკლე ყაყტია, რის გამოც, თუმც თავზე რიდე აქვთ მოხვეული. მამაკაცებისაგან [მათი] გამორჩევა ძნელია. მიუხედავად ამისა, ვალიარებ, რომ მამაკაცებზე უფრო შრომისმოყვარენი არიან. ამ მხარის ადგილობრივი

მოსახლეობის უმრავლესობა ქართულ ბაშლიყებს ატარებს და საცვალის ტიპის თეთრი ბეაზის შარვალს ხმარობს. ვისაც ბედმა არ გაუღიმა, მათ უხეში შალისა აცვიათ. ღარიბი და გაჭირვებული ბევრია.

ქართველები როგორც ახლობელი, ისე შორეული ნათესავებისა და მეგობრების მიმართ დიდ სიყვარულს იჩენენ. ძველი ადათის მიხედვით რომელიმე მათგანის სოფელში მისვლისას სიხარულის გამოსახატავად და პატივისცემის ნიშნად თოფს ბევრჯერ ისვრიან, სწორედ ამიტომაც ჩვენი ტომის ხალხმაც ჩემი მოსვლა შეიტყო თუ არა, ამ გზაზე არსებული ადათებისა და სტუმრის მიღების სასიამოვნო ჩვეულებების შესასრულებლად ძალზე ბევრი თოფი დაცალა.

ქართველების საცხოვრებელი სახლები ადგილობრივი მოსახლეობისა და ჩრქეზების სახლებთან შედარებით ჩვეულებრივ ქალაქური ტიპისაა. შეიძლება ითქვას, რომ საზოგადოდ მათი უმეტესობა სახლებს წაბლის ხეებისაგან აშენებს. სახლებს კრამიტის ნაცვლად კვადრატული ფორმის წაბლის ყვავრით ხურავენ. ეს [იმ] სირთულეს ხსნის, რაც ძლიერი ქარის შედეგად გატეხილი კრამიტების შეცვლასთანაა დაკავშირებული. თანაც ეს ფიცილები კარგა დიდ ხანს ძლებს. მათი სახლები ოთხი კედლისაგან, ერთმანეთში გამავალი ერთი, ორი ოთახისა და სამზარეულოსაგან შედგება, ერთსართულიანია და კეშმარიტად ოსტატურადაა ნაგები. წაბლის ხეებისაგან აგებული სახლები ძალიან დიდხანს ძლებს, რის გამოც წაბლის ხეებიცა და მისგან დამზადებული სახლებიც მეტად გავრცელებულია.

ქართულ სოფლებში მდებარე შენობები ერთმანეთისაგან გზითაა გამიყოფილი. ყოველ სახლს საკუთარი ეზო და ბოსტანი აქვს. ამ ბოსტნებში კიტრი, ლობიო, ჭარხალი, კომბოსტოა დათესილი. ეზოებშიც აუცილებლად თუთის, ვაშლის, მსხლის, ლეღვის, ქლიავის და ყველანაირი ხილის მომცემი ხეებია. ხილის ხეების მოშენებით გატაცებული ქართველები მეტად წინ წავიდნენ, რის გამოც ყოველ სახლში წელიწადის ყოველ დროს უამრავი კარგი ბოსტნეული და ხილია.

ტყეებში ჩვეულებრივი შავი ხისა და რცხილის უზარმაზარი ხეების წვერში გვიჯებს ათავსებენ. ფუტკარს აშენებენ და ბევრ თაფლს ღებულობენ. მშვენიერია ის სახლები, [სადაც] ნაყოფის მომცემი ხეები ბევრია. ამ ეზოებში უამრავ ქათამს ზრდიან. მაგარი და თანაბარზომიერი ლობით შემოსახლცრული ეზოების შუა ნაწილი სპეციალურად სახლისთვისაა [გათვალისწინებული] და დროთა ვითარებაში ათას ნაწილად დაყოფილი მინდორი აკრავს. ამ მინდვრებში სიმინდი ითესება. სიმინდს შორის გოგრა და ლობიოა ჩათესილი. ნიადაგი მოუსავლიანია. ასეთ დამპალ მიწაში მხოლოდ სიმინდი მოდის. ვაზი ვერ ხარობს. ნათესის ნადირისაგან დასაცავად მინდვრებში ერთი, ორი საივანად წოდებული ქობია. დათესილის

სიმწიფეში შესვლას დროს ქართველები ძალღებითა და თოფებით ღამეებს იქ ატარებენ. ყვირიან, თოფს ისვრიან და თუნუქს ახმაურებენ. ამნაირი საშუალებებით შეძლებისდაგვარად მოსავალს დანაკარგისაგან იცავენ. ერთ მინდორში განსხვავებულ მოწყობილობას გადავაწყდი. მეტად საკვირველი [რამეა]. წყლის ფსკერზე ფიცრისაგან მშვილდი მაგრდება. მშვილდის ერთ ბოლოზე თუნუქის სახაპავია [მიმაგრებულა], მეორე ბოლოში კი [ხის ნაქერზე] თანაბარ მანძილზე [მდებარე] ერთმანეთისაგან გამოყოფილი ხისავე თხელი ფიცრებია ჩამაგრებული. იგი ოინბაზის მორთულ დაფას ჰკავს. კალაპოტიდან მომდინარე წყალი თუნუქის სახაპავში ჩადინება და, ბუნებრივია, მძიმე უღელიდან ქვევით ეშვება, წყალი თავისით იღვრება და ჰაერში ასვლისას იმ ორი ფიცრის წინ მდებარე ბოძს ძლიერად ეხეთქება და დიდ ხმას გამოსცემს. იმ ადგილებში. სადაც ეს მოწყობილობაა, ღამით მოსულ ადამიანს ცულოთ შეშის მოჭრაც შეუძლია. თავის თავზე და წყლის დინებაზე დაფუძნებული ამ ოსტატური მოწყობილობის ხმის გამგონე მხეცები მინდვრებს ვერ ეკარებიან.

გარდა ამისა იმ ადგილზე, საიდანაც ცხოველები შედიან, ისეთ ოსტატურ, ისეთ მოხერხებულ დამბაჩის ხაფანგს უგებენ. რომ იმ მხრიდან შესული ნადავლი, საითკენაც დამბაჩა მიმართული, მაშინვე ზევით იწევა და მიწასთან სწორდება. ამგვარად ეს ოსტატური ხაფანგი ყველაზე ძლიერი ყარაულის მოვალეობას ასრულებს. როცა ცხოველი სიმინდის ყანაში შედის და ზარალი თვალწინაა, [ამის] მოთმენა შეუძლებელია. ცხოველი ჩვეულებრივ სიმინდს ვერ ჰამს, ლეკავს, მაგრამ ყანაში დიღამდე კი არა, ერთი, ორი საათიც თუ დარჩა, ისე აოხრებს, რომ მისი გამოყენება შეუძლებელია. ასეთი მინდვრიდან ერთი მარცვალიც კი ვერ გამოაქვთ.

ქართველები თავის ერთადერთ კაპიტალს - სიმინდს ალების შემდეგაც ძალზე ლამაზ ადგილზე ინახავენ. მისი სამყოფელი ესაა ერთი, ორი ნალიად და ბელელად წოდებული ადგილი, რომელიც აბსოლუტურად ყველა სახლის ეზოშია. თუ როგორაა ნალია და ბელელი ისე გაკეთებული, რომ თავგმა არ დააზიანოს, ამის აღწერა შეიძლება. ნალები და ბელები უპირველესად ოთხი ბოძისა და ყოველ ბოძზე ბორბლის ფორმის მრგვალ და პრიალა ზედაპარზე ერთიმეორეზე დადგმული ბოძებისაგან შედგება. ზემოდან ლერწმით ან სიმინდის ღეროთია გადახურული. თავგები იმ ბოძებში კიდევ რომ შევიდნენ და იმ პრიალა ბორბლებშიც გავიდნენ, ბელელში [მიანც] ვერ შეაღწევენ, ამიტომაც შიგ ჩაყრილი სიმინდი ინახება. ბელელის ძირი მობათქამებული არაა. იგი მიჯრით დაწყობილი ერთი ზომის ხეებისაგანაა გაკეთებული, რის გამოც ამ ხვრელებიდან ბუნებრივად შემავალი ჰაერის წყალობით სიმინდი არც ფუჭდება, არც

ლტბა და რადგანაც ნიავედბა. ძალიან ჩქარა შრებ. ღრიკობიდან აინდის მარცვლები ძირს ცვივა და სპეციალურად მომზადებულ ზეწრებში გროვდება. ამ გზითაც საარგებელს ნახულობენ. ბელღობის .ოთხ ბოძს შიგნის სავრცე თავისუფალია და რადგანაც ბელღობის ზევითა ნაწილი გადახურულია. წვიმების დროს ცხოველებსა და ნივთებს ინახავენ ან გლახებს იფარებენ. ნაღობში კი [მხოლოდ] პროდუქტსა და ტანსაცმელს აწყობენ.

მინდვრები და სახლები გარშემო ფირახთიდ წოდებული ღობეებითაა შემოვლებული. მოწათმოქმედებისათვის საჭირო ყოველგვარ ნივთებს თავად ამზადებენ. ურმებს, ნაღობს, ბელღობს თვითონ აკეთებენ. სპეციალურად კანაფს და სელს თესავენ, ძაფს [ართავენ]. ტანსაცმელს და სხვა საჭირო პირად [ნივთებს] ამზადებენ და თავის თავს უზარუნველყოფენ.

სახლებში აბრეშუმის პარკი გამოაყავთ და ქაშრებს ქსოვენ. თხილის ხის მერქნისაგან შესანიშნავ და მშვენიერ კალათებს წნავენ. ასე რომ ბაზარს არაფრისთვის არ იყენებენ, მაგრამ, ბუნებრივია, შაქრის, ნავთის, ბრინჯის, მიტკლოს, მარილის და ზოგიერთი სხვა ნივთის შესაძენად და დასამზადებლად სიმინდის ნაწილს ჰყიდიან. ცხოველების მოსაშენებლად დიდ ინტერესს იჩენენ, მაგრამ მიზანს ვერ აღწევენ იმის გამო, რომ უზარმაზარ ტყეში ხეგია. იქ თავისუფლად გაშვებული ბევრი ცხოველი იკარგება და საღამოს მათ მოსვლას [ამაოდ] ელოდებიან.

ქართველებმა ამჟამინდელი საცხოვრებელი მიწა, [რომელიც] ერთ დროს ტყეებით დაფარული და გარეული ცხოველების სამყოფი იყო, იყიდეს. ადგილის სიმაღლე და ჰავა ჩიპარმენბესთან შედარებით რამდენადმე რბილია და ყველაზე უფრო მეტად მათი არაჩვეულებრივი გარჯისა და შრომის შედეგია. რომ ყოველი მხარე კეთილმოაწყვეს და ისეთი ადგილებიც კი გამოაცოცხლეს და ნაყოფიერი გახადეს, რომლებიც მიწათმოქმედებისათვის სრულიად გამოუსადეგარი იყო.

გადმოსახლებიდან მოყოლებული ხუთი. ექვსი წელი ჩვენი მარადიული ქვეყნის ყოველგვარი გადასახადებისა და დადგენილი წესებისაგან, მათი შვილები [კი] ჯარში გაწვევისაგან გათავისუფლდნენ. რის გამოც ჩვენს კეთილსმყოფელ და მოწყალე ძღვეამოსილ ეფენდის (სულთანს მ. ი.) ლოცვა და ხობტა აღუვლინეს. მიწის დამუშავებასა და ზენა-თესვაში დიდი გულმოდგინება გამოიჩინეს. ხუთი, ათი სულისაგან შემდგარმა ოჯახმა, რომელიც ოცდაათი ყურუსითა და გაქირავებით მოვიდა. მოკლე დროის განმავლობაში [სული მოითქვა], ცხოვრებისათვის აუცილებელი [ნივთები] შეიძინა, მინდორი, ხარულელი, ცხოველები გაიმრავლა, გაქირავებისაგან თავი დაიხსნა და (ისეთ) კეთილდღეობას მიაღწია. რომ ადგილობრივმა მოსახლეობამ, რომელიც აქ ფართე მინდვრებსა და მთებში

საუკუნეებიდან მოკიდებული წლების მანძილზე მუშაობს, მხოლოდ ერთი, ორი მინდვრის მფლობელი ქართველი მუჰაჯირებისაგან სესხება დაიწყო. ვარჯა და შრომა რას არ აკეთებს, რას.

სამშობლოს მიერ მათთვის ნაბოძებ ჯანმრთელობას აქაური ატმოსფერული წნევა (ვერას ვნებს), მაგრამ თერმეში, ჩიპარშენბეში საქმეზე წასვლა-წამოსვლისას რაიმე უბედურებას გადაეყრებიან. რის გამოც აქაც ჭლეჩი და უფრო მეტად საყმაწვილო სენია გავრცელებული. ავადმყოფებს ძველთაგან შეიქმნილი გამოცდილებით მკურნალობენ. უპირველესი მკურნალობა ავადმყოფისათვის ოფლის მოდენაა. ესეც მეტად საოცარი მეთოდით სრულდება. ავადმყოფს ზემოდან პატარა სამლოცველო ხალიჩას, ლოგინს, საბანს, რაც ხელში მოხვდებათ ყველაფერს აფარებენ და ასე ადენენ ოფლს. აქ კიდევ ბევრს შევხვდი ისტერიით დაავადებულს. ეს ავადმყოფობა მამაკაცებშიც შეინიშნება. მკურნალობას და მკურნალის როლს სრულიად არ ვიყავი შეჩვეული, რის გამოც მეტად საოცარი რამ შემემთხვა. ერთ ავადმყოფს რამდენიმე დღის წინ რეცეპტი გამოვუწერე და მიღების წესი ავუსხენი: საწყალმა კაცმა ფიქრის მერე რეცეპტი წყალში ჩადო და დალია. როცა შევხვდი, ავადმყოფობას გაველო, რადგანაც ციება სჭირდა. ორი დღის შემდეგ ვილაცა მოვიდა. მის მიერ მოტანილი წიგნი გადავთვალე, ადამიანის განსაკურნავი ჩვენი შელოცვები გაინტერესებენ? ეს უცნაური საქციელი დღემდე არ მავიწყდება.

ესენი ისეთი მამაკები. ისეთი ყოჩაღები არიან რომ: დარწმუნებული ვარ, იმ ადგილებზე, რომლებზედაც მათი დატვირთული ურმები გადის, ბევრი ვინმე ფეხით ისე ვერ გაივლის, რომ არ წაიბორძიკოს. სიძინდს ისეთ ციკაბო ფერდობზე თესავენ რომ: თესვის დროს ადამიანი აუცილებლად წელზე თოკს იბამს, მეორე ბოლო კი სხვას უჭირავს. ამ ფერდობებზე თოხნა კი არა, ფეხზე დგომაც კი შეუძლებელია. ქართველები აი ასეთ რთულად გასაველელ ჭვიან და კლდიან ადგილებში ასრულებენ მინდვრის სამუშაოებს.

თუთუნისა და მათრობელა სასმელების გამოყენებას ქართველები ცოდვად თვლიან, რის გამოც ჯანმრთელი ორგანიზმი აქვთ. მათი შვილები და შთამომავლებიც ამ გზას ადგანან და ამიტომაც ძალიან ბევრია ისეთი, ვინც სამოც, სამოცდაათ, ოთხმოც წელზე მეტისაა და ჯანმრთელია.

მუსლუბეში ერთი ქვეპერ აღად და მეორე არიფ აღად წოდებული ორი ძმის შვილები, შვილთა შვილები და [მათი] შვილიშვილები არიან სულ ოთხმოცდაცხრამდე ზრდასრული [ადამიანია], რაც გაჭირვებით დავადგინე და რამაც ძალიან გამაკვირვა. მათი ჯანმრთელობაც შევისწავლე.

მათი საქმელი საზოგადოდ ჭადია. სიძინდს უწინდებურად მდინარის ნაპირზე თავიანთი ხელით აგებულ და საერთო მფლობელობაში მყოფ

წისკვილში ფქვავენ. შემდეგ მოზელენ და ბოლოს კეცზე სდებენ, რომელიც წრიული ფორმისა და შუაგულამოღებული ჭკისაგანაა გაკეთებული. ზემოდან წყვავის ფოთლის მსგავსი ფოთლით ფარავენ. ცეცხლზე დებენ და ერთი, ორი საათით ტოვებენ. ჰადს ასე აცხობენ და ცხელ-ცხელს მაგიდაზე ალაგებენ. ჭარა ვიოზად წოდებულ ლობიოსაც წიწაკით ამზადებენ და მიირთმევენ. ვინც ჰადს არაა შეჩვეული, შეიძლება ცოტაოდენმა მოუხვეწრობამ შეიპყროს; საჭმელი კი ნამდვილად მშვენიერი და გემრიელია. აქაური მოსახლეობა ყოველთვის ისეთ ადგილებში სახლობდა, სადაც სინესტე და ტალახია. ამიტომაც ბუასილი არ სჭირს და არც ახალგაზრდობაში და არც სიბერეში ეს ავადმყოფობა არავის არ უმყლავნდება. ბუასილით დაავადების შემთხვევაში ავადმყოფობის განსაკუთრებული ტანჯვისაგან ისინიც კი თავისუფლებიან, ვინც აქ ერთი ხანობა ცხოვრობენ და მიმანია, რომ ეს უეჭველად ჰადის დამსახურებაა. ვისაც სურს, რომ ჰადს შეეჩვიოს, თავდაპირველად ჰამა კიდიდან უნდა დაიწყოს.

სიმინდის წვნიანი და ჭარხლის შექამანდი მათი ძირითადი საკვებია. აქაური მომამზებრებელი და აუტანელი ტალახის გამო ჭართული სახლები სუფთად ვერ გამოიყურება. ქართველები ტალახიანი ფეხებით შედიან სახლებში.

ცნობილი არიან როგორც უადრესად რელიგიურები და პატროსნები. მათ სოფლებში შესანიშნავი მეჩეთები და მოწესრიგებული სკოლებია; ყველამ, გოგონებმა და ბიჭუნებმა რელიგიის ძირეული საკითხები იციან. წვდომის დიდი [უნარი]აქვთ და ძალზე ნიჭიერები არიან, რის გამოც ცოდნის შექენაში მეტად სწრაფად მიიწევენ წინ.

ესენი ყველანი ენაწყლიანობით გამოირჩევიან, წარსულის ამბებს ტკბილად ჰყვებიან, რის გამოც მათ წრეში მოწყენა შეუძლებელია. ამასთან შესანიშნავია მათი ყოფაქცევა და სტუმრების პატივისცემა

ქართველები ბუნებით მეომრები და ძალზე გაწაფული ცხენოსნები არიან. მათ ყველაზე მეტად იარაღისა და ლამაზი შაშხანის შოვნა აინტერესებთ.

კირაბად წოდებული ერთი სახეობის ცულს ატარებენ და ამ იარაღის გარეშე არსად არ მიდიან.

ხოვას, რომელიც თუთუნს ეწევა, სამუშაოზე არავითარ შემთხვევაში არ ღებულობენ. მათ წერილებსა და ყველა საქმეს ხოჯები აგვარებენ.

თითოეულ სოფელში მათ განკარგულებაშია მეჩეთი, მეჩეთში კი შვილების გასანათლებლად და აღსაზრდელად სპეციალური მექთებები¹

მუდამ ღიაა. ქართველებს ერთობლივი ლოცვის ადგილი ძალიან [უყვართ], ამიტომ გაურბიან ისეთებს, რომლებიც არ ლოცულობენ. პარასკევობით მეჩეთებში იკრიბებიან და ნამაზის შემდეგ მათი სოფლისა და მეჩეთის საქმეების შესახებ მსჯელობენ. საზოგადოდ საუბრისას ხმაურობენ, ამიტომაც ორი კაცი ერთმანეთს რომ შეხვდება, მათი საუბრის გამგონე უცხო [ადამიანს] აუცილებლად კამათი ეგონება. ამ სოფლებში არიან ისეთი ადამიანები, რომლებსაც ჰყავთ გავლენიანი ნათესავი, რომლის შემწევობითაც ჭკვანა მოიარეს, იმუშავეს, ბოლოს თავის სოფელში დაბრუნდნენ და ცოლი შეირთეს, მათ წერა-კითხვაც იციან. სუნიტი ხოჯები იმამობას [ეწევიან] და ბავშვებს კითხვას ასწავლიან. ხოჯებს არაჩვეულებრივ პატივს მიაგებენ, თანაც ხოჯების მეჩიდ¹ წოდებულ მიწვევას ემორჩილებიან.

ესენი ერთმანეთის დახმარებას შეჩვეულები არიან, რის გამოც მეჯის საშუალებით სახლის [ავების] ათი, თხუთმეტი დღის საქმეს ერთ დღეში ამთავრებენ. მეჯი ეს არის თავისიანი ხუთი, ათი კაცის მოწვევა. მათ საქმის მალე დასამთავრებლად, მუშაობის შესამსუბუქებლად და დასახმარებლად [ეძახიან]. მეჯის მომწყობი კაცი სუფრას შლის. მოწვეულები საქმის დამთავრების [შემდეგ] შეექცევიან საქმელს. აი ამ ტრადიციის გამო ქართველებს საქმე ძალზე უმსუბუქდებათ, მაგ. ადამიანი, რომელსაც ორმოცი, ორმოცდაათი ურემი შეშის მოტანა სურს და იმ მიზეზით, რომ წყალობასაა მოკლებული და ან ხარი, ან ურემი არა აქვს. სასოწარკვეთისა და გულგატეხილობის გარეშე მეჯის მართავს, სოფლები თავისი ურემებითა და პირუტყვით გროვდებიან და საჭირო [რაოდენობის] შეშა ერთ დღეში გადააქვთ მის სახლში.

ქალების ტანსაცმელი, ფისთანად წოდებული, გრძელკალთიანი კაბისა და მოკლე, კორსეტივით ძალზე ვიწრო ყილგეთისაგან შედგება. სხვაგან წასვლისას, თავისი შეძლებისდა მიხედვით, ზოგი ჩვეულებრივი მიტკლის, ზოგი კი აბრეშუმის წელამდე მოკლე თავშალს იხვევს. ქალები, თუმცა ძალიან საქმიანები არ არიან, მაგრამ საოჯახო საქმეები მთლიანად მათ აკისრიათ. პატიოსნებისა და კდემამოსილების განსახიერებლად ითვლებიან. ბავშვებს მეტად ღალად ზრდიან. ერთი წლის ბავშვს მიწაზე სვამენ. სურვილის შემთხვევაში ბავშვს ხელში იყვანენ და მხარზე ისვამენ. ბიჭის დაბადებისას სახლიდან თოფს ისვრიან, [ამით] სიხარულს გამოხატავენ. ქალები სახლში ყოველთვის საქმლის მზადებით არიან დაკავებულნი.

დღეში სამჯერ ჰამენ იმ ფკვილოს საქმელს. ჰადი ყოველთვის ცხელი და ახლად გამომცხვარი უნდა იყოს. სტუმრებისთვის სუფრის გამლა

1 meci<imce გლეხთა კოლექტიური შრომა; ერთობლივად შესრულებული საქმეა.

სავალდებულოა და სტუმართმოყვარეობა წესად ითვლება, რის გამოც ქალები კერძის არ სცილდებიან. საკმელს ლუმელსა და ბუხარში არ ამზადებენ. თითოეული სახლის ქვედა ნაწილში მიწით დაფარული განიერი ადგილია. აქ ყოველგვარ ნივთებსა და სურსათს ინახავენ. სახლის ქვეშეთ ერთ კუთხეში ორ ქვას შორის ცეცხლს ანთებენ. პურს აქ აცხობენ. საკმელის მომზადებისას ქვებს ჰეროდან დაბლა ჩამოკიდებულ კაუჭიან რკინაზე ჰკიდებენ და ქვემოდან ცეცხლს უნთებენ. ასე ამზადებენ საკმელს. თანაც ზამთრის ღამეებში ცეცხლს გარშემო უსხდებიან და საუბრობენ. მათი სახლის ფანჯრები ხერელს არა ჰგავს და რომ ჰგავდეს კიდევ, ისიც უშუშოა. ბუნებრივია. ზამთარში ვერ იღება, მაგრამ მათ კვამლი არ ახრჩობთ. ჩვევად აქვთ, რომ დადარდიანებულნი არ იყვნენ. დღესასწაულის დღეებში ყოველ მოსულ სტუმარს აუცილებლად უმასპინძლებიან. ღამეები, ღამე რომ ანთებენ. ზეთუნის ან ნავთის ქურებს ჰგვანან. თავისუფალ დროს კარგად მყოფნი ღამეებს აკეთებენ. მამაკაცების ტანსაცმელი გაგოცებს. თავზე ბაშლიყად წოდებულ უხეში შალის მოსახვევს იკრავენ და ძიგვად წოდებული ვიწრო შარვლები აცვიან. საზოგადოდ მათი ტანსაცმელი უხეში შალის ჩოხაა. უხეშ შალს თავად ქსოვენ. ტანსაცმელსაც თავად იკრავენ. გარდა იმისა, რომ ბაშლიყები საოცარი სანახავია, თავად ქართველებსაც სხეულის ნაწილები პრაპორტული აქვთ და ძალზე მოხდენილები არიან. იმ არემარეში მცხოვრები ადგილობრივი მოსახლეობის დიდი ნაწილიც ქართულ ტანსაცმელს იცვამს. ახალგაზრდები მოსიარულ ბაშლიყებს აკეთებინებენ, წელზეც ყამასა და რეეოლვკრს იკეთებენ, რის გამოც ადამიანს ღონიერი ახალგაზრდის ცქერა არ მოსწყინდება და არ მობეზრდება.

ქორწილებში და სხვა განსაკუთრებულ დღეებში მეტად ნატიფ კვება ხორუმს ოსტატურად ასრულებენ. ამ კვებაში შესრულებული მოძრაობები დასტურია იმისა, რომ ქართველებს სისწრაფეში ბადალი არა ჰყავთ. ამ კვებას სამი ადამიანი ასრულებს და ალაფრანკას ძლიერ ჰგავს.

მათრობელა სასმელებს არ სვამენ. რის გამოც იშვიათია, რომ რომელიმე მათგანმა ცუდი თვისებები გამოამჟღავნოს.

შვილები ყოველდღიურად იმისთვის იღწვიან, რომ ფადიშაჰის ქვეყანაში დაწყებითი განათლება მიიღონ. შეძლებულები უკან არ იხევენ და ფულს [იხდიან] იმისათვის, რომ განათლების მისაღებად შვილები ბედნიერების ზღურბლში გაგზავნონ.

ღირსება და კეთილშობილება ქართველების უპირატესობათაგანია. ქალების ქმრებისადმი მორჩილება თითქმის ლეგენდადაა ქცეული. უშვილო ქალი, მათი აზრით, ძლიერ გასაკიცხია, მაშინ, როცა შვილოსნობას საჭებრად მიიჩნევენ. ხელოსნები საოცარ წარმატებებს აღწევენ. ძალიან

დიდი შედეგები აქვთ სამკუდლო საქმეში. უმეტესობა ძალზე მგრძობიარეა. ადვილად აღზნებანია და. შესაბამისად, ჩასიათითაც ფიცხები არიან.

ქართველები შვილებს ადრე არ აქორწინებენ. ოცი, ოცდახუთი წლის ასაკში რთავენ ცოლს. ამის მიზეზი ქორწილი [კი] მიეკუთვნება იმ მაგნე ტრადიციებს, რომლებიც მათი თემისთვისაა დამასასიათებელი. ქორწინება სულ მცირე ათასი და სულ დიდი თხუთმეტე. ოცი ათასი ყურუში ჯდება. [საქორწინო]კავშირი ძველ ტრადიციებს მიეკუთვნება. ქართველები სხვა ქვეყანაში, სამსახურში [იქნებიან], განათლების მისაღებად წავლენ. თუ ბევრ ფულს იშოვნიან, უმეტეს შემთხვევაში მაინც სოფელში ბრუნდებიან. ცოლს ირთავენ და მკვიდრდებიან. ქალის მოყვანისა და მიცემის დროს მის ოჯახის შვილობას დიდ ყურადღებას აქცევენ და პატივს სცემენ, რის გამოც ნათესავები ერთმანეთს ზედებიან. ქალის მიცემისას წინდაწინვე ფულის აღება წესადა აქვთ. ნიშნობის შემდეგ ქორწილს მართავენ. პატარძლის სახლიდან გამოსვლისას მისი ძმა ან ყველაზე ახლობელი ნათესავი მამაკაცი კარების წინ დგება, საჩუქარს ითხოვს და ვიდრე ბიჭის მხარე მის სასურველ საჩუქარს აინუნში არ აგდებს, ანუ მოპატიყებულები ამ საჩუქარს არ გაიღებენ. მანამდე გოგოს სახლიდან არ უშვებენ. ქორწილის დროს მოსაწვევი ბარათების ნაცვლად სახლებში სანთელს გზავნიან.

სახლიდან გამოყვანის შემდეგ პატარძალს ცხენზე სვამენ. [მას] წინ მამაკაცები, ზურგსუკან ცხენზე შემომსხდარი ქალები. გვერდით [კი] მცველები მაყრებად მიჰყვებიან. პატარძალს თავი მუსლინით მეტად უცნაურად აქვს შეხვეული. პატარძალს სახლში შესვლისას მრავალი ქალი ეგებება. სიძე მას სახეზე ჩამოფარებულ რიდეს ამდენი ხალხისა და ქალების თანდასწრებით ყამით ჩამოხსნის და იქ მყოფთაგან ჯერ კიდევ გასათხოვარ [გოგონას] გადაუჯდება.

მოწვეულები დოლისა და ზურნის თანხლებით საგანგებო ცეკვა ხორუმის შესრულებისა და უამრავი იარაღის გასროლის შემდეგ სახლში მაგიდას მიუსხდებიან. ათ სულზე ერთი, [სულ] ხუთი, ათი მაგიდაა გაშლილი. ჭამას იწყებენ. ათი, თხუთმეტე თავი საქმლის მირთმევის შემდეგ ფლავი შემოდის. აქ ბრინჯის ფლავი მეტად მიღებულია. ფლავს თუ დიდხანს არ ახლებს ვინმე ხელს, უკან გააქვთ. მაგიდასთან [მსხდომთაგან] არჩეულ პიროვნებას, რომელიც სუფრას უძღვება, ყველაფრის მოთხოვნის უფლება აქვს. ქათამი, ცხვარი, თუთუნი, [თვით] მეხეც კი შეუძლია მოისურვოს. სუფრის სხვა წევრებიც წესსა და რიგს იცავენ.

1 ცხარე საქისე: რაიმე მუდის აღსკერელი.

მასპინძელი მათ სურვილებს ძაძიძვე თეასაუღლეს, თუ აო თეას-რულებს, [ამის მიუხედავად] მექორწილები, ყველანი დამბაჩებს აქეთ-იქით ისვრიან და სახლს [ტყვიებით] ცხრილავენ. ბოლოს ჟინს მოიკლავენ და კვლავ, ჰამენ ან კიდევ სახლის პატრონს უხირდებიან. სტუმრების ნებისმიერი სურვილის შესრულება აუცილებელია. თოფებიდან გამოვარდნილი ტყვიები სახლს აოხრებენ. მათი შეკრება თუ ისე დასრულდება, რომ [იქაურობა] არ განადგურდება, ეს დიდი ბედნიერებაა.

გარდა ამისა საჭიროა, რომ ყოველმა ქმარმა თავის ცოლს ემანეთად წოდებული რამეები უყიდოს. ემანეთად წოდებული სამკაული ბეში (?). ლირა, უზალთუნი ან ვერცხლის ქამარი და სხვა მოოქროვილია. აქ ყველაზე მისაღებ ბეშის ყველანი მკერდზე იბნევენ. გარდა ამისა, ნალის ხელა ტვირთს გვირგვინად წოდებულ თხელ ოქროს [ფირფიტებსაც] შუბლზე იკიდებენ. ესენი ძალიან მიღებულია. შეკრებილი სოფლელები ვალდებულნი არიან, რომ იმათ ქალებს, ვინც ულუკმაპუროდ არიან და ჯიბე ფულით არა აქვთ საესე, ტრადიციის მიხედვით ჩააცვან. საჭიროების შემთხვევაში ამ ოქროს სამკაულებს გადაამუშავენ და იყენებენ.

მათი ენა მეტად რბილია. ამ სოფლებში არსებული ქართული ენის მდგომარეობის შესახებ ჩემს მიერ ჩატარებული გამოკვლევის შედეგად შევიტყვე, რომ იგი მდიდარია, არც ერთ ენას არ საჭიროებს და ამასთან კანონზომიერებას ექვემდებარება. კითხვითი ნაწილაკი არა აქვთ, მაგ. Gidiyor nusaan? მინიხარ? ისმის როგორც Gidiyor მიდის. კითხვითი ნაწილაკი კითხვითი ინტონაციის გამომხატველი ხმით გადმოიცემა. კიდევ ამბობენ, რომ დამწერლობა აქვთ, მაგრამ სოფლელებიდან მშობლიურ ენაზე წერა არავინ არ იცის. როგორც მითხრეს, თავიანთი ენა ყველაზე კარგად იციან, წერენ და კითხულობენ ქობულეთელები. აქ წერა-კითხვა საზოგადოდ თურქულია.